# აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში

საქართველოს
საკანონმდებლო,
აღმასრულებელი
ხელისუფლება,
საერთაშორისო
ორგანიზაციები

1993–1999 წ.წ.



III

# აფხაზეთის საკითხი
# ოფიციალურ დოკუმენტებში

საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი
ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები

**2000 - 2003 წლები**

თბილისი - 2004 წ.

## შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია:

**ვახტანგ ყოლბაია** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე;

**თეიმურაზ ჭახრაკია** - საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის ხელმძღვანელი;

**დავით ლაცუზბაია** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე;

წინამდებარე კრებული შინაარსობრივად წარმოადგენს გაგრძელებას ორტომეულისა "აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში 1989-1999 წწ".

კრებულში შეტანილია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე 2000-2003 წლებში საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები, ოფიციალური განცხადებები, სხვა ნორმატიული დოკუმენტები, აგრეთვე - გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები, განცხადებები, ევროკავშირის, ევროპარლამენტის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაციები, განცხადებები, დსთ-ის სამიტების გადაწყვეტილებები, რუსეთის ფედერაციის სახელწიფო დუმის დადგენილებები, განცხადებები, ქართული და აფხაზური მხარეების ჟენევის 1997 წლის 17-19 ნოემბრის შეხვედრის საფუძველზე შექმნილი საკოორდინაციო საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმები, საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლები, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურის განცხადებები, აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების 2002 წლის 25 მაისის შეხვედრის ერთობლივი დეკლარაცია, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების 2003 წლის 6-7 მარტის შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი განცხადება და სხვა ოფიციალური მასალები.

ვიმედოვნებთ, რომ, ისევე როგორც აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილმა საპარლამენტო კომისიის ადრეულმა გამოცემებმა, წინამდებარე კრებულიც გამოიწვევს საქართველოს პარლამენტის წევრების,

სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერების, სპეციალისტების ჯეროვან დაინტერესებას.

შემდგენელები და სარედაქციო კოლეგია.

## გამოყენებული წყაროები:


1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების კრებული 2000 - 2002 წწ.
2. საქართველოს პარლამენტის არქივის მასალები 2000 - 2002 წწ.
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის მასალები 2000-2003 წწ.
4. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატის არქივის მასალები 2000-2003 წწ.
5. "რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001) პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული". თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2002 წ.
6. Вестник Межпарламентской Ассамблеи №2 (33) г. Санкт-Петербург, 2002 г.
7. http : // www.
8. http : // www. un.org
9. http : // intranet. parliament.ge./
10. http : // www. o pen. ge/ sakartvelos - respublika
11. http : www. SVOBODNAJA - GRUZIA. COM
12. www. ge. segodnja



სარედაქციო კოლეგია კრებულის გამოცემაში ხელშეწყობისა და თანადგომისათვის უღრმეს მადლიერებას გამოხატავს საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარის ბატონ ბადრი პატარკაციშვილისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარის ბატონ მესუთ ბოზქირისადმი.

დიზაინი: **ზურაბ კოკაია**

ფოტო: **დავით კაკულია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ლაშა ჯოლოგუა**

დაკაბადონება......................................

შეკვეთა №...... ...... ტირაჟი 350 ეგზ.

# მოვლენათა ქრონიკა

## (2000 - 2003 წლები)

**2000 წელი.**

**11 იანვარი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელშიც რუსეთის კომერციული ფირმების საშუალებით აფხაზეთიდან, საქართველო ციტრუსების გატანა განხილულია, არა როგორც ჰუმანიტარული აქცია, არამედ როგორც სავაჭრო ოპერაცია, რომელიც მოწოდებულია აფხაზეთის ეკონომიკის წახალისებისათვის, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმსა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის ცნობილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ცალსახად მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად არ განხორციელდეს აფხაზურ მხარესთან სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა სახის ოპერაციები.

**18-19 იანვარი -** გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეცხრე სესია, რომელზეც რიგ დოკუმენტთან ერთად ხელმოწერილ იქნა ოქმი მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების დარღვევის, პოლიტიკურად მოტივირებული სამართალ-დარღვევების ფაქტების გამოვლენისა და მოკვლევის ერთობლივი ჯგუფის შესახებ.

**31 იანვარი -** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია1287 (2000), რომელშიც კვლავ დაადასტურა, რომ დაუშვებლად და უკანონდ მიაჩნია აფხაზეთში ე.წ. არჩევნებისა და რეფერენდუმის გამართვა; გააგრძელა მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას.

**31 იანვარი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება **N** 89 "იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ".

**3 თებერვალი -** სოხუმში ხელმოწერილ იქნა ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრის ოქმი.

**19 მარტი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა

რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს, საქართველო შორის საქართველოს გვერდის ავლით ქ.. სოჭის მეშვეობით პირდაპირი საფოსტო გაცვლის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციის წესდების უხეშ დარღვევას.

**21 მარტი -** პოლიტიკურ საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის კიერენ პრენდერგასტის საპასუხო წერილი ვლადისლავ არძინბასადმი, რომელშიც ცალსახად არის დაფიქსირებული გაერო-ს პოზიცია აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

**2 აპრილი -** დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება "აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ მიმართული შემდგომი ღონისძიებების შესახებ".

**20 აპრილი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო . საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ" აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში.

**18-20 აპრილი -** ქ. თბილისში ხელმოწერილი იქნა ქართული და აფხაზური მხარეების ექსპერტთა საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით.

**7 მაისი -** ხელმოწერილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 178 "აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოების ხელშემწყობი პროგრამის დამტკიცების შესახებ".

**11 მაისი** - გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება აფხაზეთში, საქართველო არსებული ვითარების შესახებ.

**31 მაისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა რუსეთის მრავალი ტურისტული ფირმის მიერ აფხაზეთში, საქართველო დასვენების რეკლამისა და აქ საგზურებით დამსვენებელთა გაგზავნასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ დასასვენებლად მიმავალი რუსეთის მოქალაქეების მიერ განთიადის რაიონში საქართველოს საზღვრის გადაკვეთა არის საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1993 წლის 8 ოქტომბრის "საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ" შეთანხმების დებულებათა უხეში დარღვევა, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმების თანახმად გამშვები პუნქტი "განთიადი" (საქართველო) - "ადლერი" (რუსეთი) ითვლება დახურულად, როგორც

სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთებისათვის, ასევე ორივე ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

**11 ივლისი -** ქ. სოხუმში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეათე სესია, რომელზეც ხელმოწერილი იქნა რიგი დოკუმენტი, მათ შორის უსაფრთხოების ზონაში ვითარების სტაბილიზაციის შესახებ გალში 3 ივლისს გამართული შეხვედრის ოქმი.

**21 ივლისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა უცხოეთის ქვეყნების, უმეტესწილად რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირებისა და ცალკეული მოქალაქეების აფხაზეთის, საქართველო სეპარატისტული რეჟიმის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში განლაგებული უძრავი ქონების (სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, ტურბაზები, სამრეწველო საწარმოები და ა.შ.) ყიდვა-გაყიდვისა და იჯარით გაცემის მიზნით განხორციელებულ მთელ რიგ ოპერაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამინისტრომ გაამახვილა რუსეთის მხარის ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის № 186 -II ს დადგენილების თანახმად ამგვარი ოპერაციები, საკანონმდებლო აქტები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები და გარიგებები "იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია". აგრეთვე აფხაზეთის, საქართველო სეპაპარტიტსტული რეჟიმის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები, სხვადასხვა სახის ობიექტების პრივატიზაციის შესახებ.

**27 ივლისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა სოხუმის გაერთიანებული საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურსა და რუსეთის არმავირის კავშირგაბმულობის სპეციალიზირებულ ქარხანას შორის აფხაზეთის, საქართველო დედაქალაქში კავშირგაბმულობის ხაზების გაფართოებისა, მისი საიმედობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით აუცილებელი მასალების მიწოდების შესახებ საქართველოს ხელისუფლების გვერდი ავლით დადებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მეორანდუმსა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებებს.

**27 ივლისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა აფხაზეთში, საქართველო ტურისტული მოგზაურობის საბაბით რუსეთის მოქალაქეთა მდ. ფსოუზე საქართველოს საზღვარზე დაუბრკოლებრივ გატარებასთან დაკავშირებით. ნოტაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის მოქალაქეების მიერ მდ. ფსოუზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის თვითნებური გადაკვეთა წარმოადგენს "საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1993 წლის 8 ოქტომბრის "საბაჟო

საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ" შეთანხმების დებულებათა უხეშ დარღვევას, რომლის თანახმადაც იურიდიულ საფუძველზე ფუნქციონირებად ერთადერთ გამშვებ პუნქტს "ყაზბეგი-ზემო ლარსის" გამშვები პუნქტი წარმოადგენს. ნოტაში ნათქვამი, რომ სუვერენული ქვეყნის გადაწყვეტილების იგნორირება წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისადმი, საზღვრების ურღვეობის პრინციპისადმი უპატივცემულობის გამოვლენას და ეწინააღმდეგება საძოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებსა და ნორმებს.

**28 ივლისი -** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1311 (2000), რომელშიც კვლავ დაადასტურა აფხაზეთში კონფლიქტის შედეგად მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობა და უარყოფითად შეაფასა ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის განუყოფელი უფლების დარღვევა დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში; გაუგპძელა მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას.

**20 აგვისტო -** ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფი ერთის მეოთხე სესიის ერთობლივი განცხადება

**21 აგვისტო -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა მ. წ. აგვისტოს დასაწყისში საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად აფხაზეთში, საქართველო რუსეთის ფედერაციის იაროსლავლის ოლქის დელეგაციის ჩასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა აღნიშნული ოლქის გუბერნატორის მოადგილე ა. ბარაშკინი.

**7 სექტემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა გაეროს ათასწლეულის სამიტზე ქ. ნიუ-იორკში.

**12 სექტემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს. საპროტესტო ნოტა რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და სტრუქტურების, საკმაოდ მაღალი რანგის მოხელეების აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან აქტიურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საქართველოსთან შეუთანხმებლად რუსეთის მიერ აფხაზეთისათვის, საქართველო გაწეული ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური დახმარება განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევა, აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერა.

**4 ოქტომბერი -** ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფი ერთის მეხუთე სესიის ერთობლივი განცხადება

**24 ოქტომბერი -** გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეთერთმეტე სესია, რომელზეც ხელმოწერილი იქნა შეხვედრის ოქმი.

**31 ოქტომბერი -** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1325 (2000).

**13 ნოემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა სპეციალური განცხადება 2000 წლის 8-9 ნოემბერს აფხაზური მხარის "სამხედრო ძალების" მიერ შეზღუდული შეიარაღების ზონაში მძიმე ტექნიკის გამოყენებითა და სარაკეტო გასროლების წარმოებით წვრთნების ჩატარებასთან დაკავშირებით, რითაც დარღვეულ იქნა მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება და 2000 წლის 3 მაისის გალის შეხვედრის ოქმის დებულებები.

**14 ნოემბერი -** გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება აფხაზეთში, საქართველო არსებული ვითარების შესახებ.

**20 ნოემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ იქნა განკარგულება N 1227 „აფხაზეთის, პირველ ეტაპზე გალის რაიონის, ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ".

**23 ნოემბერი -** საქართველოში საფრანგეთის საელჩოს პრეს-სამსახურმა გააკეთა განცხადებები "გუდაუთის ბაზის ინსპექტირება საფრანგეთის მიერ", 2000 წლის 20-23 ნოემბერი და "ევროპის კავშირის განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით" 311-ე მუდმივმოქმედი საბჭო (2000 წლის 23 ნოემბერი)

**20-24 ნოემბერი -** გალის რაიონში გაეროსა და ეუთოს ერთობლივი მისიის მიერ განხორციელდა სიტუაციის შეფასება. წარმოდგენილ იქნა ანგარიში და რეკომენდაციები.

**27 ნოემბერი -** ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეხვედრაზე მოქმედი თავმჯდომარის მიერ გაკეთდა განცხადება (საქართველოს ნაწილი).

**1 დეკემბერი** — დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება კოლექტიური სამშვიდობო ძალებისათვის კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადის გაგარძელების შესახებ.

5 **დეკემბერი** – რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან მიმართებაში სავიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღება (აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელებულა სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე.

**13 დეკემბერი -** ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფი ერთის მეექვსე სესიის ერთობლივი განცხადება

**18 დეკემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებათა უხეში დარღვევებით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის, მთავრობის, ფედერაციის სუბიექტების, სამინისტროებისა და უწყებების ეკონომიკის, ჯანდაცვისა და საკურორტო, სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკურ, სხვა სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

**25 დეკემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ იქნა განკარგულება N 1383 "პოსტკონფლიქტური რეგიონების რეაბილიტაციის პროგრამის შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ".

**2001 წელი.**

**18 იანვარი -** ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია" რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმართებაში სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით". რეზოლუციაში გამოითქვა შეშფოთება 2000 წლის 5 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღების თაობაზე და აღინიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქმება. ევროპარლამენტმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციის მთავრობას აღნიშნული გეგმების გადასინჯვისაკენ, რადგანაც ეს ღონისძიებები შესაძლოა აღქმულ იქნეს საქართველოს უდავო ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიად. რეზოლუციაში ასევე აღინიშნა, რომ აღნიშნული პროცედურების ცალმხრივი შემოღებით რუსეთის ფელერაცია საეჭვოდ ხდის მის, რორგორც კონფლიქტის მედიატორის როლს. ევროპარლამენტმა მოუწოდა რესთის ფედერაციას, პატივის სცეს ეუთოს ფარგლებში 1999 წელს სტამბოლში მიღწეულ შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ.

**18 იანვარი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ აფხაზეთში, საქართველო მიწისა და უძრავი ქონების შესყიდვაში

აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამინისტრომ კვლავ გაამახვილა რუსეთის მხარის ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის № 186 -II ს დადგენილების თანახმად ამგვარ ოპერაციებს, საკანონმდებლო აქტებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და გარიგებებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა.

**23 იანვარი -** გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეთორმეტე სესია. ხელმოწერილი იქნა შეხვედრის ოქმი.

**31 იანვარი -** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1339 (2001), რომელშიც გამოხატა შეშფოთება იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში იმატა დამნაშავეობამ და გააქტიურდა შეიარაღებული ჯგუფების მოქმედება; დაგმო ადამიანთა გატაცებისა და მკვლელობის ფაქტები; გაუგრძელა მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას.

**23 თებერვალი** - ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წინადადება აფხაზეთის საკითხზე საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის შექმნის თაობაზე.

**2 მარტი -** საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება "სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ".

**5 მარტი -** ევროპის საბჭოს პრეს-სამსახურმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მოუწოდა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას თავი შეიკავოს ცალმხრივი ინსცენირებისაგან - 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი "ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების" აფხაზეთში, საქართველო ჩატარებისაგან.

**5 მარტი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება 2001 წლის 2 თებერვალს ქ. მაიკოპში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციის მორიგი სხდომის მუშაობაში "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა" და "აფხაზეთის რესპუბლიკის" დელეგაციების მონაწილეობასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შეფასებულ იქნა როგორც რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმისა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების მოთხოვნათა უხეში დარღვევა.

**12 მარტი -** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება "აფხაზეთში, საქართველო ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ". რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 10 მარტს აფხაზეთში,

საქართველო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული არჩევნები შეფასებულ იქნა როგორც უკანონო, არადროული და კონფლიქტის მხარეებს შორის პრობლემის მოგვარების ხელშემშლელი ფაქტორი.

**12 მარტი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება № "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ჩარჩოებში იალტის მესამე შეხვედრაში მონაწილეობის შესახებ".

**15-16 მარტი** - იალტაში (უკრაინა) უკრაინის ხელისუფლების მიწვევით გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრა. მიღებული იქნა ერთობლივი განცხადება, ხელმოწერილი იქნა მოქმედებათა პროგრამა მხარეებს შორის ნდობის განმტკიცების თაობაზე.

**19 მარტი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა ბრძანებულება N 105 "საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესისათვის ხელშეწყობის შესახებ".

**21 მარტი -** გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება აფხაზეთში, საქართველო არსებული ვითარების შესახებ.

**26 მარტი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა სამხრეთის ოლქში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. კაზანცევის ხელმძღვანელობით ა.წ. 2 თებერვალს მაიკოპში გამართულ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციის მორიგ სხდომაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ლ. ჩიბიროვისა და აფხაზეთის სეპარატისტული პარლამენტის ხელმძღვანელის ს. ჯინჯოლიას მონაწილეობის გამო.

**24 აპრილი -** გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება აფხაზეთში, საქართველო არსებული ვითარების შესახებ.

**3 მაისი -** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ინიციატივით გაიმართა კონფერენცია "სახალხო დიპლომატია - პოტენციალი, პერსპექტივები აფხაზეთის საზოგადოების გამთლიანებაში" მიღებული იქნა მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობისადმი. .

**17 მაისი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა

რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ვიზების მქონე სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიერ მდ. ფსოუზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთით აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. სამინისტრომ კიდევ ერთხელ გაამახვილა რუსეთის მხარის ყურადღება იმაზე, რომ რუსეთისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ მდ. ფსოუზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის თვითნებური გადაკვეთა წარმოადგენს "საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1993 წლის 8 ოქტომბრის "საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ" შეთანხმების დებულებათა უხეშ დარღვევას.

**10 ივლისი -** ქ. სოხუმში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს ნომერ ერთი სამუშაო ჯგუფის მეშვიდე სესია, მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება.

**13 ივლისი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა ბრძანებულება N 281 "აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ".

**18 ივლისი** - საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე".

**26 ივლისი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ა. წლის ივნისში ბიჭვინთაში გამართულ კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში "ბიჭვინთა - 2001" სამხრეთ რუსეთის მხარეებისა და ოლქების და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების კულტურის მინისტრების მონაწილეობისა და ქ. ტვერის ოფიციალური ხელისუფლების მიწვევით 23-24 ივნისს ქ. ტვერში სოხუმის ე.წ. ადმინისტრაციის დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით. ნოტაში ხაზი გაესვა, რომ ზემოთმოყვანილი ფაქტები წინააღმდეგობაშია დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა მოსკოვის სამიტის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებებთან.

**31 ივლისი -** გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1364 (2001), რომელშიც გამოხატა სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ კონფლიქტის ზონაში არ წყდება ძალადობა, მძევალთა აყვანა, დამნაშავეებისა და უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობა, რის შედეგადაც კონფლიქტის ზონაში უარესდება ვითარება, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს; კვლავაც დაადასტურა, რომ მიუღებელია კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ცვლილებები. ასევე უარყოფითად შეფასდა, საერთაშორისო სამართლისა და მოსკოვის 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმებების დებულებებით

გათვალისწინებული კონფლიქტის შედეგად ყველა ლტოლვილისა და ადგინაცვალი პირის უპირობო უფლების უგულებელყოფა მშობლიურ ადგილებში უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში დაბრუნების თაობაზე. საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას გაუგრძელა მანდატი 6 თვით.

**14 აგვისტო** - ქ. გალში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრა, ხელმოწერილი იქნა ოქმი.

**28 აგვისტო** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა ქ. გაგრაში (აფხაზეთი, საქართველო) განლაგებული სანატორიუმ "გაგარატა"-ს 25 წლის ვადით რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის იჯარით გადაცემის თაობაზე გავრცელებული ინფორმაციის დაზუსტების თხოვნით. სამინისტრომ კვლავ გაამახვილა რუსეთის მხარის ყურადღება იმ გარმოებაზე, რომ საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის № 186 -II ს დადგენილების თანახმად ამგვარ ოპერაციებს, საკანონმდებლო აქტებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და გარიგებებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა.

**2 სექტემბერი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ქ. პიატიგორსკში გამართულ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციის მორიგი სხდომის მუშაობაში ე. წ. "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა" და "აფხაზეთის რესპუბლიკის" წარმომადგენელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. ნოტაში ხაზგასმულია, რომ რომ "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" და "აფხაზეთის რესპუბლიკა" თვითაღიარებული სეპარატისტული წარმონაქმნებია, რომლებიც იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან საქართველოს განუყოფელი შემადგენელი ნაწილები, რაც არაერთგზის იქნა დადასტურებული საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს, ეუთოსა და დსთ-ს გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებში. შეახსენა რა დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა მოსკოვის სამიტის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაბეჯითებით მოითხოვა რუსეთის მხარისაგან დასაბუთებული განმარტება იმის თაობაზე, თუ რა სამართლებრივ საფუძველზე იქნენ მიღებულნი საქართველოს განუყოფელი ნაწილები - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ასოციაციაში.

**3 სექტემბერი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დსთ-ს ქვეყნების მოსკოვის სამიტის 1996 წლის 19 იანვრის

გადაწყვეტილებების მორიგ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული ქმედებები სულ მცირე, ხელს არ უწყობენ რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას და მოითხოვა რუსეთის მხარისაგან ამგვარი ქმედებების აღმკვეთი ზომების გატარება.

**11 სექტემბერი -** გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს ნომერ ერთი სამუშაო ჯგუფის მერვე სესია, მიღებული იქნა ერთობლივი განცხადება.

**14 სექტემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მესამე სახელმწიფოს, კერძოდ, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ საზღვრის არალეგალურად დაუბრკოლებლად გადაკვეთის ფაქტებთან დავშირებით. ნოტაში აღნიშნულია, რომ ატარებს რა მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რუსეთის მხარე არღვევს 1993 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულებას "საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის "საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ", რომლის თანახმადაც სამართლებრივ საფუძველზე მოქმედ ერთად-ერთ კანონიერ გამშვებ პუნქტს ყაზბეგი - ზემო ლარსის გამშვები პუნქტი წარმოადგენს. ქართულმა მხარემ კვლავ დააფიქსირა, რომ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების იგნორირება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუნდამენტალური პრინციპის დარღვევას, როგორიცაა საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

**19 სექტემბერი** - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლა *გაერო*-ს გენერალური ასამბლეის 56-ე სესიაზე ქ. ნიუ-იორკში.

**27 სექტემბერი -** საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება სოხუმის დაცემიდან, აფხაზეთის ტრაგედიიდან 8 წლის შესრულებასთან დაკავშირებით. პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებისადმი, ამასთან განაცხადა, რომ სამშვიდობო პროცესის შემდგომი გაჭიანურების შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება იძულებული იქნება გამოიყენოს სხვა შესაძლებლობაც პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

**27 სექტემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 1020 "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში 2001 წელს გასატარებელი ღონისძიებებისა და მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების შესახებ".

**24-28 სექტემბერი** - ევროპის საბჭოს ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1257 (2001) "საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ"

**11 ოქტომბერი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით". აღნიშნული დადგენილებით მიზანშეუწონლად ჩაითვალა დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე და წინადადება მიეცა საქართველოს პრეზიდენტს მათი ქვეყნიდან დაუყონებლივი და უპირობო გაყვანის თაობაზე ღონისძიებების გატარების თაობაზე.

**11 ოქტომბერი -** რუსეთის სახელმწიფო დუმამ გააკეთა განცხადება "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობის შესახებ".

**15 ოქტომბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 1077 "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კუთვნილი ვერტმფრენის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავია-კატასტროფის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ".

**26 ოქტომბერი** - ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ბ-ნმა ანდრეა სევერინმა გააკეთა ოფიციალური განცხადება პრესისისათვის 24-26 ოქტომბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით.

**27-31 ოქტომბერი -** მოხდა კოდორის ხეობის მიმდებარე ტერიტორაზე (მარუხის გადასასვლელი) საჰაერო დაბომბვა. აფხაზეთის მხარემ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით.

**9 ნოემბერი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა დსთ-ს ქვეყნების მოსკოვის სამიტის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებების უხეში დარღვევებით რუსეთის ფედერაციის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო კომპანიების აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

**12 ნოემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 1163 "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის 2001-2002 წლების ზამთარში სურსათით მომარაგების შესახებ".

**17 ნოემბერი** - საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 1177 "აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალუ-

რი დაცვის გაუმჯობესებისა და ზამთრის სეზონისათვის მზადების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

**24 ნოემბერი -** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მე-18 პლენარულ სხდომაზე ქ. სანკტ-პეტერბურგში.

**4 დეკემბერი -** .ეუთოს, მინისტრთა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და დაადასტურა ეუთოს სამიტისა და მინისტრთა საბჭოს დოკუმენტები საქართველოსთან დაკავშირებით.

**9 დეკემბერი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 1254 ა. აბაშიძის საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში.

**2002 წელი.**

**5 იანვარი** - საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა ბრძანებულება N 5 "ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციის, სოციალური მოწყობისა და სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებების გაცემის ღონისძიებათა შესახებ".

**17 იანვარი** - ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრაზე ხელმოწერილი იქნა ოქმი კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

**17 იანვარი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა 2001 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში და 2002 წლის 10 იანვარს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ გ. ტროშევის აფხაზეთში, საქართველო უვიზოდ და საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად ყოფნასთან დაკავშირებით, რაც განხილულ იქნა, როგორც სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმისა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებების დარღვევა.

**18 იანვარი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ბიჭვინთაში ყოფილი სსრკ ლიტფონდის შემოქმედებითი სახლის რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტროსასთვის 15 წლის ვადით

იჯარით გადაცემისა და კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის მეთაურის ა. ტკაჩევის მიერ აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერ ს. ჯინჯოლიასათვის კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის განზრახვასთან დაკავშირებით სამთავრობო აგარაკის, პანსიონატისა და კინემატოგრაფისტთა სანატორიუმის კრასნოდარის მხარის საკუთრებად შეძენის თაობაზე წერილობით მიმართვასთან დაკავშირებით. სამინისტრომ კვლავ შეახსენა რუსეთის მხარეს, რომ საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის № 186 -II ს დადგენილების თანახმად იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული საკონმდებლო აქტები, მათ შორის - სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საკუთრების ყიდვა-გაყიდვასა და იჯარით გადაცემას.

**19 იანვარი** - საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 52 "აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ბავშვების რეაბილიტაცია-გაჯანსაღების ღონისძიებათა შესახებ". 2002 წლის

**31 იანვარი** - გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1393 (2002), რეზოლუციაში მოწონებული იქნა საქართველოში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ბატონ დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი დოკუმენტი "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ".

**28 თებერვალი** - საქართველოს პარლამენტმა გაკეთა განცხადება რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი პოლიტიკოსისა და ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ უპასუხისმგებლო განცხადებებზე აშშ-ის სამხედრო სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. პარლამენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, კვლავაც დამოუკიდებლად, საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მასშტაბებს, ფორმებსა და ინტენსივობას.

**28 თებერვალი** - საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება სოხუმის რეჟიმის მიერ ა. წლის 2 მარტს დაგეგმილ ე.წ. სახალხო კრების - აფხაზეთის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით. პარლამენტმა გამოხატა იმედი, რომ აფხაზეთში არსებული ვითარება, არ დარჩება გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის მხრიდან ადეკვატური რეაგირების გარეშე.

**6 მარტი** - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ გააკეთა განცხადება "საქართველოში სიტუაციის შესახებ, მის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ძალების ყოფნასთან დაკავშირებით". განცხადებაში

გამოხატულია სერიოზული შეშფოთება საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ პანკისის ხეობაში. სახელმწიფო დუმის დეპუტატების აზრით ამერიკელი სამხედროების ყოფნა კიდევ უფრო გაამწვავებს არსებულ რთულ ვითარებას საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში. განცხადებაში გამოხატულია უკმაყოფილება, რომ ქართულმა მხარემ არ მიიღო რუსეთის მიერ არაერთგზის შემოთავაზება ანტიტერორისტულ ოპერაციაში დახმარების გაწევის შესახებ და ამჯობინა პრობლემის გადასაწყვეტად ამერიკული მხარისათვის მიემართა.

**12 მარტი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 288 "საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების გაყვანის პროცესისათვის ხელშეწყობის შესახებ". 2002 წლის 12 მარტი.

**12 მარტი** - ევროკავშირის სახელით გაკეთდა საპრეზიდენტო დეკლარაცია “აფხაზეთში საქართველო გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან” დაკავშირებით.

**12 მარტი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის დელეგაციის ადიღეს რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია) ყოფნასთან და აღნიშნული დელეგაციის წევრთა ადიღეს ახლად არჩეული პრეზიდენტის ხ. სოვმენის მიერ მიღებასთან, ადიღეს რესპუბლიკასა და "აფხაზეთის რესპუბლიკას" შორის ორმხრივი თანმშრომლობის განვითარებისა და მათი გაღრმავების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა, რომ ამგვარი ფაქტები წინააღმდეგობაში მოდის დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმსა და მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის ცნობილ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც ცალსახად მოითხოვენ არ დაეჭიროს მხარი სეპარატისტულ მოძრაობებს და საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად არ განხორციელდეს აფხაზურ მხარესთან სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა სახის ოპერაციები.

.

**18 მარტი** - საქართველო - ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარემ, ევროპარლამენტის წევრმა ქ-ნმა ურსულა შლაიხერმა გააკეთა განცხადება "2 მარტს აფხაზეთში ჩატარებული “საპარლამენტო არჩევნების” შესახებ".

**20 მარტი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილებები "აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ" და "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ".

**20 მარტი -** საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება რუსეთის ფედერაციის სათათბიროს მიერ ამა წლის 6 მარტს მიღებულ განცხადებასთან "საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ - მის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო მონაწილეობასთან დაკავშირებით".

**22 მარტი -** რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო დადგენილება "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარშემო დაძაბულობის ზრდის შესახებ"

**26 მარტი -** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს ერთობლივ სხდომაზე ქ. სანკტ-პეტერბურგში

**25-27 მარტი -** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ტერორიზმთან ბრძოლისადმი მიძღვნილ საპარლამენტთაშორისო ფორუმზე ქ. სანკტ-პეტერბურგში

**26 მარტი -** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მე-19 პლენარულ სხდომაზე ქ. სანკტ-პეტერბურგში.

**29 მარტი -** ქ. სოხუმში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრა. ხელმოწერილი იქნა ოქმი.

**29 მარტი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის ს. ივანოვის მიერ 28 მარტს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში აშშ-ს სპეცნაზის გამოჩენამ შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებზე, რაც პირდაპირ მიუთითებს რუსეთის მხრიდან სტამბოლის შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების უგულებელყოფაზე.

**10 აპრილი -** რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო დადგენილება "რუსეთ - საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობისა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივების თაობაზე" რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მ.მ. კასიანოვისადმი საპარლამენტო შეკითხვის შესახებ.

**12 აპრილი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და დსთ-ისადმი 2002 წლის 12 აპრილს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის - კოდორის ხეობაში სამხედრო ძალისა და ტექნიკის შემოყვანასთან დაკავშირებით.

პარლამენტმა კატეგორიულად მოითხოვა რუსეთისაგან სამხედრო შენაერთების დაუყონებლივი გაყვანა კოდორის ხეობიდან და მიმართა მსოფლიო თანამეგობრობას, რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოიყენების თაობაზე.

**12 აპრილი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება აფხაზური მხარისა და რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების ცალმხრივი და არაობიექტური შეფასებების გაკეთებასთან დაკავშირებით.

**22 აპრილი** - საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 448 სამეგრელო-ზემო სვანეთში დროებით განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

**30 აპრილი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გააკეთა სპეციალური განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 866-26-04-2002 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც ცალმხრივად და არაობიექტურად იქნა გაშუქებული გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

**14 მაისი -** საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა განკარგულება N 607 "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

**24 მაისი -** პრეზიდენტმა ვ. პუტინმა და პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება ანტიტერორისტულ თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც გამოიხატა საქართველოსადმი მხარდაჭერა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში და იმედი, რომ საქართველოს ტერტიორიაზე ტერორისტთა ყოფნას დაესმება წერტილი. პრეზიდენტებმა დაადასტურეს საქართველოს სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ როგორც საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრი სახელმწიფოები, რუსეთი და აშშ მომავალშიც შეუწყობენ ხელს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

**25 მაისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა აფხაზეთის, საქართველო ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შემოტანის თაობაზე მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ნოტაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება არის გამახვილებული იმაზე, რომ აფხაზეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევის მზადყოფნის თაობაზე რუსეთის სამხრეთის კაზაკობის

ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადების ფონზე საქართველოს ამ რეგიონში უკვე არიან შემჩნეულნი ცალკეული ჯგუფები, რომლებიც თავიანთ თავს "მოხალისეებს" უწოდებენ.

**6 ივნისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ა. წლის 28 მაისს სარატოვის ოლქის გუბერნატორის დ. აიაცკოვისა და ოლქის მთავრობის წევრთა საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და სავიზო რეჟიმის დარღვევით აფხაზეთში, საქართველო ყოფნასთან და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების დისლოკაციის რაიონის დათვალიერებასთან დაკავშირებით.

**11 ივნისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა სპეციალური განცხადება აფხაზეთში იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის უკანონო შემოტანასთან და აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის სტატუსის მინიჭების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

**24 ივნისი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა რუსეთის მხარის მიერ საერთაშორისო ვალდებულებებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, ნოტაში ნათქვამია, რომ რუსეთის მხარე არღვევს 1993 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულებას "საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის "საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ", რომლის თანახმადაც სამართლებრივ საფუძველზე მოქმედ ერთად-ერთ კანონიერ გამშვებ პუნქტს ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტი წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის 2001 წლის 19 ოქტომბრის № 1002 ბრძანებაში მითითებულია საკონტროლო-გამშვები პუნქტი ადლერი - განთიადი (საავტომობილო და სარკინიგზო), ქვემო ზარამაგი - მამისონი (საავტომობილო), ქვემო ზარამაგი - როკი (საავტომობილო). ქართული მხარის მიერ რუსეთის ფედერაციის აღნიშნული ქმედებები შეფასდა როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ანალოგის არმქონე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, საზღვრების ურღვეობის, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების უთუო შესრულების პრინციპების იგნორირება.

**25 ივნისი -** გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომა. ხელი მოეწერა ოქმს.

**24-28 ივნისი -** ევროპის საბჭოს ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 1570 (2002)1 "აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ".

**6-10 ივლისი** - ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტის სხდომაზე ქ. ბერლინში გავრცელდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის განცხადება ნაციონალური დელეგაციებისა და საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტისადმი თხოვნით ყოველწლიური მეთერთმეტე სხდომის სესიაზე "გადაუდებელი" სტატუსით აფხაზეთში, საქართველო, მიმდინარე მოვლენების განხილვის თხოვნით.

**6-10 ივლისი -** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტის სხდომაზე ქ. ბერლინში.

**20 ივლისი** - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც მხარი დაუჭირა აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ქვეყნების სამშვიდობო ძალებისათვის 6 თვით მანდატის გაგრძელებას. განცხადებაში გამოიხატა კონფლიქტის მოწესრიგებაში პროგრესის მიღწევის სურვილი, კონფლიქტის მხარეებისადმი მოწოდება - "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე" გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ მომზადებული დოკუმენტის განსახილველად დიალოგის გამართვის თაობაზე.

**20 ივლისი** - გალის რაიონ სოფელ ჭუბურხინჯში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს პირველი სამუშაო ჯგუფის მეთორმეტე სესია. მიღებული იქნა ერთობლივი განცხადება. ასევე გაიმართა საკოორდინაციო საბჭოს მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომა. ხელი მოეწერა ოქმს.

**29 ივლისი** - გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1427 (2002), რომელშიც კიდევ ერთხელ გამოთქვა თავის უკმაყოფილება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის არაეფექტურობასთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭომ მოუწოდა აფხაზეთისა და საქართველოს მხარეებს მიიღონ ყველა ზომა 2001 წლის 8 ოქტომბერს გაეროს მისიის და ვერტმფრენის განადგურებაში ბრალეულ პირთა ვინაობის დადგენისა და პასუხისმგებლობაში მიცემისათვის. უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ორივე მხარე აგებს პასუხს გაეროს მისიის, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფაზე. იმავე რეზოლუციით გაეროს დამკვირვებელთა მისიას მანდატი გაუგრძელდა 2003 წლის 31 იანვრამდე.

**8 აგვისტო -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად სავიზო რეჟიმის დარღვევით ა. წლის 6 აგვისტოდან აფხაზეთში, საქართველო რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით. აღნიშნულს მიეცა შეფასება, როგორც საქართველოს კანონების დარღვევა, მისი სუვერენიტეტის შელახვა, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მხრიდან მეზობელი ქვეყნისადმი უპატივცემულობის გამოხატვა.

**19 აგვისტო -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გააკეთა სპეციალური განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ვ. კოლოტუშას მიერ აფხაზეთის კონფლიქტის გარშემო 2002 წლის 12 აპრილს რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "ნოვოსტი"-სათვის მიცემულ ინტერვიუსთან დაკავშირებით

**26 აგვისტო -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას მსხვერპლად შეეწირა ათეულათასობით საქართველოს მოქალაქე აფხაზეთში, ასეულათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. პარლამენტმა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ეს პოლიტიკა კვლავ გრძელდება, რაც რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე უვიზო რეჟიმის შემოღებასა და აფხაზეთის ტერიტორიის ფაქტობრივ ანექსიაში გამოიხატება.

**12 სექტემბერი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა გაერო-ს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის 11 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით. მიმართვაში გამოითქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროებისა და საზღვრის დაცვის ფედერალურ სამსახურებს დაავალა საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამხედრო ოპერაციის მომზადება საქართველოდან მომდინარე ტერორიზმისაგან თავის დაცვის მიზნით. მიმართვაში საუბარია რუსეთის პრეზიდენტის განცხადების უსაფუძვლობაზე და ხაზია გასმული იმ საკითხზე, რომ სწორედ რუსეთიდან მომდინარე ტერორიზმით, ომელსაც აშკარად მფარველობდა რუსეთის ხელისუფლება, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა, რასაც თავის დროზე მოჰყვა სეპარატიზმის გაღვივება და შედეგად - ტერიტორიების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) დაკარგვა, დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ასეულათასობით მოქალაქის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

**12 სექტემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა სპეციალური განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის 11 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით.

**13 სექტემბერი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ".

**13 სექტემბერი -** რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ გააკეთა განცხადება "რუსეთ - საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობის შესახებ".

**19 სექტემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლა *გაერო*-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიაზე ქ. ნიუ-იორკში.

**19 სექტემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება "ქართულ აფხაზური დარეგულირების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ლოშჩინინის აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ ა. ჯერგენიასთან შეხვედრის შესახებ" რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობასთან დაკავშირებით.

**23-27 სექტემბერი -** ევროპის საბჭოს ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 1580 (2002)1 "საქართველოში არსებული სიტუაციისა და კავკასიის რეგიონში სტაბილურობის შედეგების თაობაზე".

**2 ოქტომბერი -** დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელების შესახებ.

**10 ოქტომბერი -** საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

**14 ნოემბერი -** ქ. სოხუმში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომა. ხელი მოეწერა ოქმს.

**14 ნოემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ოფიციალურ დოკუმენტებში ა. ჯერგენიას აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად მოხსენიების თაობაზე. ნოტაში ასევე გამოიხატა ქართული მხარის ნეგატიური პოზიცია რუსეთის მიერ საქართველოს მხარესთან კონსულტაციების გარეშე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მუშაობაში

აფხაზური მხარის მონაწილეობის თაობაზე სოხუმის ხელისუფლების მიმართვის მხარდაჭერა.

**27 ნოემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა მორიგი საპროტესტო ნოტა ოფიციალურ დოკუმენტებში ა. ჯერგენიას აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად მოხსენიების თაობაზე. ნოტაში აღნიშნულია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მხარე დაბეჯითებით ცდილობს აფხაზ სეპარატისტთათვის ლეგიტიმურობის მინიჭებას, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის, როგორც გაეროს, ეუთოსა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს, აგრეთვე რუსეთის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, მათ შორის უმაღლეს დონეზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ტერიტრიული მთლიანობისადმი პატივისცემით თაობაზე.

**25 დეკემბერი -** განახლდა სოჭი - სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა.

**26 დეკემბერი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპროტესტო ნოტა ა. წლის 25 დეკემბერს სოჭი - სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით.

## 2003 წელი

**8 იანვარი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება 2002 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით.

**30 იანვარი -** საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთთან, საქართველო დაკავშირებით მიმდინარე მოვლენების გამო. პარლამენტმა მოსთხოვა რუსეთის მხარეს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის უკანონო მასობრივი მინიჭებისა და სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის დაუყონებლივი აღკვეთა.

Поддерживать активное присутствие ОБСЕ в регионе, способствовать повышению уважения к правам человека и основным свободам, оказывать поддержку в развитии правовых и демократических институтов и процессов, предоставлять помощь сторонам конфликта при выработке правовых, политических и конституционных рамок для скорейшего разрешения этого **«замороженного конфликта»,** а также предлагать сторонам, участвующим в процессе разрешения конфликта, рекомендации по предотвращению подобных конфликтов в будущем.

Установить причины, по которым многочисленные резолюции, принятые рядом основных международных организаций, включая ОБСЕ и её Парламентскую ассамблею, не выполняются и наметить приоритеты для исправления этой плачевной тенденции.

Обязывает специальный комитет регулярно докладывать о своей деятельности и ситуации в регионе и направлять соответствующие рекомендации в Парламентскую ассамблею ОБСЕ.

Для эффективного выполнения своего мандата, а также во избежание дублирования деятельности других структур, комитет, посещая регион, будет работать в тесном сотрудничестве с международными институтами, в частности с миссиями ООН и ОБСЕ в Грузии.

**г. Вена**
**23 февраля 2001 г.**

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 166 2001 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი**

**,,იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ’’ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 იანვრის N 89 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კო-მისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 იანვრის N89 განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნეს **მ. ცაცანაშვილი.** კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს: **კონსტანტინე კუბლაშვილი** პირველი მოადგილე

**3. ელდარ შენგელაიას** თანამდებობად მიეთითოს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პარლამენტის**
**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ**

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე 2001 წლის 10 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნები.

საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება უკანონო და მიუღებელია, რადგან კონფლიქტის შედეგად ხელოვნურად არის შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი და დაგმობილია აგრესიული სეპარატიზმი, ამასთან, საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტისა და 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებების თანახმად სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი ცხადდება ბათილად და იურიდიულად ძალის არმქონედ.

საქართველოს პარლამენტი გაერო-ს, ეუთო-ს, დსთ-ის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელობის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი ჯიუტად უგულებელყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად მიღებულ რეზოლუციებს და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაერთგზის კატეგორიულად გამოხატულ პოზიციას - აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნები იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების იმიტაციით სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აგრძელებს უნაყოფო მცდელობას - შეიქმნას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის იმიჯი. ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ცინიკური ნაბიჯი, გადადგმული ეუთო-ს ბუდაპეშტის (1994წ.), ლისაბონის (1996წ.) და სტამბოლის (1999წ.) უმაღლესი დონის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგების დასაკანონებლად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ასეთი თვითნებობა შესაძლებელი ხდება მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გარკვეული წრეების ფარული მხარდაჭერის გამო, რასაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პროცესი ჩიხში შეჰყავს.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, დსთ-ის წევრ ქვეყნებს, შესაბამისი შეფასება მისცენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 10 მარტისათვის დაგეგმილ უკანონო არჩევნებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მექანიზმები სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმსა და მის მხარდამჭერებზე ზეგავლენის მოსახდენად და ე.წ. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების ჩასაშლელად.

**თბილისი, 2001 წლის 2 მარტი**

## ევროპის საბჭოს პრეს-სამსახურის
## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(არაოფიციალური თარგმანი)

**სტრასბურგი, 5 მარტი 2001 წ.**

ევროპის საბჭო მოუწოდებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას თავი შეიკავოს ცალმხრივი ინსცენირებისაგან - 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი "ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების" აფხაზეთში, საქართველო ჩატარებისაგან.

1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტისა და გალის 1998 წლის მოვლენების შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და ისინი დღემდე ცხოვრობენ როგორც იძულებით ადგილნაცვალი პირები და ლტოლვილები საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა რეგიონებში.

ეს ე.წ. არჩევნები არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური, - განაცხადეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინდული ბერზინსმა, საპარლამენტო ასამბლეის

პრეზიდენტმა ლორდ რასელ ჯონსტონმა და გენერალურმა მდივანმა ვოლტერ შვიმერმა.

"აფხაზური მხარის ინტერესებში არ შედის, რომ კონფრონტაციაში იყოს საერთაშორიო საზოგადოებასთან და ნაღმი დაუდოს ძალისხმევას მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით კონფლიქტის დროული და სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის. პირიქით, მათგან პოზიტიური ნაბიჯი ჩვენს მიერ მიღებული იქნებოდა და აფხაზურ მხარეს ჩაეთვლებოდა კეთილი ნების მოქმედებად." - თქვეს მათ.

"ევროპის საბჭო მხარს უჭერს გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესს. შედგა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ვიზიტები რეგიონში, გაეროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი სემინარები, - ბიჭვინთაში, აფხაზეთი, საქართველო (თებერვალში) "კონფლიქტების მოწესრიგების სახელმწიფო - ლეგალურ ასპექტებზე". ამ შეხვედრებზე ევროპის საბჭოს ვენის კომისიამ მონაწილეებს გააცნო ევროპული გამოცდილება მსგავსი კონფლიქტების მოწესრიგების თაობაზე" - აღინიშნა სამი ლიდერის მიერ.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

რამოდენიმე წელია, რაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ დააარსა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაცია. 2001 წ. 2 თებერვალს ქ. მაიკოპში ჩატარდა ამ ასოციაციის საბჭოს მორიგი სხდომა. ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლების გარდა სხდომაში, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მონაწილეობა მიიღეს "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა" ლ. ჩიბიროვმა და აფხაზ სეპარატისტთა "პარლამენტის თავმჯდომარემ" ს. ჯინჯოლიამ.

ტიპოგრაფიულად დაბეჭდილი ოფიციალური ბლანკის თანახმად, ე.წ. "აფხაზეთის რესპუბლიკა" და "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" თურმე ხსენებული ასოციაციის სრულუფლებიანი წევრები არიან. ცხადია, რომ არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არც გეოგრაფიულად და არც პოლიტიკურად არასოდეს არ იყვნენ და ვერც იქნებიან ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკა, მხარე ან ოლქი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და სამწუხარო შეცდომებია დაშვებული პოლიტიკის სფეროში: მაიკოპში ჩატარებულ სხდომას თავმჯდომარეობდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამხრეთის ფედერალურ ოლქში გენერალ-პოლკოვნიკი ვ. კაზანცევი. ამგვარად, სხდომას მიეცა სახელმწიფო ღონისძიების სტატუსი. რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით რფ-ის რეგიონალურ ოფიციალურ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს მეზობელი სახელმწიფოს სეპარატისტთა ხელმძღვანელები. ეს კი საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის აშკარა მცდელობას წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის ზურგს უკან, ლ. ჩიბიროვმა შეხვედრის დროს როკის გვირაბსა და მიმდებარე საავტომობილო გზების რეკონსტრუქციისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა სთხოვა ვ. კაზანცევს, რაზედაც მან დახმარება აღუთქვა.

რუსეთის ხელისუფლება "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ხელმძღვანელობისაგან რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეგიონის მონაკვეთზე გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღების სანაცვლოდ მოითხოვს საქართველოს მხრიდან რეგიონში შემავალი გზების უფრო მკაცრად გაკონტროლებას და აღნიშნული გამო მზად არის გამოყოს ფინანსური სახსრები "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ე.წ. საბაჟო სამსახურის გასაძლიერებლად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ადგილი აქვს საქართვველოს სუვერენული უფლებების შეგნებულ, დემონსტრაციულ დარღვევას, მეზობელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მოურიდებელ, უხეშ ჩარევას. რუსეთის ხელისუფლების ორგანოები კვლავ და კვლავ უგულებელყოფენ დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის ცნობილი გადაწყვეტილებების მოთხოვნებს, განაგრძობენ სეპარატისტული რეჟიმების აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას. სამინისტროს მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოთქმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავი ანექსიის მცდელობის ტოლფასია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მხარის მიერ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შენარჩუნებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ულებამოსილია მოითხოვოს, რათა რუსეთის მხარემ აღკვეთოს ზემოხსენებული და სხვა მგავსი ფაქტები, რომლებიც საგრძნობ ზიანს აყენებენ ორ ხალხს შორის კეთილმეზობლურ კავშირებს, აბრკოლებენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს.

**ქ. თბილისი,**
**2001 წლის 5 მარტი.**

**Министерство иностранных дел Российской Федерации**

**Департамент информации и печати**

**Сообщение для печати**
**О выборах в органы местного самоупраления в абхазии, Грузия**

10 марта в Абхазии, Грузия состоялись выборы в органы местного самоуправления.

К сожалению, они проходили в обстановке неурегулированности грузино-абхазского конфликта и вызванного этим вынужденного пребывания значительной части населения Абхазии за ее пределами на положении беженцев.

Соответственно, в МИД Росии считают проведение таких выборов незаконными, несвоевременными и не способствующими поиску сторонами в конфликте взаимоприемлемых развязок разделяющих их проблем.

**12 марта 2001 г.**

შეტანილია ცვლილება
საქ. პრეზიდენტის
03/13/2001 N 203
განკარგულებით

**საქართველოს პრეზიდენტის**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**N 202 2001 წლის 12 მარტი ქ. თბილისი**

**აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ჩარჩოებში იალტის მესამე შეხვედრაში მონაწილეობის შესახებ**

1. მიღებულ იქნეს უკრაინის მთავრობის მიწვევა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ჩარჩოებში იალტის მესამე შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

2. დამტკიცდეს 2001 წლის 14-16 მარტს ქ. იალტაში აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ჩარჩოებში იალტის მესამე შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თანდართული შემადგენლობა.

3. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (გ. ნიჟარაძე) უზრუნველყოს სპეციალური რეისის დანიშვნა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) საქართველოს სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან გამოუყოს სახელმწიფო კანცელარიის საფინანსო სამსახურს 18.000 (თვრამეტი ათასი) ლარი დელეგაციის დღიური ხარჯებისა და სპეცრეისის ხარჯების ნაწილის დასაფარავად.

*ე. შევარდნაძე*

დამტკიცებულია

საქართველოს პრეზიდენტის
2001 წლის „ 12 " მარტის
N 202 განკარგულებით

**2001 წლის 14-16 მარტს ქ. იალტაში აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნდობის აღდგენისა და განმტკიცების ჩარჩოებში იალტის მესამე შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თანდართული შემადგენლობა**

| | |
|---|---|
| **გიორგი არსენიშვილი** | - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, დელეგაციის ხელმძღვანელი |
| **მერაბ ანთაძე** | - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე |
| **ალუ გამახარია** | - სოხუმის სააქციო საზოგადოება „ორგტექნიკის" პრეზიდენტი |
| **მერი გეგეჭკორი** | - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე |
| **ლევან გერაძე** | - საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილე |
| **რევაზ გერგედავა** | - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| **დავით გვაძაბია** | - საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| **ვლადიმერ დობორჯგინიძე** | - აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| **გიორგი ზურაბაშვილი** | - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე საქართველოს |
| **მალხაზ კაკაბაძე** | - განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი |
| **ნაპოლეონ მილორავა** | - აფხაზეთის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის დირექტორი, დევნილი ახალგაზრდობის წარმომადგენელი |
| **ალექსანდრე მიქაძე** | - საზოგადოება „გზა შერიგებისაკენ" თანათა--ვმჯდომარე, დევნილ უხუცესთა წარმომადგენელი |

გენო კალანდია - საქართველოს პარლამენტის წევრი
გენადი მურადიანი - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე

ოთარ ჟორდანია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილი-ალის დირექტორი
არმაზ სანებლიძე - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი
მიხეილ სიამაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსი
არნოლდ ფენდერავა - საქართველოს პარლამენტის წევრი
რევაზ ქობალია - საზოგადოება „ოჩამჩირელის" თავმჯდომარე საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო
გიორგი ქათამაძე - ელჩი უკრაინასა და მოლდოვას რესპუბლიკაში
დავით ცანავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინის-ტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლევან შაშიაშვილი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირადი დაცვა
ვახტანგ ყოლბაია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე
თამაზ ხუბუა - ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი
დიმიტრი ჯაიანი - საქართველოს პარლამენტის წევრი
გოჩა ჯოჯუა - საქართველოს პარლამენტის წევრი.

## Ялтинское заявление грузинской и абхазской сторон

15-16 марта 2001 года

Третья встреча грузинской и абхасзой сторон по укреплению мер доверия в рамках Женевского мирного процесса под эгидой ООН состоялась в Ялте 15-16 марта 2001 года под председательством Специального представителя Генерального секретаря ООН господина Дитера Бодена.

Во время встречи, желая обеспечить благоприятные условия для продолжения мирного процесса урегулирования и недопущения обострения обстановки в зоне конфликта, стороны вновь подтвердили взятые на себя обязательства о неприменении силы друг против друга при решении любых спорных вопросов с целью достижения полномасштабного политического

урегулирования конфликта. Они также отметили важность достижения взаимопонимания и согласия и особо подчеркнули свою решимость активизировать усилия по созданию условий для добровольного и безопасного возвращения беженцев в места их постоянного проживания на первом этапе в Гальский район в старых границах.

Стороны отметили, что в мае 1998 г. не удалось предотвратить новую вспышку боевых действий, что явилось, помимо прочьего, и следствием отсутствия надежных гарантий сохранения мира. В ходе этих событий не удалось в полной мере задействовать все механизмы для предотвращения военных действий, в том числе КСПМ СНГ и МООННГ в зоне кронфликта.

Исходя из этого, стремясь утвердить прочный мир, стороны, обратились к Специальному представителю Генерального секретаря ООН с просьбой обратиться к ООН, Группе Друзей Генерального секретаря ООН, ОБСЕ, и СНГ дать согласие быть гарантами невозобновления вооруженного конфликта, устойчивого и безопасного возвращения беженцев и перемещенных лиц на первом этапе в Гальский район в старых границах, и выработать с участием сторон механизмы осуществления этих гарантий.

В случае угрозы или возобновления вооруженных столкновений КСПМ СНГ в соответствии со своим мандатом от 26 мая 1995 г. незамедлительно примут меры по разъединению вооруженных формирований конфликтующих сторон по линии разъединения, определенной Московским соглашением от 14 мая 1994 г. Стороны подтверждают свои обязательства по соблюдению договоренности по прекращению огня. Стороны также подтверждают свои обязательства по недопущению действий, ставивших бы под угрозу жизнь и безопасность персонала КСПМ СНГ, МООННГ и другого международного персонала, размещенного в зоне конфликта.

Стороны подчеркнули, что меры по укреплению доверия являются важным элементом мирного процесса, позволяющим приблизиться к полномасштабному урегулированию конфликта. Исходя из этого, стороны согласились принять “Программу действий по укреплению доверия между грузинской и абхазской сторонами”.

Стороны приняли к сведению, что Специальный представитель Генерального секретаря ООН сообщит об итогах этой встречи Генеральному Секретарю ООН, который впоследствии информирует Совет Безопасности ООН.

Стороны и все участники встречи выразили Правительству Украины свою глубокую признательность за приглашение провести встречу в Ялте, за оказанное гостеприимство и за его активную роль в создании конструктивной атмосферы, обеспечившей важные и существенные результаты.

**За Грузинскую сторону За Абхазскую сторону**
**Г. Арсенишвили В. Цугба**

**За ООН За КСПМ СНГ**
**Д. Боден Н. Сидоричев**

**Программа действий по укреплению доверия между грузинской и абхазской сторонами**

Ялта, 15-16 марта 2001 года

Третья грузино-абхазская встреча, посвященная мерам по укреплению доверия, состоялась 15-16 марта 2001 года в Ялте по приглашению Правительства Украины, под председательством Специального представителя Генерального секретаря ООН в Грузии господина Дитера Бодена, в рамках Женевского мирного процесса по урегулированию конфликта под эгидой ООН.

Грузинская сторона была представлена делегацией во главе с господином Гиорги Арсенишвили. Абхазская сторона была представлена делегацией во главе с господином Вячеславом Цугба. Во встрече приняли участие представители Российской Федерации, Соединенного Королевства, Соединенных Штатов Америки и Франции; Организации по безопасности и сотрудничеству в Европе (ОБСЕ), а также Главный военный наблюдатель МООННГ, Командующий КСПМ СНГ и Исполнительный секретарь грузино-абхазской Совместной координационной комиссии.

Министр иностранных дел Украины Его Превосходительство господин Анатолий Зленко приветствовал участников встречи и огласил обращение Его Превосходительства Президента Украины господина Леонида Кучмы. 14 марта 2001 года состоялась встреча Президента Украины с главами обеих делегаций и Специальным представителем Генерального секретаря ООН в Грузии.

Во время встречи стороны,

*отмечая* важность мер доверия для процесса укрепления мира и согласия, достижения примирения, а также особо подчеркивая свою решимость активизировать усилия в этой сфере;

*исходя* из того, что меры доверия являются по своей сущности неотъемлемым элементом Женевского мирного процесса под эгидой ООН, позволяющего приблизиться к полномасштабному политическому урегулированию конфликта;

*достигли согласия о нижеследующем:*

1. Обе стороны поддерживают необходимость совершенствования и придания большей эффективности усилиям в сфере мер доверия в рамках Женевского мирного процесса. В связи с этим они подтверждают свою готовность в полном объеме выполнить решения, принятые на Афинской и Стамбульской встречах по укреплению доверия. Кроме того, стороны заявляют о намерении целиком и полностью реализовать меры доверия, выработанные, в том числе при участии неправительственных организаций, входе Ялтинской встречи по укреплению доверия.

2. Стороны утверждают в рамках Координационного совета механизм отчетности о ходе реализации согласованных мер доверия. С этой целью создается и будет поддерживаться база данных, содержащая информацию о ходе реализации проектов. База данных будет доступна с помощью электронных средств для всех участников мирного процесса. Вопрос о средствах на покрытие расходов будет обсуждена дополнительно.

3. Стороны назначат представителей, которые на очередных заседаниях Координационного совета будут информировать его о ходе реализации мер доверия.

4. С целью добиться наиболее эффективной реализации обе стороны по мере необходимости оказывают организационно-техническое содействие их осуществлению, включая подготовку необходимых документов для проезда и предоставление мест для встреч, а также в целом поощряют развитие двухсторонних контактов. Стороны одобряют работу Двусторонней грузино-абхазской Координационной комиссии, подтверждают свою готовность предоставить ей необходимую помощь и обращаются к ООН с просьбой об оказании ей содействия, а также технической, финансовой и иной поддержки.

5. Стороны одобрили Приложение, содержащее перечень конкретных мер по укреплению доверия, являющееся неотъемлемой частью данной Программы.

**Приложение к Программе действий по укреплению доверия между грузинской и абхазской сторонами**

Настоящий перечень конкретных мер доверия подготовлен на основе предложений высказанных во время Ялтинской встречи, состоявшейся 15-16 марта 2001 г. Данный перечень не является исчерпывающим и другие предложения сторон будут приветствоваться. Предложенные меры являются рекомендательными для дальнейших действий.

Стороны согласились, что возможности, касающиеся реализаций этих мер, будут обсуждены на ближайшем заседании Координационного совета. Каждая сторона в письменном виде и вовремя сообщат Специальному представителю имя представителя, назначенного согласно п. 3 Программе действий по укреплению доверия между грузинской и абхазской сторонами.

!. Организовать встречу представителей молодежи обеих сторон в Цинанадали.

2. Организовать встречи представителей различных политических кругов обеих сторон.

3. Поддержать сотрудничество организаций ветеранов войны и Ûнвалидов двух сторон.

4. Поддержать продолжение встреч старейшин сторон.

5. Поддержать проведение семинаров молодых ученых обеих сторон в рамках проектов Тбилисской школы политических исследований.

6. Организовать встречи студентов, руководителей и преподавателей университетов и других высших учебных заведений сторон, в том числе,

историков с целью восстановления научных связей, обмена информаций и лекциями.

7. Поддержать продолжение контактов между руководителями Тбилисской и Сухумской бибилиотек.

8. Организовать встречи представителей Советов писателей сторон.

9. Поддержать инициативу по восстановлению деятельности “Сухумприбора” при участии представителей обеих сторон.

10. Поддержать продолжение встреч представителей авипредприятий обеих сторон.

11. Продолжить тесное сотрудничество по вопросу о перемещении в безопасное место хранения радиоактивных отходов, находящихся на терртиории сухумского Физико-технического института.

12. Наладить сотрудничество сторон в области виноделия.

13. Содействовать освещению средствами массовой информации процесса взаимопонимания между сторонами в рамках исполнения программы действий по укреплению мер доверия, в том числе, деятельности Координационного совета, его рабочей групп, Двусторонней грузино-абхазской Координационной комиссии, а также в осуществлении совместных проектов в области экономики, культуры, образования, деятельности неправительственных организаций и т.д.

14. Расширить обмен газетами между абхазской и грузинской сторонами путем передачи сторонами друг другу разного количества экземпляров “Сакартвелос Республика” и “Апсны” при финансовом и материальном содействий ООН и ОБСЕ.

15. Для боле оперативного обмена информацией, оказать техническое содействие для установления прямой электронной связи между “Апсныпресс” и “Кавказпресс” и другими средствами массовой информации сторон при содействии ООН.

## საქართველოს პრეზიდენტის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**N 105 2001 წლის 19 მარტი ქ. თბილისი**

## საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესისათვის ხელშეწყობის შესახებ

ეუთოს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე მიღებული საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადების დებულებათა რეალიზაციის მიზნით, სამხედრო საკითხებზე მიმდინარე საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების მეხუთე რაუნდის ოქმის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესისათვის ხელშესაწყობად და პრაქტიკული საკითხების ადგილზე გადასაწყვეტად:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აგვისტოს N356 ბრძანებულების თანახმად შექმნილი საქართველოს მხარის ოპერატიულ-ტექნიკურ კომისიას მიენიჭოს რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესისათვის ხელშეწყობისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის სათანადო უფლებამოსილება, რათა გადაჭრას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების დროს წარმოქმნილი საორგანიზაციო, ტექნიკური და სხვა პრობლემები.

2. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესში რუსეთის ფედერაციის კუთვნილი შეიარაღებისა და სხვა ქონების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის უზრუნველსაყოფად საქართველოში ავტოსატრანსპორტო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შემოტანასთან, აგრეთვე აღნიშნული შეიარაღებისა და ქონების გატანასთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელებისა და საგზაო ფონდის გადასახადის გადახდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აღნიშნული შეიარაღებისა და ქონების საქართველოს ტერიტორიიდან გატანისთვის საჭირო სამუშაოებისა და ექსპორტ-იმპორტის პროცედურების შეუფერხებლად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) დაუყოვნებლივ შეიმუშავოს და აცნობოს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელებისა და საგზაო ფონდის გადასახადის დაფარვის წესი და კონკრეტული ვადები.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თევზაძე) შეათანხმოს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო და სხვა სახის გადასახადებისაგან გასათავისუფლებელი, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესში რუსეთის ფედერაციის კუთვნილი შეიარაღებისა და სხვა სამხედრო ქონების ქვეყნის ფარგლებს გარეთ

გატანის უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების კვოტები.

5. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა (გ. გაჩეჩილაძე), საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე), საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ (ნ. ნიჟარაძე) და საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა (ბ. სარალიძე) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ რუსეთის ფედერაციის კუთვნილი შეიარაღებისა და სხვა სამხედრო ქონების ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანისათვის საჭირო პირადი შემადგენლობის, სატრანსპორტო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიიდან გასატანი შეიარაღებისა და სხვა სამხედრო ქონების საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული წესის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე, საჰაერო სივრცეში და სახელმწიფო საზღვარზე შეუფერხებელი გატარება და მისი შესაბამისი საბაჟო ფორმალობების შესრულება.

6. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) ბრძანებულების ამოქმედებიდან ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეთა შეუფერხებელი გატარება სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სიისა და სამხედრო ბილეთის საფუძველზე.

7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) აცნობოს რუსეთის მხარეს, რომ ბრძანებულების ამოქმედებიდან ერთი თვის განმავლობაში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უვიზო გადაკვეთის საშუალება მხოლოდ ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესში დასაქმებული პირების სიის თანახმად, რომლის შეთანხმებაც უნდა მოხდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, ხოლო ამ ვადის განმავლობაში რუსეთის მხარემ უნდა უზრუნველყოს ბაზების გაყვანის პროცესში დასაქმებული პირებისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა პასპორტების გაცემა და შემდგომში მათთვის საქართველოში შემოსვლის/გასვლის ვიზების აღება.

*ე. შევარდნაძე*

## Заявление Председателя Совета Безопасности ООН

На 4299-м заседании Совета Безопасности, состоявшемся 21 марта 2001 года в связи с рассмотрением Советом пункта, озаглавленного «Положение в Грузии — письмо исполняющего обязанности Постоянного представителя Украина при Организации Объединенных Наций от 17 марта 2001 года на имя Генерального секретаря (S/2001/242)», Председатель Совета Безопасности от имени членов Совета сделал следующее заявление:

«Совет Безопасности приветствует успешное проведение Третьей встречи грузинской и абхазской сторон по укреплению мер доверия, состоявшейся 15–16 марта 2001 года в Ялте, и возобновление диалога между ними и принимает к сведению подписанные там документы (S/2001/242). Он надеется, что деятельность по достигнутым на встрече в Ялте результатам приведет к сближению позиций двух сторон и будет стимулировать продолжение конструктивного диалога, направленного на достижение всеобъемлющего политического урегулирования конфликта, включая урегулирование вопроса о политическом статусе Абхазии в составе Государства Грузия и других ключевых проблем. Совет подчеркивает тот вклад, который меры укрепления доверия могут внести в мирный процесс, и высоко оценивает усилия, предпринятые правительством Украины для обеспечения успешного проведения ялтинской встречи.

Совет Безопасности вновь заявляет о своей поддержке усилий, предпринимаемых Специальным представителем Генерального секретаря в целях расширения контактов на всех уровнях между грузинской и абхазской сторонами в тесном сотрудничестве с Российской Федерацией в качестве содействующей стороны, а также Группой друзей Генерального секретаря и Организацией по безопасности и сотрудничеству в Европе.

Совет Безопасности призывает обе стороны подтвердить их приверженность участию в мирном процессе. Совет отмечает заявления о готовности обеих сторон содействовать созданию благоприятных условий для продолжения мирного процесса, заявленные ими обязательства воздерживаться от применения силы и проявленную ими решимость активизировать усилия в целях создания необходимых условий для добровольного возвращения перемещенных внутри страны лиц и беженцев в условиях безопасности и уважения достоинства. Совет также отмечает тот важный вклад, который Миссия Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии и Коллективные миротворческие силы Содружества Независимых Государств продолжают вносить в обеспечение стабилизации ситуации в зоне конфликта.

Совет Безопасности подчеркивает недопустимость самоуправного проведения местных выборов в Абхазии, Грузия, 10 марта 2001 года, которые он считает незаконными и контрпродуктивными. Организация этих выборов представляет собой дополнительное препятствие в попытках достижения всеобъемлющего урегулирования конфликта на основе норм международного права.

Совет Безопасности подчеркивает важное значение переговоров по основополагающим политическим вопросам, касающимся этого конфликта. В этой связи Совет ожидает, что Генеральный секретарь проведет брифинг о прогрессе, достигнутом в политическом урегулировании, в том числе о ходе разработки проекта документа, который его Специальный представитель намеревается представить двум сторонам, о чем говорится в пункте 16 его резолюции 1339 (2001) от 31 января 2001 года.

Совет Безопасности будет продолжать активно заниматься этим вопросом и подтверждает свою приверженность продвижению вперед мирного процесса».

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 262 2001 წლის 6 აპრილი ქ. თბილისი**

**სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტისათვის დამატებით 20 საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ**

დაკმაყოფილდეს სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თხოვნა და „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესრულების მიზნით 2001 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს დამატებით გამოეყოს 20 საშტატო ერთეული მისთვის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ე. შევარდნაძე

ძალადაკარგულია
საქ. პრეზიდენტის
02/06/2003 N 109
განკარგულებით

შეტანილია ცვლილებები
საქ. პრეზიდენტის
08/01/2001 N 791
03/05/2002 N 260
განკარგულებებით

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 334 2001 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი**

**იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების პირველი ეტაპის დამთავრებისა და შემდგომში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ**

გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინატორის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა ოფისის ეგიდით,

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დროებითი განსახლების პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური მოგვარების შემდგომ რეგიონების სოციალური და ეკონომიკური აღორძინების პროგრამის მომზადებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 იანვრის N89 განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელმაც საქართველოს მხრიდან განახორციელა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების პირველი ეტაპის სამუშაოები.

პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, მიღებული გამოცდილებების შედეგად დღის წესრიგში დადგა სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და მუშაობის რეგლამენტის შეცვლა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების მეორე ეტაპის განხორციელების მიზნით:

1. შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| **გიორგი არსენიშვილი** | - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე |
| **თედო ისაკაძე** | - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| **ვალერი ვაშაკიძე** | - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| **გურამ ვახტანგიშვილი** | - საქართველოს პარლამენტის წევრი |
| **მალხაზ კაკაბაძე** | - საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი |
| **თეიმურაზ მოსიაშვილი** | - საქართველოს პრეზიდენტთან არსებული დსთ-სა და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარე, კომისიის მდივანი |
| **მარინა ფაღავა** | - საზოგადოებრივი ორგანიზაცია - „დაეხმარე საკუთარ თავს" |
| **ვახტანგ ყოლბაია** | - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე |
| **ელდარ შენგელაია** | - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე |
| **ლონდერ ცაავა** | - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **დაზმირ ჯოჯუა** | - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი. |

2. კომისიის მუდმივმოქმედი სამუშაო რგოლის ფუნქცია დაეკისროს საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ დსთ-სა და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (თ. მოსიაშვილი).

3. სამთავრობო კომისიის მდივანმა თ. მოსიაშვილმა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ახლებური მიდგომის პირველი ეტაპის შედეგად მიღებული

გამოცდილებების გათვალისწინებით ერთ თვეში წარმოადგინოს სამთავრობო კომისიის მუშაობის წესი და რეგლამენტი.

4. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა სამთავრობო კომისიის მოთხოვნისთანავე უზრუნველყონ ექსპერტების წარმოდგენა.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 იანვრის N89 განკარგულება.

6. სამთავრობო კომისიამ გაწეული საქმიანობის შესახებ სისტემატურად მოახსენოს საქართველოს პრეზიდენტს.

*ე. შევარდნაძე*

**Выступление**

**Представителя Российской Федерации в СБ ООН С. В. Лаврова по пункту повестки дня «Положение в Грузии»**

**<u>24 апреля 2001 года</u>**

Рады приветствовать на нашем заседании Спецпредставителя Генсекретаря ООН Д. Бодена и признательны ему за подробный брифинг. Мы ценим усилия Д. Бодена по содействию урегулирования грузино-абхазского конфликта и стараемся эти усилия поддерживать.

Исходим из того, что смысл и практическое назначение проекта документа о разграничении конституционных полномочий между Тбилиси и Сухуми - предложить грузинской и абхазской сторонам разумную и достаточно гибкую основу для последующих прямых переговоров между ними с выходом, в случае успеха этих переговоров, на соглашение о полномасштабном урегулировании конфликта. Поручение Д. Бодену относительно подготовки проекта документа сформулировано Советом Безопасности ООН именно в таком ключе.

Этот проект должен содержать именно предложения, а не выглядеть как ультиматум, предъявляемый какой-либо из сторон либо обеим сразу от имени СБ ООН или, тем более, от имени ГДГ. Иной подход противоречил бы утвержденной ранее в рамках СБ ООН линии на «переговорный» формат грузино-абхазского урегулирования.

Разумеется, проект документа и особенно его ключевой пункт 2 должен содержать разделяемый всеми членами Совета принцип сохранения территориальной целостности Грузии. Это - естественно. Но, с другой стороны, если мы хотим стимулировать переговорный процесс между Тбилиси и Сухуми, то, в нашем понимании, проект документа должен быть составлен в достаточно гибком виде с тем, чтобы иметь наибольшие шансы быть принятым обеими сторонами, подчеркиваю - обеими сторонами, в качестве основы для последующих переговоров между ними. Именно с тем, чтобы повысить шансы на завязывание таких переговоров, мы считаем оправданным, чтобы на первом

этапе сторонам был предложен «краткий» проект, а ключевой п.2 был бы составлен в трех вариантах.

Если же будет предложена бескомпромиссная формулировка, содержащая крен в пользу одной из сторон, то, по нашей оценке, она не имеет перспективы стать взаимоприемлемой основой для последующих переговоров, а значит - не соответствует смыслу и назначению проекта документа, как они сформулированы в соответствующих резолюциях СБ ООН.

Со своей стороны, мы предлагаем подумать над следующими вариантами формулировок: «Абхазия в составе общего государства с Грузией» и «Отношения между Абхазией и Грузией основываются на конституционных договоренностях, обеспечивающих интересы многонационального населения Абхазии и ее государственности и уважении суверенитета и территориальной целостности государства Грузия в его международно признанных границах».

Предлагаемые нами формулировки не появились в одночасье, и мы предлагаем их не потому, что хотим противопоставить наше мнение мнениям других членов ГДГ. Формулировка «общего государства» была основой для имевших место летом 1997 г. грузино-абхазских переговоров, в ходе которых стороны были наиболее близки к подписанию базового документа о полномасштабном урегулировании.

Второе наше предложение как по смыслу, так и текстуально опирается на решение СГГ СНГ от 22 августа 1994 г., которое положило начало миротворческой операции СНГ в зоне грузино-абхазского конфликта, а главное - определило цели и задачи этой операции. Хотим особо обратить внимание членов Совета на то, что под этим решением стоит подпись Президента Грузии Э. А. Шеварднадзе, т.е. можно исходить из того, что согласие грузинской стороны с таким вариантом формулировки пункта 2 имеется. Полагаем, что этот вариант с упоминанием об «интересах многонационального населения Абхазии и ее государственности», по нашим оценкам, может быть принят в качестве основы для переговоров и абхазской стороной. Во всяком случае, этот вариант, по нашей оценке, дает гораздо больше шансов Тбилиси и Сухуми, нежели просто формулировка «Абхазия в составе государства Грузия».

Мы поддерживаем предложение о принятии по итогам сегодняшнего заседания заявления Председателя Совета. Считаем, что согласованный в Группе друзей Генсекретаря и одобренный членами Совета проект заявления дает ясные ориентиры Спецпредставителю Генсекретаря ООН в отношении его дальнейшей работы со сторонами по документу о разграничении конституционных полномочий между Тбилиси и Сухуми. Особо хотели бы в этой связи выделить содержащееся в проекте заявления положение о том, что документ, который Д. Боден намерен представить сторонам, является стартовой точкой для переговоров и никоим образом не преследует цель навязать сторонам возможное решение. Хотели бы также присоединить свой голос к призыву к грузинской и абхазской сторонам проявить конструктивизм с целью достижения взаимоприемлемого урегулирования.

## Заявление Председателя Совета Безопасности ООН

На 4314-м заседании Совета Безопасности, состоявшемся 24 апреля 2001 года в связи с рассмотрением Советом пункта, озаглавленного «Положение в Грузии», Председатель Совета Безопасности сделал от имени Совета следующее заявление:

«Совет Безопасности приветствует брифинг, проведенный 24 апреля 2001 года Специальным представителем Генерального секретаря в соответствии с пунктом 16 резолюции 1339 (2001) Совета Безопасности от 31 января 2001 года. Он также приветствует присутствие министра по особым поручениям Грузии на своем заседании.

Совет Безопасности подчеркивает, что продолжающееся отсутствие прогресса по ключевым вопросам всеобъемлющего урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, является неприемлемым. Он подчеркивает решающее значение скорейшего проведения переговоров по основополагающим политическим вопросам, касающимся этого конфликта. В этой связи он полностью поддерживает усилия Специального представителя Генерального секретаря по содействию достижению всеобъемлющего политического урегулирования на основе резолюций Совета Безопасности, которое должно включать урегулирование вопроса о политическом статусе Абхазии в составе Государства Грузия.

Совет Безопасности полностью поддерживает, в частности, намерение Специального представителя представить в ближайшем будущем свой проект документа, содержащий адресованные сторонам конкретные предложения по вопросу о распределении конституционных полномочий между Тбилиси и Сухуми. Он призывает всех, кого это касается, использовать свое влияние в целях содействия этому процессу.

Совет Безопасности приветствует намерение Специального представителя представить сторонам в ближайшее время проект документа в качестве исходного пункта для переговоров, а не в качестве попытки навязать или диктовать какое-либо возможное решение. Он призывает стороны конструктивно принять данный документ в этом свете и добиваться достижения взаимоприемлемого урегулирования.

Совет Безопасности будет продолжать активно заниматься этим вопросом и подтверждает свою приверженность продвижению вперед мирного процесса».

**24 апреля 2001 г.**

## მიმართვა
## აფხაზეთის მოსახლეობას
## საერთაშორისო თანამეგობრობას

თითქმის ათეული წელიწადია ბოლო არ უჩანს აფხაზეთის ტრაგედიას. გარეშე ძალების მიერ თავს მოხვეულმა ძმათამკვლელმა ომმა გახლიჩა აფხაზეთის - ჩვენი საერთო მამულის მოსახლეობა, მოძმე, ნათესავი, და

ახლობელი ხალხები, რომლებიც საუკუნეობით გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მშვიდობიანად და სიყვარულით, მამა-პაპათა ტრადიციებზე ზრდიდნენ ახალ თაობებს, აშენებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, საერთო ძალისხმევით უზრუნველყოფდნენ მდიდარ და შეძლებულ ქვეყანას.

ომმა დაანგრია და გააჩანაგა აფხაზეთი; დაიღუპა და დასახიჩრდა ათეული ათასობით ადამიანი, დევნილად იქცა მოსახლეობის ოთხი-მეხუთედი: ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები. განადგურდა ეკონომიკის ტრადიციული დარგები, სიდუხჭირესა და სიღატაკეში ცხოვრობს დარჩენილი და დაბრუნებული მოსახლეობა, მძლავრობს კრიმინალური განუკითხაობა, ძალადობა.

მეტად მძიმეა საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მიმოფანტული დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის ხვედრი, რომელიც არასოდეს შეურიგდება აფხაზეთის დაკარგვას, ისტორიული სამშობლოდან გაძევებას, შეურაცხყოფასა და დამცირებას.

აფხაზეთში და დევნილებში იზრდებიან ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული ახალგაზრდა თაობები, რომელთა უმრავლესობაში პრობლემის მოუგვარებლობის გამო ყალიბდება შურისძიებისა და სისასტიკის გრძნობა, რაც შესაძლებელია გახდეს სამომავლოდაც ჩვენი პერმანენტული უბედურების წყარო.

სამწუხაროდ, დღემდე ნაკლებადნაყოფიერია ქვეყნის ხელისუფლების, აფხაზური და ქართული მხარეების, მსოფლიო გაერთიანების ძალისხმევა აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის. შედეგად აფხაზეთში კვლავ იღუპებიან ჩვენი შვილები - ქართველები და აფხაზები, ძაძებს ვერ იხდიან დედები, ობლდებიან ბავშვები, ქვრივდებიან ქალები, უბედურდებიან ოჯახები.

მოხდა ის, რაც უძველესი დროიდან უპატიებელ ცოდვად და სირცხვილად ითვლებოდა ქართველებსა და აფხაზებში: გახლეჩილი საზოგადოება, მიტოვებული საერთო საფლავები, გაუკაცრიელებული სახლები და ეზო-კარები, გათიშული შერეული ოჯახები, დაშორიშორებული სისხლით ნათესავი და მოგვარეები, თანაქალაქელები და თანასოფლელები, მეზობლები და მეგობრები, მორდუები და ნათლიმამები, რომელთაც, როგორც წესი, არც ოდესმე ჰქონიათ რაიმე სადაო და გასაყოფი და არც ამჟამად მიაჩნიათ ერთმანეთი მტრებად და მოძულეებად.

დრომ და უსასტიკესმა რეალობამ ბევრი რამ შეცვალა. უცხო ძალების მიერ ინსპირირებულმა ომმა არავის მოუტანა და არც, შეეძლო მოეტანა გამარჯვება, რასაც ყოველდღიურად აცნობიერებენ ენგურგაღმა და გამოღმა ერთმანეთს მონატრებული აფხაზეთელები, აფხაზეთის საუკეთესო შვილები, უბრალო ადამიანები. აფხაზეთის მკვიდრებს სწყურიათ სამართლიანი მშვიდობა და თანხმობა, დევნილები მოითხოვენ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას, უსაფრთხო და მშვიდი ცხოვრების დაწყებას.

ბოლო წლებში ხალხის წიაღში წარმოიშვა მოძრაობა აფხაზეთის მოსახლეობის გასამთლიანებლად, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის უფრო მაღალი სტატუსის კონსტიტუციური განსაზღვრის დასაჩქარებლად, რომელშიც აფხაზეთის

ყველა მცხოვრებს ექნება ცივილიზებული სამართლებრივი ნორმებით გარანტირებული, დემოკრატიითა და თავისუფლებით უზრუნველყოფილი შესაძლებლობანი.

საქართველოში, საკუთრივ აფხაზეთში, უეჭველად მიაჩნიათ, რომ უნდობლობის დაძლევის პირველი პირობაა ადამიანებს შორის პირდაპირი დიალოგების განვითარება, კონტაქტები სხვადასხვა დონეზე, უხუცესთა კავკასიური ფენომენის გააქტიურება, რაც უახლოეს დროში უნდა დაგვირგვინდეს დევნილი მოსახლეობის მშობლიურ ადგილებში უსაფრთხო და შეუქცევადი დაბრუნებით, ცხოვრების ადამიანური მოწყობით.

აფხაზეთის საზოგადოებრიობაში, მოსახლეობის უმეტესობაში, რომელთაც პირადად გადაიტანეს უმძიმესი განსაცდელი, არსებობს მზადყოფნა, რათა საერთო მამულში შედგეს დიდი შერიგება ერთმანეთს, გაუწოდონ სინანულის და ურთიერთმიტევების ხელი, დადონ თანადგომისა და უღალატობის რაინდული ფიცი.

აფხაზეთის გამთლიანებულ მოსახლეობას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობას, აქვს ძალა და შესწევს უნარი მშვიდობიანად იცხოვროს აფხაზეთში, არ აჰყვეს პოლიტიკური კონიუნქტურას, იკისროს პასუხისმგებლობა აფხაზეთის მომავლისათვის.

ხალხებს აქვთ ურყევი ნება და გადაწყვეტილება:

- არ დაუშვან დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, კონფლიქტები და გაუგებრობანი მოაგვარონ მშვიდობიანი საშუალებებით, წინ აღუდგნენ იძულების მცდელობას, სისხლის აღებას, თავისუფლების თვითნებურ აღკვეთას, მძევლად აყვანას, ეთნიკური ნიშნით ყოველგვარ დისკრიმინაციას;
- უზრუნველყონ აფხაზეთის ყველა მცხოვრების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, არასამთავრობო სექტორის განვითარება.
- მოაწესრიგონ ქონებრივი და საბინაო ურთიერთობები, საადგილმამულო თუ სხვა ყოფით პრობლემებთან დაკავშირებული სიძნელეები;
- ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერი გააკეთონ აფხაზი ხალხის თვითმყოფადი ფასეულობების, ადათ-წესების, ტრადიციების განვითარებისათვის ყველა პირობის შესაქმნელად, ამასთან ისე, რომ დაცული და უზრუნველყოფილი იქნეს აფხაზეთის ქართველების, იქ მცხოვრები მრავალეროვნული მოსახლეობის ცივილურ უფლებათა რეალიზაცია.
- უზრუნველყოფილ იქნეს სინდისისა და რწმენის სრული თავისუფლება, მყარი და მზარდი სოციალური დაცვა, ინვალიდთა, უმწეოთა რეაბილიტაციის შესაძლებლობათა მაქსიმალური ამოქმედება;
- ხელი შეეწყოს აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის სრულფასოვან მონაწილეობას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, შესაბამისი სტატუსით აფხაზეთის თანამშრომლობას საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში ჩართვის ეკონომიკურ პროექტებში, აფხაზეთში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

აფხაზეთიდან დევნილი და იძულებით გადაადგილებული საზოგადოება იმედოვნებს, რომ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის, აფხაზი და სხვა ხალხების გამორჩეული შვილები, ინტელიგენციის წარმომადგენლები

გამოეხმაურებიან ამ მიმართვას, რათა გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები, ყველა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით ხელი შევუწყოთ ძმათა შორის გაუგებრობის დაძლევას. ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, აფხაზეთის გადარჩენას. ეს იქნება საერთო სამშობლოსა და მომავლისათვის აფხაზი ხალხის, ყველა აფხაზეთელის ერთგულების, პოლიტიკური ზნეობის, მოქალაქეობრივი მამაცობისა და სიმწიფის გამოცდა.

აფხაზეთის საზოგადოება ენგურგაღმა და გამოღმა მოელის, რომ საქართველოს ხელისუფლება, აფხაზეთის ჭეშმარიტი მამულიშვილები, მსოფლიოს საზოგადოებრიობა, გაერო, ეუთო, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები, შუამავალი - რუსეთის ფედერაცია გადადგამენ უფრო მტკიცე ნაბიჯებს, რათა მიიღონ გადამჭრელი ზომები ურთიერთდაახლოებისა და გაერთიანებისაკენ ხალხთა შემხვედრ მოძრაობის მხარდასაჭერად, სახალხო დიპლომატიის ამოუწურავი პოტენციალის პრაგმატულ სიბრტყეში გადასაყვანად.

ახლაც არც 1992-1993 და არც პოსტკონფლიქტური უნდობლობის მძიმე წლებია. ახალი რეალობები, გამთლიანებისა და გაერთიანების სახალხო ნება ყველას, ვისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის ბედი, ავალდებულებს ადეკვატურ მოქმედებას, მტკიცე და პრინციპული ნაბიჯების გადადგმას, რაც არა მარტო ისტორიულად გარდაუვალი აუცილებლობაა, არამედ უფლისგან ბოძებული შანსი.

*მიმართვა მიღებულია ერთხმად კონფერენციაზე "სახალხო დიპლომატია - პოტენციალი, პერსპექტივები აფხაზეთის საზოგადოების გამთლიანებაში".*

***თბილისი, 3 მაისი, 2001 წელი.***

**Постановление Государственной Думы Федералыного Собрания Российской Федерации**

**Об обращении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "К депутатам парламентов Азербайджанской Республики, Республики Армения, Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины"**

Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации п о с т а н о в л я е т:

1. Принять обращение Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "К депутатам парламентов Азербайджанской Республики, Республики Армения, Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины".
2. Направить настоящее Постановление и указанное Обращение в парламенты Азербайджанской Республики, Республики Армения,

Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины.

3. Направить настоящее Постановление и указанное Обращение для официального опубликования в "Парламентской газете".
4. Настоящее Постановление вступает в силу со дня его принятия.

**Председатель Государственной Думы**
**Федерального Собрания Российской Федерации Г. Н. Селезнев**
**Москва 16 мая 2001 года**
N 1493-III ГД

## Обращение Государственной Думы Федералыного Собрания Российской Федерации

К депутатам парламентов Азербайджанской Республики, Республики Армения, Грузии, Республики Молдова, Туркменистана, Республики Узбекистан, Украины

Уважаемые депутаты!

Депутаты Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации с чувством глубокого уважения обращаются к Вам, коллегам по законотворческой деятельности, в связи с ратификацией Государственной Думой Договора о Таможенном союзе и Едином экономическом пространстве и Договора об учреждении Евразийского экономического сообщества, подписанных Президентами Республики Беларусь, Республики Казахстан, Кыргызской Республики, Российской Федерации и Республики Таджикистан.

Подписанием и ратификацией этих важнейших многосторонних международно-правовых документов делается серьезный шаг на пути осуществления государствами - участниками Таможенного союза согласованного комплекса мер в сфере торгово-экономического, социального и гуманитарного сотрудничества в целях создания условий для эффективного функционирования общего рынка товаров, услуг, капитала и труда.

Открываются благоприятные возможности для более тесного взаимодействия, направленного на увеличение совокупного экономического потенциала, структурную перестройку экономики, проведение согласованной внешнеэкономической политики, координацию подходов при интеграции в мировую экономику и мировую торговую систему.

Депутаты Государственной Думы выражают уверенность в том, что реализация Договора о Таможенном союзе и Едином экономическом пространстве и Договора об учреждении Евразийского экономического сообщества будет способствовать дальнейшему развитию и углублению всестороннего сотрудничества государств - участников Содружества Независимых Государств.

Важно, что указанные договоры не направлены на создание закрытых экономических группировок, преследующих узкокорыстные цели или ущемляющих интересы других государств, и не затрагивают обязательств государств-участников по ранее заключенным ими с третьими странами

международным договорам, в том числе в рамках Содружества Независимых Государств.

Депутаты Государственной Думы убеждены, что цели Договора о Таможенном союзе и Едином экономическом пространстве и Договора об учреждении Евразийского экономического сообщества отвечают высшим интересам всех государств - участников Содружества Независимых Государств, и выражают надежду, что Ваши государства заинтересованно рассмотрят возможность присоединения к указанным договорам. В результате на новой договорной основе и с учетом опыта взаимодействия государств - участников Содружества Независимых Государств может сформироваться сильное экономическое объединение в интересах эффективного решения назревших экономических проблем государств - участников Содружества Независимых Государств, повышения их роли в международных экономических отношениях.

**г.Москва**
**16 мая 2001 года**

## Решение
## о продлении срока пребывания Коллектиных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия

Совет глав государств Содружества Независимых Государств **решил:**

1. Продлить срок пребывания и Мандат Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия, до 31 декабря 2001 года или до того времени, когда одна из сторон в конфликте выскажется за прекращение операции.

3. Настоящее Решение вступает в силу со дня его подписания.

Совершено в городе Москве 1 июня 2001 года в одном подлинном экземпляре на русском языке. Подлинный экземпляр хранится в Исполнительном комитете Содружества Независимых Государств, который направит каждому государству, подписавшее настоящее Решение его заверенную копию.

Решение не подписано Туркменистаном. Украиной

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 685 2001 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი**

## ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობაში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ

"2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობების 2001 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით:

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ.ვაშაკიძე) 2001 წლის 10 ივლისამდე ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობების 2001 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების დაზუსტებული მონაცემები წინა წლებში (წლების მიხედვით) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ფაქტიური რიცხოვნობისა და შემწეობებზე ფაქტიურად დარიცხული და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონტროლის პალატის, გენერალური პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობაში დადგენილი ფაქტები.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე მიმდინარე წლის ივლისიდან დაიწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობაში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა.

3. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობაში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა პირველ რიგში განხორციელდეს "2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა შემწეობის მუხლით განსაზღვრულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე.

4. "2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დავალების შესრულებისას ფინანსთა სამინისტრომ ლტოლვილთა შემწეობებში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების მოცულობისა და მისი დაფარვის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში წარადგინოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე.

5. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გ. არსენიშვილმა.

*ე. შევარდნაძე*

**Седьмая Сессия Рабочей Группы Один**
**Сухуми. 10 июля 2001**

## Совместное Заявление

Седьмая Сессия Рабочей Группы Один Координационного Совета была проведена во вторник 10 июля 2001 г. в штабе МООННГ в Сухуми. Сессия проходила под председательством Главного Военного наблюдателя МООННГ генерал-майора Аниса Баджуа. грузинскую делегацию возглавлял г-н Малхаз Какабадзе, абхазскую делегацию возглавлял Генерал-лейтенант Гиви Агрба, делегацию КСПМ СНГ возглавлял Генерал-майор Николай Сидорычев. г-н Дитер Боден, Специальный представитель Генерального Секретаря ООН обратился к участникам и объявил об открытии Сессии.

1. На данной Сессии, Группа обсуждала два основных вопроса: во первых, работа Совместной Группы по исследованию фактов и работа Совместной Группы; во вторых, определение границ Линии Ограничения Тяжелых Вооружений по обе стороны Линии прекращения огня.

2. МООННГ и обе стороны подвели итоги работы Совместной Группы по исследованию фактов и Совместной Группы. Сессия согласилась со следующими рекомендациями. Она предлагает данные рекомендации для одобрения Координационного Совета.

а. Обе стороны будут продолжать работать в духе взаимного доверия для того, чтобы предотвращать нарушения Московского Соглашения, сокращать уровень преступности в зонах своей ответственности и привлекать преступников к суду.

б. Вместе с тем, все назначенные члены обеих Групп должны добросовестно принимать участие как во встречах, так и в расследованиях Совместной Группы по исследованию фактов и Совместной Группы. В том случае, если член Совместной Группы не может принять участие, его должен заменить заместитель. Эти заместители будут назначаться официально. Если какая-либо из сторон захочет поменять своего представителя в какой-либо из Групп, это должно быть сделано официально в письменной форме.

в. На четырехсторонних встречах Стороны обмениваются письменной информацией по происшествиям.

3. Перед. Сессией, обе Стороны обратились к КСПМ СНГ с предложением изменить границы Зоны Ограничения Тяжелых Вооружений. Ни по одной рекомендации не было достинуто согласие. Обе стороны рассмотрят предложения и дадут окончательный ответ до следующего заседания Координационного Совета, который состоится 17 июля 2001г.

4. Восьмая сессия Рабочей Группы Один состоится в штабе МООННГ в Тбилиси, в середине сентября 2001г.

**За Грузинскую сторону За Абхазскую сторону**
**МОНИАВА Поликарп АГРБА Гиви**
**Генерал-лейтенант**

**За МООННГ За КСПМ СНГ**

**БАДЖУА Анис СИДОРЫЧЕВ Николай**
**Генерал - майор Генерал-майор**

**10 июля 2001**

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 706 2001 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი**

კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) გამოუყოს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულ თეატრს 5000 (ხუთი ათასი) ლარი „2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონში გასტროლებისათვის.

*ე. შევარდნაძე*

საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**N 281 2001 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი**

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთში სამარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიიდან ენგურს გამოღმა გამოდევნილი 300 ათასზე მეტი ადამიანი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევით და საქართველოს მოსახლეობის პრაქტიკული მხარდაჭერით მოხერხდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ფიზიკური გადარჩენა და მათთვის ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა. მიუხედავად დღემდე განხორციელებული ღონისძიებებისა, პრობლემები კვლავაც მრავლად არის.

დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფის მიზნით:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ლ.ცაავა):

ა) გააგრძელოს მუშაობა აღმასრულებელი სისტემის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით დევნილობაში მოღვაწეობისა და აფხაზეთში დაბრუნების შემდგომ პერიოდში ეფექტიანი საქმიანობის ოპტიმალური მოდელის შექმნის მიზნით; აღმასრულებელი სისტემის რეორგანიზაციის პროცესში იხელმძღვანელოს ყოველი კონკრეტული უწყების რეალური დატვირთვის აუცილებლობიდან გამომდინარე;

ბ) ხელი შეუწყოს ტრადიციების მქონე საწარმოო, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სხვა დაწესებულების ეფექტიან საქმიანობას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების რიტმულობის, სხვა მატერიალური წახალისების ღონისძიებათა განხორ-ციელება;

გ) გააააქტიუროს საქმიანობა კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვისათვის, აამაღლოს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროების, საშემოსავლო უწყებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს მათი ძალისხმევის კოორდინაცია და კონტროლი;

დ) საქართველოს მთავრობის სხდომებზე განსახილველად წარმოადგინოს ნორმატიული აქტების პროექტები, რომელთა განხილვა და დამტკიცება ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, მათი სტრუქტურების შედეგიან საქმიანობას არასტანდარტულ ვითარებაში;

ე) განავითაროს და სრულყოს აფხაზეთიდან იძულებით გადაად-გილებული მოსახლეობის ურთიერთობის პრაქტიკა მათი ცხოვრების პირობების შესწავლის, ცალკეული გადაუდებელი პრობლემის მოგვარების, სათანადო ახსნა-განმარტებითი და საინფორმაციო მუშაობის გაფართოების მიზნით;

ვ) შეიმუშაოს დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, დევნილი მოქალაქეების უფლებათა დაცვის მუდმივი კონტროლის სისტემა, ფორმები და მეთოდები, სისტემატურად შეისწავლოს საქართველოს სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობა ამ მიმართულებით და შედეგების შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას, შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს, აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელებს სათანადო რეაგირების მიზნით; ამ საქმიანობის განსახორციელებლად ფართოდ გამოიყენოს ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესაძლებლობები;

ზ) აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს სამინისტროებთან, სახელმწიფო დეპარტამენტებთან, სხვა აღმასრულებელ სტრუქტურებთან, ქვეყნის რეგიონებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან აფხაზე-თიდან იძულებით გადაადგილებულთა დახმარებისათვის ერთობლივი ზომების განსახორციელებლად; დაამყაროს საქმიანი კონტაქტები საქართველოში მოქმედ საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთან, საერთაშორისო მისიებთან, საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფხაზეთის ავტო-ნომიური რესპუბლიკის სტრუქტურების, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის შესაბამისი ჰუმანიტარული, საქველმოქმედო პროგრამების განხორციელების მიზნით;

თ) საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან ე. კვიციანთან ერთად განახორციელოს კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ.ვაშაკიძე):

ა) საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან (მ.ჩხენკელი) და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლოს დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებულ შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა და შეადგინოს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოთა ნუსხა; წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის განსახილველად სამუშაოთა განხორციელების გეგმა, დაფინანსების წყაროების მითითებით, საქართველოს ცენტრა-ლური ბიუჯეტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყოველთვიური საფინანსო დახმარების სრულყოფილად გაცემის მიზნით ხელი შეუწყოს ტენდერში გამარჯვებული ბანკის საქმიანობას, მკაცრი კონტროლი დაუწესოს დევნილი მოსახლეობისათვის თანხების დროულად გაცემას. გამორიცხოს არაორგანიზებულობის, შეფერხების, სხვა ნაკლო-ვანებათა გამომწვევი სუბიექტური ფაქტორები.

3. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (დ.ჯიბლაშვილი) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, ადგილებ-ზე ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებთან ერთად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ფარგლებში მიიღოს გადამჭრელი ზომები დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების ელექტროენერგიით შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ.ნოღაიდელი):

ა) უზრუნველყოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით დაწესებულ ვადებში იძულებით გადაადგილებული პირებისათვის წინა წლების დავალიანების დაფარვა და მათთვის

სახელმწიფო შემწეობის თანხების ყოველთვიური შეუფერხებელი გამოყოფა. მიმდინარე წლის III კვარტალში დაიფაროს ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე არსებული საბიუჯეტო დავალიანება იმის გათვალისწინებით, რომ 2001 წლის ბოლოსათვის გარანტირებულ იქნეს აღნიშნული ბიუჯეტის სრულად დაფინანსება საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ) მიიღოს საგანგებო ზომები მიმდინარე წლის მესამე კვარტალში აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის 2001 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 500 ათასი ლარის სპეციალური ტრანსპერტის სრულად გამოყოფის მიზნით, ამასთან კატეგორიულად გამორიცხოს ამ ღონისძიების განხორციელება მიმდინარე დაფინანსების შემცირების ხარჯზე.

5. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ (ი.ჩხარტიშვილი) ხელი შეუწყოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დევნილობის პირობების გათვალისწინებით, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების კონცეფციებისა და კონკრეტული პროგრამების ისეთი პროექტების დამუშავებაში, რომლებიც მაქსიმალურად მიესადაგება აფხაზეთში დაბრუნების ეტაპზე ავტონომიური რესპუბლიკის სარეაბილიტაციო საქმიანობას.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (დ.კირვალიძე) შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოს დახმარება აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას საქართველოში ჰუმანიტარული დახმარებით შემოტანილი სასურსათო და სხვა სახის პროდუქციით უზრუნველყოფას, აგრეთვე ხელი შეუწყოს ადგილებზე დევნილ გლეხთა საკრედიტო კავშირების განვითარებას.

7. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (მ.ადეიშვილი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს აღუდგინოს და ყოველწლიურად გამოუყოს ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად საავტომობილო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვისათვის საერთაშორისო ყოველწლი-ური კვოტების საერთო რაოდენობის 10 პროცენტი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისადმი ახლებურად მიდგომის პროგრამების ხელშემწყობმა სახელმწიფო კომისიამ (გ.არსენიშვილი), საქართველოს საინვესტიციო საბჭოს სამდივნომ (თ.ბასილია), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ა.ჯორბენაძე), განათლების სამინისტრომ (ა.კარტოზია), კულტურის სამინისტრომ (ს.გოგიბერიძე) მათი კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში გაითვალისწინონ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნები, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი სისტემის შესაბამისი სფეროების განვითარებისათვის აუცილებელი მიზნობრივი პროექტების განხორციელება; განიხილონ ამ თვალსაზრისით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი

კონკრეტული წინადადებები და განახორციელონ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ ორ თვეში წარმოადგინონ წინადადებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ დევნილებისათვის შემოტანილი ტვირთების ჰუმანიტარული ხასიათის დადგენის, ამ ტვირთების მიზნობრივი გამოყენებისა და მისი კონტროლის განსახორციელებლად ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დეპარტამენტისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

10. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტელევიზიის II არხის პროგრამების გავრცელება მნიშვნელოვნად შეზღუდულია საქართველოს ტერიტორიაზე და ვერ აკმაყოფილებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნილებას, ეთხოვოს საქართველოს ტელერადიომაუწყებლობას (ზ.შენგელია) აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიერ აფხაზეთის ტელევიზიისათვის ახალი ტელეაპარატურის შეძენის შემდეგ კვირაში ერთხელ უზრუნველყოს პირველი არხით აფხაზეთის ტელევიზიის პროგრამის გავრცელება 16 სთ-დან 18 სთ-მდე; ამასთან, ძალაში დატოვოს ამ მიზნით II არხის გამოყენების არსებული პრაქტიკა.

11. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ.თევზაძე), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ.თარგამაძე), სახელმწიფო უშიშროების სამინის-ტრომ (ვ.ქუთათელაძე), საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ (მ.მაჭავარიანი), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბ.ჯიქიამ განახორციელონ ღონისძიებები მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე, აფხაზეთის ტერიტორიის გამყოფ პერიმეტრზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გალის რაიონიდან ბოევიკთა შემოჭრის, მოქალაქეთა გატაცების, ოჯახების დარბევის, ყაჩაღობის, ქურდობის, მდინარე ენგურზე უკანონო ტვირთბრუნვისა და დანაშაულის სხვა ფაქტების აცილებისათვის, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკუ-რატურამ (გ.მეფარიშვილი) ამ ფაქტების გამოვლენისა და გამოკვლევისათვის საპროკურორო ზედამხედველობის, სისხლის სამართლებრივი დევნის, სრული მოცულობით წინასწარი გამოძიების ჩატარებისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიზნით.

12. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ე. კვიციანმა საქართველოს პროკურატურასთან, თავდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში ერთ თვეში განსახილველად წარმოადგინოს აუცილებელი სამოქმედო პროგრამა ხეობაში კრიმინოგენური სიტუაციის რადიკალურად გაუმ-ჯობესების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ადამიანის გატაცების, მძევლად აყვანის, მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ძებნილ პირთა დაკავების აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

13. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გ.არსენიშვილმა აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის გათვალისწინებით ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებები გალის რაიონის სარეაბილიტაციო კომპლექსური პროგრამის დამუშავების კომისიის გადახალისების შესახებ.

14. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი.მენაღარიშვილი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, სხვა შესაბამის უწყებასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებები დსთ-ს ქვეყნებში აფხაზეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის, შესაბამისი საელჩოების მეშვეობით შეისწავლოს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა დიდი კონცენტრაციის ქალაქებში მათი ცხოვრების პირობები, ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ზოგადი მოთხოვნები და მიიღოს სათანადო ზომები; განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ამ კუთხით რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები აფხაზეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეთა პრობლემებზე ბოლო დროს ორ სახელმწიფოს შორის სავიზო რეჟიმის გამკაცრებიდან გამომდინარე.

15. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიამ, სამინისტროებმა, დეპარტამენტებმა, სხვა უწყებებმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მიიღონ დამატებითი ზომები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 7 მაისის N178 ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

16. ბრძანებულება ფართოდ გაშუქდეს პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი.

*ე. შევარდნაძე*

## საქართველოს პარლამენტის
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის გამო და აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ

დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება - დადგენილ ვადებში არ დახურა გუდაუთის სამხედრო ბაზა.

საქართველოს პარლამენტი კვლავაც ადასტურებს ქვეყნის ერთგულებას ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ეუთოს სტამბოლის ერთობლივი განცხადების ყველა მოთხოვნა.

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა საშიში პრეცედენტია და საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და მსოფლიო მართლწესრიგს.

1992-1994 წლებში აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნა ეუთომ შეაფასა როგორც ეთნიკური წმენდა, ხოლო ევროპარლამენტმა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან უვიზო რეჟიმის შემოღება - ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.

რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის გაჭიანურება საერთაშორისო ხელშეკრულების უხეში დარღვევა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის აშკარა მხარდაჭერაა. ეს დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმულმა არამეგობრულმა ნაბიჯებმა, რაც გამოიხატა საქართველოსთან შეუთანხმებლად უვიზო რეჟიმის შემოღებით სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებადი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ.

ისწრაფვის რა ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების დახურვის ვადების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ურთიერთმისაღები და დროული შეთანხმებით დასრულებისათვის და აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს არ შეესაბამება უცხო სახელმწიფოს ჯარის არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

- რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის შეგნებული შეფერხება შეფასდეს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ღია მხარდაჭერა და 1992-1994 წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაციისა და ანექსიის დაკანონების მცდელობა;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართოს ეუთოს, მის წევრ ქვეყნებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მოახდინონ შესაბამისი რეაგირება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების უხეში დარღვევის ფაქტზე;

- საქართველოს საგადასახადო შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროებმა უზრუნველყონ კანონმდებლობით დადგენილი წესით

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების კომუნალური და მიწის გადასახადების დავალიანებათა ოდენობის განსაზღვრა და ამოღება;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასთან საქართველოდან 1991 წლის შემდეგ უკანონოდ გატანილი, საქართველოს კუთვნილი სსრკ-ის სამხედრო ქონების კომპენსაციის საკითხზე;

- დაევალოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, მოამზადონ წინადადებები რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსათვის მიყენებული მატერიალური ეკოლოგიური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის მიერ სტამბოლის ერთობლივი განცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებების ბოლომდე შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი განიხილავს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფიცირების მიზანშეწონილობას.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია**
**თბილისი, 2001 წლის 18 ივლისი**

## Резолюция 1364 (2001), принятая Советом Безопасности ООН на его 4353-м заседании, 31 июля 2001 года

Совет Безопасности, ссылаясь на все свои соответствующие резолюции, в частности резолюцию 1339 (2001) от 31 января 2001 года, и заявления своего Председателя от 21 марта 2001 года (S/PRST/2001/9) и 24 апреля 2001 года (S/PRST/2001/12), рассмотрев доклад Генерального секретаря от 19 июля 2001 года (S/2001/713), ссылаясь на выводы Лиссабонской (S/1997/57, приложение) и Стамбульской встреч на высшем уровне Организации по безопасности и сотрудничеству в Европе (ОБСЕ), касающихся положения в Абхазии, Грузия, подчеркивая, что сохраняющееся отсутствие прогресса по ключевым вопросам всеобъемлющего урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, является неприемлемым, будучи глубоко обеспокоен срывом переговорной деятельности после случаев убийства и взятия заложников в апреле и мае 2001 года в Гальском районе, 8 и 9 июля 2001 года в Гульрипшском районе и вновь 22 июля 2001 года в Приморске, выражая свое сожаление в связи с отменой тринадцатой сессии Координационного совета грузинской и абхазской сторон, первоначально намеченной на 17 июля 2001 года, в результате отказа абхазской стороны участвовать после указанных инцидентов, ссылаясь на соответствующие принципы, содержащиеся в Конвенции о безопасности персонала Организации Объединенных Наций и связанного с ней персонала, принятой 9 декабря 1994 года, приветствуя важный вклад, который продолжают вносить Миссия

Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ) и коллективные миротворческие силы Содружества Независимых Государств (миротворческие силы СНГ) в дело стабилизации ситуации в зоне конфликта, отмечая, что МООННГ и миротворческие силы СНГ продолжают поддерживать тесные рабочие отношения, и подчеркивая важность тесного сотрудничества между ними в выполнении их соответствующих мандатов, отмечая приглашение правительства Грузии в адрес Совета Безопасности направить миссию в регион,

1. приветствует доклад Генерального секретаря от 19 июля 2001 года;

2. сожалеет по поводу ухудшения ситуации в зоне конфликта из-за продолжающегося насилия, взятия заложников, роста преступности и деятельности незаконных вооруженных групп в зоне конфликта, что представляет собой постоянную угрозу мирному процессу;

3. решительно поддерживает непрерывные усилия, предпринимаемые Генеральным секретарем и его Специальным представителем при помощи Российской Федерации в качестве содействующей стороны, а также Группы друзей Генерального секретаря и ОБСЕ в целях содействия стабилизации ситуации и достижения всеобъемлющего политического урегулирования, которое должно включать урегулирование вопроса о политическом статусе Абхазии в составе Государства Грузия;

4. напоминает о намерении Специального представителя представить проект документа о распределении конституционных полномочий между Тбилиси и Сухуми в качестве основы для проведения субстантивных переговоров, а не в качестве попытки навязывать или диктовать какое-либо конкретное решение сторонам;

5. подчеркивает важное значение скорейшего представления сторонам указанного документа в качестве исходной точки и существенного стимула для переговоров о всеобъемлющем политическом урегулировании и глубоко сожалеет по поводу того, что Специальный представитель Генерального секретаря не смог сделать это;

6. подчеркивает также необходимость ускорения работы над проектом протокола о возвращении беженцев в Гальский район и мерах по восстановлению экономики, а также над проектом соглашения о мире и гарантиях по предотвращению и невозобновлению вооруженных столкновений;

7. призывает стороны, в частности абхазскую сторону, незамедлительно предпринять усилия для выхода из тупика и начать переговоры по ключевым политическим вопросам конфликта и всем другим нерешенным вопросам в рамках осуществляемого под эгидой Организации Объединенных Наций мирного процесса;

8. приветствует документы, подписанные в марте 2001 года на встрече в Ялте, посвященной мерам по укреплению доверия (S/2001/242), и настоятельно призывает грузинскую и абхазскую стороны целенаправленно и на основе сотрудничества осуществлять предложения, согласованные в этих документах;

9. призывает стороны возобновить свою работу в Координационном совете и его соответствующих механизмах в ближайшее по возможности время;

10. настоятельно призывает стороны действовать совместно через более эффективное использование имеющихся механизмов в рамках Координационного совета, с тем чтобы прояснить инциденты, имевшие место 8, 9 и 22 июля 2001 года, добиться освобождения все еще удерживаемых заложников и привлечь виновных к судебной ответственности;

11. вновь подтверждает неприемлемость демографических изменений в результате конфликта и вновь подтверждает также неотъемлемое право всех затронутых конфликтом беженцев и перемещенных лиц на возвращение в свои родные места в условиях безопасности и уважения достоинства в соответствии с международным правом и положениями Четырехстороннего соглашения от 4 апреля 1994 года (S/1994/397, приложение II);

12. настоятельно призывает стороны в этой связи безотлагательно и сообща заняться в качестве первого шага решением по-прежнему вызывающего серьезную озабоченность вопроса о неопределенном и ненадежном положении лиц, самостоятельно возвращающихся в Гальский район;

13. приветствует принимаемые правительством Грузии, Программой развития Организации Объединенных Наций, Управлением Верховного комиссара Организации Объединенных Наций по делам беженцев, Управлением по координации гуманитарной деятельности и Всемирным банком меры по улучшению положения беженцев и перемещенных лиц через их профессиональную подготовку и повышение их самообеспеченности при полном соблюдении их неотъемлемого права на возвращение в свои родные места в условиях безопасности и уважения достоинства;

14. с удовлетворением напоминает о проведенной под эгидой Организации Объединенных Наций совместной миссии по оценке в Гальском районе и ожидает обсуждения сторонами практических мер по выполнению рекомендаций миссии;

15. сожалеет по поводу всех нарушений Московского соглашения о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 года (S/1994/583, приложение I) и с особой озабоченностью отмечает проведение обеими сторонами в июне и июле 2001 года военных учений в нарушение Московского соглашения;

16. выражает свою обеспокоенность по поводу вызывающей тревогу тенденции сторон ограничивать свободу передвижения МООННГ, препятствуя тем самым миссии выполнять свой мандат, настоятельно призывает обе стороны безотлагательно возобновить выполнение в полном объеме Московского соглашения, которое остается краеугольным камнем мирных усилий Организации Объединенных Наций, и призывает стороны обеспечить безопасность и свободу передвижения персонала Организации Объединенных Наций и другого международного персонала;

17. напоминает, что грузинская и абхазская стороны несут главную ответственность за безопасность МООННГ, миротворческих сил СНГ и другого международного персонала и за полное выполнение всех согласованных между ними соглашений в области безопасности с целью предотвращения любого дальнейшего ухудшения ситуации, и настоятельно призывает обе стороны привлечь к суду лиц, несущих ответственность за все инциденты захвата заложников, в частности за похищение двух наблюдателей МООННГ в Кодорском ущелье 10 декабря 2000 года;

18. напоминает грузинской стороне, в частности, о необходимости выполнить свое обязательство положить конец деятельности незаконных вооруженных групп, проникающих в Абхазию, Грузия, с контролируемой Грузией стороны вдоль линии прекращения огня;

19. приветствует то обстоятельство, что МООННГ постоянно держит в поле зрения вопрос об организации безопасности миссии, с тем чтобы обеспечить как можно более высокую степень безопасности своего персонала;

20. постановляет продлить мандат МООННГ на следующий период, заканчивающийся 31 января 2002 года, при условии рассмотрения Советом мандата МООННГ в случае внесения любых изменений в мандат или в присутствие миротворческих сил СНГ и выражает свое намерение провести тщательный обзор операции в конце ее текущего мандатного периода в свете шагов, предпринятых сторонами в целях достижения всеобъемлющего урегулирования;

21. просит Генерального секретаря продолжать регулярно информировать Совет и через три месяца с даты принятия настоящей резолюции представить доклад о положении в Абхазии, Грузия, и просит также Генерального секретаря организовать не позже, чем через три месяца, брифинг о прогрессе, достигнутом в политическом урегулировании, в том числе в разработке проекта документа, который его Специальный представитель намеревается представить сторонам, о чем говорится в пункте 4 выше;

22. постановляет продолжать активно заниматься этим вопросом.

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 790 2001 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი**

## 1998 წლის მაისში გალის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ნორმირებული პურით უზრუნველყოფისათვის გაწეული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ

1998 წლის მაისში გალის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ნორმირებული პურით უზრუნველყოფისათვის გაწეული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს „2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან გამოუყოს 394.0 (სამას ოთხმოცდათოთხმეტი) ათასი ლარი.

*ე. შევარდნაძე*

.

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 791 2001 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი**

**"იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების პირველი ეტაპის დამთავრებისა და შემდგომში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N334 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

"იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ახლებური მიდგომის პროგრამების პირველი ეტაპის დამთავრებისა და შემდგომში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N334 განკარგულებით დამტკიცებულ სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნეს გიორგი არსენიშვილი.
2. თედო ისაკაძეს ნაცვლად სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა მიეთითოს სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

*ე. შევარდნაძე*

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**N 801 2001 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ დევნილებისათვის**

## შემოტანილი ტვირთის შესახებ

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ დევნილებისათვის შემოტანილი ტვირთის ჰუმანიტარული ხასიათის დადგენა, ამ ტვირთის მიზნობრივი გამოყენება და კონტროლი დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის დეპარტამენტს.

2. აფხაზეთიდან დევნილთა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა შეთანხმდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

3. შემოტანილი ტვირთის ჰუმანიტარული ხასიათი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო საქმიანობის დეპარტამენტმა შეათანხმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

*ე. შევარდნაძე*

## Протокол Гальской встречи грузинской и абхазской сторон

14 августа 2001 года в Гальском районе состоялась встреча грузинской и абхазской сторон. Встреча проходила под председательством Специального представителя Генерального секретатря ООН, г-на Дитера Бодена при участии Главного военного наблюдателя ООН генерала А. А. Баджуа и командующего КСПМ СНГ генерала Н. Сидорычева.

В ходе встречи стороны договорились о принятии следующих мер:

1. На основании Протокола от 11 июля 2000 года КСПМ СНГ и МООННГ в недельный срок осуществят проверку численности вооруженных формирований сторон, находящихся в Зоне Безопасности.
2. В связи со сложившейся ситуацией стороны призывают КСПМ СНГ активнее задействовать положения их Мандата, касающиеся принятия мер против актов насилия, террора и диверсий.
3. Стороны активизируют борьбу с незаконными вооруженными группами и лицами, действующими в Зоне Безопасности. С этой целью правоохранительные органы сторон будут осуществлять обмен информацией.
4. Правоохранительные органы сторон примут меры по установлению местонахождения незаконно удерживаемых лиц и взятию их под свою защиту с последеующей передачей представителям соответствующей стороны (Список удерживаемых лиц прилагается).

В десятидневный срок представители правоохранительных органов сторон проведут встречу для обмена информацией о принятых мерах.

**За грузинскую сторону За абхазскую сторону**
**Г-н Малхаз Какабадзе Генерал-майор РаульХаджимба**

**От ООН От КСПМ СНГ**
**Г-н Дитер Боден Генерал-майор Николай Сидорычев**

Приложение к Протоколу от 14 августа 2001 года

## Список незаконно удерживаемых людей

### На грузинской стороне

1. Г-н Арутюнян
2. Г-н Славик Кварчия
3. Г-н Кварчия (брат)
4. Г-н Поляков
5. Г-н Поляков
6. Г-н Гиви Харчилава
7. Г-н Михолажин

### На абхазской стороне

1. Г-н Вахтанг Лашков
2. Г-н Зураб Зарандия
3. Г-н Темур Пация
4. Г-н Чаправа
5. Г-н Евстрах Соткилава
6. Г-н Жильвер Дзандзава
7. Г-н Хвича Дзандзава
8. Г-н Гоча Дзандзава
9. Г-н Бадри Цанава
10. Г-н Гиви Берая
11. Г-н Мераб Гогилава
12. Г-н Арнет Шония

**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა**
**N 359 2001 წლის 10 სექტემბერი ქ.თბილისი**

**„რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N 466 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე**

„რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N 466 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 58-ე მუხლს ბოლოში დაემატოს შემდეგი წინადადება: „15 - შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ".

*ე. შევარდნაძე*

**Восьмая Сессия Первой Рабочей Группы**
**11 сентября 2001 г. Тбилиси**

**Совместное Заявление**

Восьмая Сессия Первой Рабочей Группы Координационного Совета состоялась в Тбилиси, во вторник 11 сентября 2001г., в Тбилисском офисе МООННГ. Генерал-майор Анис Ахмед Баджва председательствовал на Сессии. Грузинскую делегацию возглавлял г-н Поликарп Мониава, Абхазскую делегацию- генерал-лейтенант Владимир Аршба, при участии генерал-майора Дмитрия Бугаева от КСПМ СНГ. Г-н Малхаз Какабадзе и г-н Зураб Лакербая также приняли участие в работе Сессии. После приветствия Председателя были обсужденны следующие вопросы:

1 Вопросы безопасности.

А. Начальник штаба КСПМ СНГ сделал доклад о ситуации в зоне конфликта и в Кодорском ущелье.

Б. Грузинская Сторона предоставит информацию на четырехсторонней встрече, 20 сентября 2001 г. о выполнении пункта 2.4 Московского Соглашения о прекращении огня и разведении сил от 14 мая 1994 г.

В. В соответствии с этим Соглашением в Кодорском ущелье будет организовано регулярное патрулирование Миротворческих Сил и Международных наблюдателей. (Грузинская Сторона до конца сентября проведет

соответствующие консультации по обеспечению безопасности военных наблюдателей ООН и КСПМ СНГ)

Г. Грузинская Сторона, в случае необходимости, рассмотрит вопрос о возможности разового участия представителя Абхазской Стороны в патрулировании Кодорского ущелья.

Д. Стороны согласились, что в случае возникновения подозрения в произвольной казни задержанных лиц. Стороны должны незамедлительно обеспечить доступ группы врачей МООННГ к телу для проведения независимой экспертизы.

Е. В соответствии с Гальским Протоколом от 11 мая 2001 г. Грузинская Сторона проинформирует 20 сентября 2001 1. о ходе расследования уголовного дела в отношении лиц, переданных Абхазской Стороной.

МООННГ продолжит осуществление контроля за выполнением этого Протокола.

Ж. Абхазская сторона проведет проверку представленной 11 сентября с.г. Грузинской Стороной информации, и в случае ее подтвержденя примет меры по обеспечению безопасности мирного населения.

Гальский протокол от 14 августа 2001 г.

А. Стороны проинформировали о ходе выполнения пункта 4 Протокола Гальской встречи от 14 августа 2001 г.

Б. В отношении лиц, содержащихся на Абхазской стороне, было сообщено, что:

(1) Место нахождения двух лиц до сих пор неизвестно.

(2) Четверо заложников были освобождены.

(3) Один из них погиб.

В. В отношение лиц, содержащихся на Абхазской Стороне, было сообщено, что:

(1) Местонахождение шестерых похищенных пока еще неизвестно. (Включая г-на Габелия, который первоначально небыл включен в список Приложения к Протоколу).

(2) Шестеро заложников были освобождены.

(3) Тело одного погибшего было передано Грузинской стороне.

Г. Группа согласилась принять все меры для нахождения лиц, судьба которых еще не известна.

3. Совместная Группа по Исследованию Фактов. Председатель СГИФ сделал доклад о деятельности группы за период после последней сессии 10 июля 2001 г.

А. Стороны подтверждают, что в соответствии с договоренностями, достигнутыми на седьмой Сессии они будут обмениваться письменной информацией на еженедельных четырехсторонних встречах Совместной групы по Исследованию Фактов.

4. Был рассмотрен вопрос о пересмотре границы зоны ограничения вооружения. Главный Военный Наблюдатель МООННГ проведет дополнительные консультации
со Сторонами по этому вопросу с тем, чтобы выработать взаимоприемлемые рекомендации, до следующей Сессии Координационного Совета

5 Следующая Сессия. Девятая Сессия Первой Рабочей Группы состоится в штаб-квартире МООННГ в Сухуми в середине декабря 2001 г.

**За Грузинскую сторону: За Абхазскую сторону:**
**Г-н Поликарп МОНИАВА Г-н. Владимир АРШБА**

**За МООННГ: За КСПМ СНГ:**
**Генерал-майор Анис, БАДЖВА Генерал-майор Дмитрий БУГАЕВ**

**Тбилиси**
**11 сентября 2001 г.**

**საქართველოს პრეზიდენტის**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**
**N 990 2001 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი**

**სოხუმის ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მუშაკთა რიცხოვნობის გაზრდის შესახებ**

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მიერ ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შემოღებამ გამოიწვია საქართველოს მოქალაქეთა ნაწილის დაბრუნება სამშობლოში, რომელთა შორის არის სოხუმის ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ყოფილი თერთმეტი თანამშ-რომელი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ.ნოღაიდელი) 2001 წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის გათვალისწინებული საერთო ასიგნებებიდან გამოუყოს სოხუმის ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს 2534 (ორი ათას ხუთას ოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდისათვის 1760 (ათას შვიდას სამოცი) ლარი თერთმეტი თანამშრომლის მინიმალური ხელფასით უზრუნველსაყოფად.

2. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა (ლ.ჯა-ფარიძე) და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს სოხუმის ი.ვეკუას

სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მუშაკთა რიცხოვნობის გაზრდა 205 საშტატო ერთეულამდე და შესაბამის ასიგნებათა გამოყოფა.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ი. მენაღარიშვილის გამოსვლიდან გაერო-ს გენერალური ასამბლეის 56-ე სესიაზე**
**2001 წლის 19 სექტემბერს ქ. ნიუ-იორკში**

...საფრთხეები, რომლებზეც ყველანი დიდი ხანია ვსაუბრობთ, ჩვენს თვალწინ რეალობად იქცა. საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელმაც ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე დიდად იზარალა მრავალი სახის ტერორისტული ქმედებებისაგან, აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით, თქვენთვის კარგად არის ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვაში გამოთქმული მოსაზრება სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის შესახებ.

ნება მობოძეთ თქვენი ყურადღება შევაჩერო საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ სახეობაზე - აგრესიულ სეპარატიზმზე. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის სეპარატისტული ტენდენციებით განპირობებული შიდა კონფლიქტების საშიშროება. საკუთარი გამოცდილებით გვინდა კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ, რომ თავისი ბუნებით ის მეტად სახიფათოა და ადვილად შეუძლია უფრო ფართო კონფრონტაციაში გადაზრდა და კონფლიქტში სხვა რეგიონების ჩათრევაც. დაუშვებლად მიგვაჩნია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კონფლიქტებისადმი ამორჩევითი, არაერთგავაროვანი მიდგომების თუნდაც ერთი ფაქტის დაშვებაც, რაც მსოფლიო მასშტაბით ე.წ. გაყინული კონფლიქტების აღმოცენებას ძალზედ ნოყიერ ნიადაგს უქმნის. ამგვარი კონფლიქტების დაძლევა კი გაცილებით ძვირი ადამიანური თუ ფულადი რესურსები უჯდება კაცობრიობას, ვიდრე თუნდაც ძალზედ მწვავე დაპირისპირების საწყის ეტაპზე ჩაქრობა.

ნათელია, რომ დასახვეწია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოკიდებულება კონფლიქტების მოწესრიგების მიმართ. როგორც გენერალური მდივანი ამბობას, დღეს მსოფლიო საზოგადოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან "სიმპატიის სიტყვებზე მეტს" მოელის. გაერო-ს მიდგომა, რათა მან მსოფლიო ხალხების მხარდაჭერა დაიმსახუროს, რეალური, უწყვეტი და უნივერსალური უნდა იყოს, მიუხედავად რეგიონისა თუ კონფლიქტის ხასიათისა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მოხდეს კოლექტიური ინტერესების თანხვედრა ეროვნულ ინტერესებთან. ასევე მიზანმიმართული და პრინციპული უნდა იყოს გაერო-ს პოზიცია კონფლიქტის შემდეგ მშვიდობის გრძელვადიანი შენარჩუნებისადმი. გაერო-ს ერთიანი საერთაშორისო ნორმის გამოყენებას

კონფლიქტებთან და პოსტკონფლიქტური მშვიდობის გამყარებასთან მიმართებაში ალტერნატივა არ გააჩნია.

დადგა დრო, მსოფლიო თანამეგობრობამ უფრო გადამწყვეტი ღონისძიებები გაატაროს მათ მიმართ, ვისაც გარკვეული მიზეზების გამო ხელს აძლევს შიდაკონფლიქტით გამოწვეული დაპირისპირებების შენარჩუნება და თავიანთი დესტრუქციული ქმედებებით ბლოკავენ მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს. დადგა დრო, სათანადო პასუხი გაეცეს აფხაზეთში, საქართველო განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას. აფხაზმა სეპარატისტებმა სწორედ გარეშე სამხედრო ძალების მხარდაჭერით განახორციელეს ძალადობა ქართველი და სხვა ეროვნების ათასობით მშვიდობიანი მაცხოვრებლის მიმართ და 300 000-მდე ადამიანი გამოდევნეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან. დღემდე დარღვეული და ფეხქვეშ გათელილია ამ ადამიანების ხელშეუვალი უფლება - იცხოვრონ მშობლიურ მიწაზე. ძალზედ შემაშფოთებელია სეპარატისტთა პოზიცია უარი თქვან დევნილთა დაბრუნებაზე და ამით შეინარჩუნონ ძალადობით მიღწეული დემოგრაფიული ცვილებები. ამ მოვლენებს სათანდო შეფასების გარეშე საფუძველი ეცლება ყველა ჩვენს შემდგომ ქმედებას. ვფიქრობთ, უნდა დამთავრდეს დრო, როდესაც აგრესიული საპარატისტული რეჟიმები ცალკეული სახელმწიფოების მიერ სხვა სახელმწიფოებზე ზეწოლის მიზნით თავიანთი გავლენის სფეროების გასაძლიერებად გამოიყენებოდა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ნებისმიერი რევერანსი მათ მიმართ საკმაოდ მძიმე შედეგებს იწვევს და ამყარებს ცენტრიდანულ პოზიციებს. მე არაერთხელ დამიფიქსირებია, რომ არ ყოფილიყო კონფლიქტი აფხაზეთში, არ იქნებოდა კონფლიქტი ჩეჩნეთში. ამ ორმა კონფლიქტმა საკმაოდ ნათლად დაგვანახა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ბუმერანგივით დაუბრუნდება სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერა.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო, რომ ჩვენ აფხაზეთს განვიხილავთ საქართველოს შემადგენლობაში მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ყველაზე ფართო ავტონომიური უფლებებით და მზად ვართ ნებისმიერ დროსა და ვითარებაში ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ამ მიმართულებით. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებას, აქტიურად ვუჭერთ მხარს იმ პროექტებს, რომელიც ამასთან დაკავშირებით გაერო-ს განვითარების პროგრამამ შეიმუშავა და რომლის ამოქმედება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ დაუყონებლივ დაიწყება.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რვა წელიწადია აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით სამშვიდობო პროცესი მიმდინარეობს, რაიმე რეალური პროგრესი კონფლქტის საბოლოო მოწესრიგების თვალსაზრისით არ შეინიშნება, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული დაცვით, რომლის არ არსებობის პირობებშიც მასიურ ხასიათს იღებს ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტები. ვფიქრობთ, ეს გარემოება სერიოზული დასკვნების გაკეთებას მოითხოვს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ უშიშროების საბჭოს 1999 წლის ივლისის გადაწყვეტილებით გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს დაევალა დოკუმენტის შექმნა, რომელიც კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს გამიჯნავდა თბილისსა და სოხუმს შორის და რომელიც საფუძვლად დაედებოდა მხარეთა შორის შემდგომ მოლაპარაკებებს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. 1990 წლის ამ გადაწყვეტილებიდან დღემდე უკვე ორ წელიწადზე მეტია გასული, რეალური პრაქტიკული შედეგი კი დღემდე არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი უკვე კარგა ხანია მზად არის, ვერ და ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი მეგობარი ქვეყნების ჯგუფს შორის ჯერ მის ცალკეულ პუნქტებთან, ხოლო შემდგომ მის საერთო კონსტრუქციასთან მიმართებით. საერთაშორისო თანამეგობრობის გავლენიანი სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი დათმობითი, არამკაფიო პოზიცია ნებსით თუ უნებლიეთ მხოლოდ სეპარატისტული რეჟიმის წისქვილზე ასხამს წყალს და მის მიზნებს ემსახურება.

საქართველოს არაერთხელ განუცხადებია თავისი შეშფოთება სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე უკონტროლო რეგიონების არსებობის გამო, რომელიც დე-ფაქტო სეპარატისტული რეჟიმების მიერ იმართება. განსაკუთრებით დაუშვებელია ამ რეჟიმების წახალისება გარეშე მხარეების მიერ. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა უკანასკნელ პერიოდში კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენის კატასტროფის მიზეზები. საქართველოს პოზიცია ამ მიმართებით ერთმნიშვნელოვანია და იგი ასახულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 9 ოქტომბრის განცხადებაში. ამ ტრაგედიის ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გამოძიების პროცესში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ვერტმფრენი ჩამოგდებული იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, საქართველო მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ საერთაშორისო კომისიასთან, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს ვერტმფრენის კატასტროფის მიზეზებს. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო აღნიშნულ კატასტროფაში დაღუპულთა ოჯახებს.

ამ მაღალი ტრიბუნიდან არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ საქართველო დღეს ფართომასშტაბიანი პროვოკაციის საფრთხის წინაშე დგას. მხედველობაში მაქვს ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევებისა და ქვეყნის ტერიტორიის დაბომბვის ფაქტები, რომელსაც ადრეც ჰქონია ადგილი, მაგრამ ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს მხარე განიხილავს მისი საჰაერო სივრცის დარღვევისა და ტერიტორიების დაბომბვის ფაქტებს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისა და გარკვეული ძალების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესის ჩაშლის მცდელობას.

ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა, აშშ-ს ხელმძღვანელობით, მობილიზებულია კაცობრიობის უბოროტეს მტერთან - საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად. საქართველო მკაფიოდ ხედავს თავის ადგილს ტერორიზმთან მებრძოლი თანამეგობრობის რიგებში და არაერთგზის დაუფიქსირებია თავისი სრული მზადყოფნა პრაქტიკული თანამშრომლობისათვის. მით უმეტეს მიუღებელი და მტკივნეულია ჩვენთვის ნებისმიერი მცდელობა, ტერორიზმთან ბრძოლის კეთილშობილური ამოცანა საკუთარი მიზნების მისაღწევად იქნეს გამოყენებული.

კონფლიქტების გადაწყვეტისადმი არაადეკვატური მიდგომის აღმოფხვრა მრავალთაგან მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რათა დაჩქარდეს საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის რეალური შექმნა, რომლის პირობებშიც თანაბრად იქნება დაცული ყველა ადამიანის, ხალხისა და სახელმწიფოს უფლებები. XXI საუკუნის წესრიგი მართლაც რომ შეუთავსებელია ადამიანის უფლებების უხეშ და მასობრივ დარღვევებთან, რომელსაც საბოლოო ჯამში საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაციამდე მივყავართ, რომ არაფერი ვთქვათ, თვით დემოკრატიის, როგორც ღირებულების გაუფასურებაზე. უდაოა, მსგავსი პრობლემების აღმოფხვრაში გადამწყვეტი როლი გაერო-ს რეფორმამ უნდა შეასრულოს. ვფიქრობ, ეს რეფორმა გარო-ს სამშვიდობო ოპერაციებსაც უნდა შეეხოს. საქართველო მხარს უჭერს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გაერო-ს სამშვიდობო პოტენციალის სრულყოფის, მათ შორის პრევენტიული ზომების გამოყენებისაკენ იქნება მიმართული.

თუკი თავდაპირველ ეტაპზე გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციები სახლმწიფოთაშორისი კონფლიქტების დარეგულირებით შემოიფარგლებოდა, სეპარატისტული ტენდენციების განვითარებამ გაერო-ს სამშვიდობო ფუნქციები ძირითადად ქვეყნის შიდა კონფლიქტებით განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა აუცილებლად გვესახება წესდებაში გათვალისწინებული იმ პირობების გადახედვა, რაც აუცილებელია სამშვიდობო ოპერაციების ადრეული განლაგების (early deployment) აქტიური გამოყენება კონფლიქტის კერების საწყის ფაზაშივე ჩაქრობის მიზნით.

გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების დაწყება კონფლიქტის ზონაში ან მისი მანდატის შეცვლა დღეისათვის მხოლოდ მხარეთა თამხმობით ხდება. ვფიქრობთ, მსგავსი მიდგომა გადახედვას მოითხოვს იმის გათვალისწინბით, რომ მსოფლიოში არსებული კონფლიქტების ერთი მხარე, როგორც წესი, სეპარატისტული, ცენტრიდანული მოძრაობაა, რომელიც ხშირად ცდილობს შეინარჩუნოს "სტატუს ქვო" და ამა თუ იმ ფორმით ხელი შეუშალოს სრულმასშტბიან საშვიდობო ოპერაციას. აქედან გამომდინარე, მშვიდობის ინტერესი უფრო მეტად უნდა განსაზღვრავდეს გაერო-ს საქმიანობას, ვიდრე რომელიმე მხარის თანხმობა.

ამასთანავე, დღევანდელ პირობებში არსებული გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების დროს, მიზანშეწონილია მოხდეს ერთა თვითგამორკვევის შესახებ გენერალური ასამბლეის 1970 წლის

რეზოლუციის მოდიფიცირება. აუცილებელია თვითგმორკვევის პრინციპების არაორაზროვნად გამოკვეთა, რათა ყოველგვარი საფუძველი გამოვაცალოთ აგრესიული სეპარატისტული მოქმედებების დაკანონების მცდელობას, რასაც ბოლო დროს ხშირად ცდილობენ გარკვეული პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში. საერთაშორისო თანამეგობრობამ უფრო მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამ პრობლემასთან დაკავშირებით ამოცანები, რათა ერთა თვითგამორკვევის პროცესმა ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

პრობლემის მასშტაბურობა გვაძლევს სფუძველს განვაცხადოთ, რომ უკომპრომისონი უნდა ვიყოთ, როდესაც საქმე ისეთ კონფლიქტებს ეხება, რომელთა მოწესრიგება სხვადასხვა აგრესიული რეჟიმების არაკონსტრუქციული მოქმედებითაა ბლოკირებული. არ შეიძლება არ მოვიხმო ბატონ კოფი ანანის 1999 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში (Preventing War and Disaster. A Growing Global Challenge, Kofi A. Annan, Secretary-General of the United Nations, 1999 Annual Report on the work of the Organization, paragraph 56) ფორმულირებული მოსაზრება, რომლის მიხედვით: "საერთაშორისო თაბამეგობრობა მზად უნდა იყოს პოლიტიკურად და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო გზითაც ჩაერთოს, მართოს და საბოლოოდ დაარეგულიროს კონფლიქტები, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებიან. ეს მოითხოვს ამჟამად მოქმედი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის სრულყოფას. უფრო მეტიც, ეს მოითხოვს უფრო მეტ ნებასა და ძალისხმევას ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების აღსაკვეთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთელი აქტუალობით იჩენს თავს გაერო-ს წესდების მე-7 თავის გამოყენების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა. უდავოა, რომ ახალ ეტაპზე იგი გაფართოებასა და ხარისხობრივ სახეცვლილებას საჭიროებს. სეპარატისტული ტენდენციებით გამოწვეული შიდა კონფლიქტები არანაკლებ საშიშია საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, ვიდრე ცალკეულ შემთხვევებში ცივი ომით განპირობებული დაპირისპირება თუ საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი. რეფორმირებულმა გაერომ უფრო კატეგორიულად და თამამად უნდა გამოიყენოს გაერო-ს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების განხორციელების მექანიზმი.

საქართველო მთლიანად იზიარებს გაერო-ს მუდმივი მზადყოფნის სისტემის სრულყოფის აუცილებელ მოთხოვნას. ჩვენ მხარს ვუჭერთ გაერო-ს მუდმივი მზადყოფნის სწრაფი რეაგირების ძალების შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში შექმნას, რომელთა აქტიური გამოყენებაც სამშვიდობო ოპერაციების თავდაპირველ ეტაპზე ხელს შეუწყობდა მრავალი კონფლიქტის თავიდან აცილებას.

უკვე ნათელია და არა ერთხელ ითქვა, რომ კონფლიქტის კერების წარმოქმნისა და გაფართოების ერთ-ერთ არსებით დეტონატორად მცირე და მსუბუქი შეიარაღების არაკონტროლირებადი გავრცელებით გამოწვეული სირთულეები გვევლინება. ამ კონტექსტში, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს გენერალური მდივნის "ათსწლეულის მოხსენებაში"

ფორმულირებული იმ ინიციატივების რეალიზაცია, რომლებიც მცირე შეიარაღების გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის შემოღებასთან, მსგავსი შეიარაღებით კანონიერი ვაჭრობის ტრანსპარენტულობის გაზრდასთან და მატერიალური სტიმულირების პროგრამების საშუალებით მოსახლეობიდან უკანონო იარაღის ამოღებასთან არის დაკავშირებული. სრულად ვუერთდებით გენერალური მდივნის შენიშვნას, რომ თუ მსოფლიომ დიდი ხანია ჩამოაყალიბა საერთაშორისო ნორმები ბირთვული თუ ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით, ასეთივე უნდა იყოს მიდგომა მსუბუქი შეიარაღების გავრცელებასთან მიმართებითაც. ვფიქრობთ, უფრო ინტენსიური უნდა გახდეს აღნიშნული საკითხის განხილვა სპეციალურ ფორუმებზე...

...ქვეყნებისათვის, სადაც ადგილი აქვს კონფლიქტებს, რის გამოც დაუცველია ქვეყნის ეკონომიკური საზღვრები, შეზღუდულია ეკონომიკური ზრდა და რეფორმები, ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა, რის საფუძველზეც გარკვეული პირობები იქმნება კონფლიქტების საყოველთაო დარეგულირებისათვის. მაგალითისათვის აღვნიშნავთ გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით განხორციელებულ ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის პროგრამას. აქვე მივესალმებით UNDP-ს დაინტერესებას ანალოგიური ნაბიჯები გადავდგათ აფხაზეთის რეგიონში.

...განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს განვითარების პროგრამის მოღვაწეობა საქართველოში, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესებში. მაგრამ ვფიქრობთ, საჭიროა თანამშრომლობის ახალი დღის წესრიგი.

უნდა აღინიშნოს UNDP-ის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის უაღრესად მნიშვნელოვანი ერთობლივი ინიციატივა სიღარიბის ზრდის შემსუბუქების პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელშიც როგორც ერთ-ერთი პირველი ქვეყანა საქართველოც იღებს მონაწილეობას. ამ მხრივ, აქტუალურ საკითხად ისახება კონკრეტული პროექტის შემუშავება იძულებით გადაადგილებულ პირთა მცირე ბიზნესში, დასაქმების სხვადასხვა ფორმებში ჩართვის მიმართულებით, ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მართვის გაუმჯობესება.

...გვჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით უახლოეს მომავალში შევძლებთ რეალური გავხადოთ საერთო ღირებულებებზე დამყარებული ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე კულტურულ განზომილებებს მოიცავს და რომლის არსებობის პირობებშიც ნებისმიერი ადამიანი, ხალხი თუ სახელმწიფო თავს უსაფრთხოდ იგრძნობს. აღნიშნულის უზრუნველყოფას, უპირველეს ყოვლისა, ისეთი უნივერსალური ორგანიზაციის პრეროგატივად განვიხილავთ, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, რომლის ეფექტურ საქმიანობაზეც ძირითადად იქნება დამოკიდებული მსოფლიო ცივილიზაციის ხვალინდელი დღე.

## საქართველოს პარლამენტის
## განცხადება

სოხუმის რეჟიმმა მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ე.წ. სახალხო კრების – აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გაერთიანებამ არაერთგზის კატეგორიულად გამოხატა თავისი პოზიცია – აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნების იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად ცნობის თაობაზე, სოხუმის რეჟიმი ამ ნაბიჯით კვლავ განაგრძობს გაეროს აზრისა და შეფასებების იგნორირებას, ცდილობს თავისი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად დაკანონებულად წარმოაჩინოს აფხაზეთში ძალადობით შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება მშობლიურ ადგილებში, გადაწყვეტილად ჩათვალოს ე.წ. დამოუკიდებლობის საკითხი, ფეხქვეშ გათელოს ასეულათასობით ადამიანის კანონიერი ინტერესები.

ე.წ. პარლამენტის მორიგი არჩევნები არის სოხუმის რეჟიმის კიდევ ერთი მცდელობა, არ ცნოს ეუთოს ბუდაპეშტის (1994 წ), ლისაბონის (1996 წ.) და სტამბულის (1999 წ.) სამიტის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგები.

საქართველოს პარლამენტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აღნიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება ამჯერადაც არ დარჩება მსოფლიო გაერთიანების ქვეყნების მხრიდან პრინციპული რეაგირების გარეშე. ამასთან, დროა, რომ სოხუმის რეჟიმმა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დაიწყოს დევნილთა უსაფრთხო და შეუქცევადი დაბრუნების პროცესი, ყურად იღოს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მოთხოვნა აფხაზეთის სტატუსის თაობაზე დიალოგის დაწყების შესახებ.

საქართველოს პარლამენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და მოსახლეობის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სოხუმის რეჟიმის მიერ არჩევნების ჩატარება დევნილი მოსახლეობის მონაწილეობის მიუღებლად გამოიწვევს არამარტო გაეროს წევრ სახელმწიფოთა ნეგატიურ დამოკიდებულებას, არამედ არალეგიტიმურს გახდის ამ არჩევნების შედეგებს და შელახავს დევნილთა პოლიტიკურ უფლებებს.

საქართველოს პარლამენტი სთხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს, უახლოეს სხდომაზე კატეგორიულად დასვას საკითხი აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ამჟამად არსებული ვითარების დაუშვებლობის და მდგომარეობის შესაცვლელად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტს აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთოს გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, საქართველოს

საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფისა და დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სახელზე.

**თბილისი,**
**2001 წლის 27 სექტემბერი**

**საქართველოს პრეზიდენტის**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**N 1020 2001 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში 2001 წელს გასატარებელი ღონისძიებებისა და მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების შესახებ**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მათთვის სოციალური დახმარების გაწევის მიზნით:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თევზაძე) და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) გააგრძელონ მუშაობა ხეობის და სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად.

2. საქართველოს პროკურატურამ (გ.მეფარიშვილი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ.თარგამაძე) კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან (ე. კვიციანი) ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები ხეობაში მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

3. საქართველოს პროკურატურამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ლ. ცაავა), უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ (ვ.თორდია), და პროკურატურამ (ა.ლაცუზბაია) საქართველოს იუსტიციის საბჭოსთან ერთად წარმოადგინონ წინადადებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებების (სასამართლო, პროკურატურა) ფუნქციონირებისათვის.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ.ნოღაიდელი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი სპეციალური ანგარიშიდან N000700564 „შემოსავლები უკრაინის დახმარებით შემოტანილი ხორბლიდან" გამოუყოს სააქციო საზოგადოება ქუთაისის „წისქვილს" 126 000 (ას ოცდაექვსი ათასი) ლარი თბილისის მარცვლისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან 167 ტონა უკრაინული და 167 ტონა აშშ ხორბლის შესაძენად, კოდორის ხეობის მოსახლეობის დახმარებისათვის 200 (ორასი) ტონა ხორბლის ფქვილის დასამზადებლად.

5. სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილმა" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ხარჯთა ნუსხა, შეთანხმებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან.

6. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილში" კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის დამზადებული ფქვილის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე და წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯის ჩამონათვალი.

7. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (მ. ადეიშვილი) უზრუნველყოს:

ა) ხეობაში საქართველოს ტელემაუწყებლობის აღდგენა და სატელეფონო კავშირის დამყარება;

ბ) ქუთაისი-გენწვიშის მიმართულებით ვერტმფრენის კვირაში ერთი რეგულარული საჰაერო და თბილისი-გენწვიშის საავტომობილო რეისის დანიშვნა.

8. რეგიონში შრომითი რესურსების ათვისების მიზნით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრომ (ი. ჩხარტიშვილი) წარმოადგინოს წინადადებები ხეობაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის (მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, ხე-ტყის გადამუშავება) და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული ნამატი პროდუქტების (ხორცის, ყველის, თაფლის, ხილ-კენკრისა და სხვა პროდუქციის) ადგილზე დამზადების უზრუნველსაყოფად.

9. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს კოდორის ხეობაში სანოტარო მოქმედებათა განხორციელებისათვის საჭირო საკადრო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება.

10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (ა.ჯორბენაძე):

ა) უზრუნველყოს აჟარის საავადმყოფო და რეგიონში განლაგებული ამბულატორიები საჭირო მედიკამენტებითა და სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობით;

ბ) მიიღოს ზომები ხეობის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემების გადასაწყვეტად.

11. საქართველოს განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია) 2001-2002 სასწავლო წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოყოს კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის გასაუბრების წესით ჩასარიცხად 50 (ორმოცდაათი) ადგილი, უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული წლიური ასიგნების ფარგლებში.

12. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ (დ. მირცხულავა) უზრუნველყოს ხეობის ელექტრიფიკაციის სამუშაოების დასრულება, მიკროელექტროსადგურების ადგილზე დამონტაჟება-ამოქმედება.

13. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს კოდორის ხეობის მიმართულებით ზამთრის მარაგის სურსათის უსაფრთხო, უდანაკარგო და შეუფერხებელი გადაადგილება.

14. კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ე. კვიციანმა მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში მთავრობის სხდომაზე წარადგინოს ანგარიში ამ განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

15. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (დ.კირვალიძე) და საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურმა (ზ.ხატიძე).

*ე. შევარდნაძე*

**Ассамблея Совета Европы**

**Резолюция 1257 (2001) 1**

**О выполнении Грузией своих обязательств**

1. Ассамблея приветствует усилия, которые предприняла Грузия с момента ее вступления в Организацию 27 апреля 1999 года с целью выполнения ряда обязательств, которые она приняла согласно заключению Ассамблеи № 209 (1999).

2. В отношении подписания и ратификации конвенций Ассамблея с удовлетворением отмечает, что: Грузия ратифицировала в сроки, указанные в заключении № 209, Европейскую конвенцию о правах человека, а также протоколы №№ 4, 6 и 7 к ней; на настоящий момент Грузия является единственным государством-членом, которая 15 июня 2001 года ратифицировала протокол № 12 к Европейской конвенции о правах человека; Грузия также ратифицировала Европейскую конвенцию по предупреждению пыток и бесчеловечного или унижающего достойнство обращения или наказания и протоколы 1 и 2 к ней, Европейскую конвенцию о выдаче и протоколы к ней, Европейскую конвенцию о взаимной помощи по уголовным делам, Генеральное соглашение о привилегиях и иммунитетах и протоколы к нему, а также подписала и ратифицировала Европейскую социальную хартию; она также ратифицировала Женевскую конвенцию о статусе беженцев и протокол к ней от 1967 года.

3. С другой стороны, Ассамблея сожалеет, что Грузия: не ратифицировала в течение года после вступления Дополнительный протокол к Европейской конвенции о правах человека, который она подписала в июне 1999 года, а также Рамочную конвенцию о защите национальных меньшинств, которую она подписала в январе 2000 года; не подписала и не ратифицировала Европейскую хартию региональных языков или языков меньшинств, Европейскую хартию местного самоуправления, Европейскую рамочную конвенцию о трансграничном сотрудничестве и протоколы к ней, а также Европейскую конвенцию об отмывании, выявлении, изъятии и конфискации доходов от преступной деятельности.

В отношении внутреннего законодательства Ассамблея признает, что Грузия приняла законы во многих областях, в том числе Избирательный кодекс, Закон

об адвокатуре, новый закон о пребывании под стражей, Общий административный кодекс, закон о внесении поправок в Закон об омбудсмене, закон о внесении поправок в Закон о местном самоуправлении, но озабочена недостаточными усилиями по обеспечению их соблюдения и напоминает о необходимости надлежащего выполнения действующего законодательства.

Ассамблея также поддерживает усилия, предпринятые по подавлению и искоренению хронической широкомасштабной коррупции в стране, и в этом смысле приветствует выполнение Национальной программы по борьбе с коррупцией. В отношении проведения реформ Ассамблея признает, что приняты меры по совершенствованию функционирования судебной системы, особенно в вопросах борьбы с коррупцией и некомпетентности в судебной системе, надзора за исполнением судебных решений, а также реформирования прокуратуры. Она также отмечает позитивные шаги, предпринятые для реформирования пенитенциарной системы, а именно передачу пенитенциарных учреждений из ведения Министерства внутренних дел в систему Министерства юстиции, строительство новой тюрьмы и меры по борьбе с коррупцией. В интересах разрешения застарелых проблем в сфере отправления правосудия Ассамблея призывает Грузию ускорить проведение этих и иных идущих реформ и осуществлять их в соответствии со стандартами Совета Европы, в частности в том что касается функционирования судебной системы и условий содержания в тюрьмах и следственных изоляторах.

В отношении внутреннего законодательства и проведения реформ Ассамблея призывает Грузию укреплять сотрудничество с Советом Европы с целью обеспечения полного соответствия законодательства Грузии принципам и стандартам Организации, и в частности: сотрудничать с экспертами-юристами Совета Европы по целому ряду законопроектов, которые были подготовлены за последнее время, включая новый проект закона о полиции, проект закона о внесении поправок в закон о прокуратуре, проект закона об альтернативных видах наказания, и обеспечить их принятие парламентом Грузии не позднее января 2003 г.; выполнить рекомендации экспертов Совета Европы в уголовно-процессуальной сфере, в отношении функций прокуратуры, заключения под стражу, следственной деятельности и предварительного заключения; в тесном сотрудничестве с Европейским комитетом по предупреждению пыток и бесчеловечного или унижающего достоинство обращения или наказания провести в жизнь рекомендации, высказанные по итогам его визита в мае 2001 года; представить недавно принятый Избирательный кодекс на экспертизу в Европейскую комиссию за демократию через право (Венецианскую комиссию) с тем, чтобы оценить, насколько полно в действующем законодательстве о выборах учтены рекомендации, высказанные в 1999 году Специальной комиссией Парламентской Ассамблеи по наблюдению за выборами и Бюро по демократическим институтам и правам человека ОБСЕ (БДИПЧ); конструктивно сотрудничать с Конгрессом местных и региональных властей Европы (КМРВЕ) и в частности: выполнить рекомендации, высказанные Конгрессом в 1999 году в интересах укрепления местного и регионального самоуправления в Грузии включая принятие поправок к действующему законодательству, нового законодательства и административных процедур, соответствующих Европейской хартии местного самоуправления; передать на экспертизу текст нового закона о внесении поправок в Закон о местном самоуправлении; принять содействие в подготовке и наблюдении за предстоящими местными выборами; незамедлительно провести коллоквиум по вопросам регионализации, который

мог бы помочь в решении проблем регионального и территориального устройства Грузии. активизировать сотрудничество в рамках «Группы государств по борьбе с коррупцией» (ГРЕКО), имея в виду выполнять ее рекомендации по борьбе с коррупцией;

ускорить работу, проводимую вместе с Советом Европы и УВКБ ООН по вопросу о возвращении депортированного месхетинского населения включая продолжающуюся правовую экспертизу проекта закона «О репатриации лиц, депортированных из Грузии в 1940-е годы советским режимом», имея ввиду предоставить ему такой же статус, какой был признан за депортированными других национальностей, которые были возвращены в Грузию при советском режиме.

В отношении свободы прессы и СМИ Ассамблея призывает Грузию разработать и принять закон об электронных СМИ с тем, чтобы регулировать их деятельность и гарантировать независимость, плюрализм и объективность грузинских электронных СМИ, а также проводить консультации с экспертами Совета Европы по любым новым законопроектам.

В отношении Уголовно-процессуального кодекса Ассамблея сожалеет, что новый Кодекс, который был первоначально разработан в тесном взаимодействии с экспертами Совета Европы, оказался искажен различными поправками, принятыми парламентом в течение нескольких недель после вступления страны в Организацию в мае и июне 1999 года, и что в июне 2001 года был принят новый пакет поправок без предварительных консультаций с экспертами Совета Европы. Она настоятельно призывает власти Грузии значительно активизировать сотрудничество с Советом Европы в этом отношении. Ассамблея сожалеет, что не было достигнуто значительного прогресса в вопросах соблюдения прав человека:

она выражает глубокую озабоченность обвинениями в жестоком обращении или пытках в отношении лиц, содержащихся в полицейских участках и следственных изоляторах, фактами произвольных арестов и заключения под стражу, нарушения прав во время содержания под арестом или в следственных изоляторах - в особенности права на встречу с адвокатом и на общение с семьей, жалобами на нарушение процессуальных прав, фактов запугивания, нарушения права на частную жизнь, прослушивания телефонных переговоров и т.д.;

она обеспокоена поведением полиции и других правоохранительных органов и осуждает любое несоразмерное применение насилия силами безопасности против мирных демонстрантов;

она глубоко озабочена неоднократным применением насилия со стороны ортодоксальных экстремистов против представителей малых религиозных групп, таких как свидетели Иеговы и баптисты;

Ассамблея настоятельно призывает власти Грузии провести надлежащее расследование всех фактов нарушений прав человека и злоупотреблений властью, привлечь виновных к ответственности вне зависимости от служебного положения и принять радикальные меры для того, чтобы окончательно утвердить в стране принципы и стандарты Совета Европы;

Ассамблея призывает власти Грузии санкционировать обнародование доклада Европейского комитета по предупреждению пыток и бесчеловечного и унижающего обращения или наказания о визите, проведенном в мае 2001 года.

4. В отношении обязательств, связанных со статусом автономных территорий и урегулирования территориальных конфликтов мирными

средствами Ассамблея приветствует прогресс, достигнутый в предоставлении автономного статуса Аджарии в апреле 2000 года, но сожалеет об отсутствии значительного прогресса в деле политического урегулирования южно-осетинского и абхазского конфликтов - несмотря на усилия правительства Грузии.

5. Наряду с этим Ассамблея признает отсутствие объективных условий для того, чтобы власти Грузии смогли выполнить свое обязательство по введению в действие правовой базы, определяющей статус автономных территорий, и по разработке правовой базы для учреждения второй палаты парламента.

6. В отношении абхазского конфликта Ассамблея: призывает руководство Грузии и Абхазии продолжать переговоры о статусе Абхазии и о возвращении в Абхазию всех перемещенных лиц, желающих вернуться туда;

напоминает, что Грузия должна принять законодательные и административные меры по возвращению или возмещению стоимости имущества, утраченного лицами, вынужденными оставить свои дома в ходе конфликтов 1990-1994 годов.

7. В свете вышеизложенных соображений Ассамблея делает вывод о том, что хотя со времени вступления страны в Организацию достигнут определенный прогресс, Грузия выполняет далеко не все свои обязательства государства - члена Совета Европы. Ассамблея постановляет продолжать процедуру мониторинга в отношении Грузии в тесном взаимодействии с делегацией Грузии.

**г. Страсбург**
**24-28 сентября 2001 г.**

## საქართველოს პარლამენტის
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით

ვინაიდან საქართველომ ბოლო წლებში თავად იწვნია სეპარატიზმის, საერთაშორისო ტერორიზმისა და აგრესიის ტრაგიკული შედეგები, ამ მოვლენებს შეეწირა ათეულათასობით ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე, ასეულათასობით აფხაზეთის მკვიდრი კი დევნილად იქცა საკუთარ ქვეყანაში;

ვინაიდან აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში 1994 წლის ივლისში დსთ-ის ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ არ შეწყვეტილა ქართველების წინააღმდეგ მიმართული ეთნოწმენდის პოლიტიკა, დადასტურებულია, რომ ამ ხნის განმავლობაში ე.წ. უსაფრთხოების ზონაში დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, სამშვიდობო ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელდა უამრავი დანაშაული, აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დამნაშავეთა სათარეშო, განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად;

ვინაიდან რუსეთის არაკონსტრუქციული მიდგომის შედეგად ჩიხში მოექცა და ბლოკირებულია გაერო-სა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტის განხილვა და მიღება;

ვინაიდან ბოლო პერიოდში შემაშფოთებელი სახე მიიღო საქართველოს მიმართ რუსეთის ოფიციალური წრეების ტენდენციურმა და აგრესიულმა განცხადებებმა, რომლებიც აშკარა გამოხატულებაა ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის წარმოებისა იმ ხელმძღვანელ პირთა მიერ, რომლებიც დღესაც აგრძელებენ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას;

ვინაიდან ბოლო დღეებში საქართველოს საჰაერო სივრცის არაერთხელ დარღვევისა და ტერიტორიების დაბომბვის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა, რომ რუსეთი გამოდის კონფლიქტში ჩართულ მხარედ და რომ სამშვიდობო ძალების ფუნქცია „საზღვრის" დაფიქსირებით შემოიფარგლება და ისინი არათუ კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობად, არამედ გამღვივებლად გვევლინებიან, რასაც ადასტურებს ის, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ხდება აფხაზეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის შეყვანა და შეიარაღების შეტანა;

ვინაიდან დსთ-ის ეგიდით მოქმედმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია და ხელი შეუწყვეს აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების განახლებას;

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს:

ა) განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პროცედურები დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაყვანის მიზნით;

ბ) გაეროს, ეუთოს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების წინაშე სასწრაფოდ დასვას შემდეგი საკითხი — კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის სანაცვლოდ შეყვანილ იქნეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამასთან, გაიზარდოს სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობა და გაფართოვდეს მათი მანდატი;

გ) გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება სტამბოლის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ შესასრულებლად.

3. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

4. მიუხედავად იმისა, რომ დევნილ მოსახლეობას საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების საფუძველზე აქვს უფლება, ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპისადმი.

5. საქართველოს პარლამენტი მიმართავს აფხაზეთის მოსახლეობას, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ძმათამკვლელი ომის სიმწარე და საშინელება, დაღუპულ აფხაზ და ქართველ მებრძოლთა ნათესავებს, აგრეთვე იმათ, ვინც ერთად უნდა აშენოს ერთიანი საქართველოს მომავალი, არ დაუშვან გარეშე ძალების მიერ თავს მოხვეული შეიარაღებული დაპირისპირების განმეორება.

6. საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, გააააქტიუროს ძალისხმევა აფხაზურ მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით.

7. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის უზენაეს ნებას და მისწრაფებას და აცხადებს, რომ ის არასოდეს შეეგუება ქვეყნის ისტორიულად განუყოფელი ნაწილის დაკარგვას და აფხაზეთის ტერიტორიაზე მშვიდობა და სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის ფართო ავტონომიის საბოლოოდ განსაზღვრისა და ყველა დევნილის საკუთარ ფუძეზე დაბრუნების შემდეგ, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მოგვარების მყარი საფუძველი გახდება.

8. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, ინტენსიური კონსულტაციები გამართოს რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ორ ქვეყანას შორის შემდგომი დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე** *ზურაბ ჟვანია*

**თბილისი, 2001 წლის 11 ოქტომბერი**

**Постановление Государственной Думы**
**Федерального Собрания Российской Федерации**

**О заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений"**

Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации п о с т а н о в л я е т:

1. Принять заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений".
2. Направить настоящее Постановление и указанное Заявление в "Парламентскую газету" для официального опубликования.
3. Настоящее Постановление вступает в силу со дня его принятия.

**Председатель Государственной Думы**
**Федерального Собрания**
**Российской Федерации Г. Н. Селезнев**

**Москва**
**11 октября 2001 года**
N 1958-III ГД

**Заявление Государственной Думы**
**Федерального Собрания Российской Федерации**

**О состоянии российско-грузинских отношений**

Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации серьезно обеспокоена обострением российско-грузинских отношений и действиями грузинских властей, которые, к сожалению, не направлены на восстановление добрососедского сотрудничества между нашими государствами.

Несмотря на неоднократные предложения российской стороны объединить усилия для решительной борьбы с чеченскими террористами, руководство Грузии продолжает уклоняться от совместных действий. Грузинские власти проводят политику попустительства по отношению к чеченским террористам, отказываются принимать жесткие меры против бандитов, которые проходят подготовку в том числе на территории Грузии. Об этом свидетельствуют события, которые развиваются в Кодорском и Панкисском ущельях. При попустительстве грузинских властей в настоящее время в Кодорском ущелье сложилась тревожная ситуация в связи с проникновением на территорию Абхазии бандформирований из Грузии в составе грузинских и чеченских боевиков в целях дестабилизации обстановки и совершения террористических действий. Бандиты совершают налеты на окрестные села, зверски убивают мирных жителей. 8 октября 2001 года бандитами был совершен очередной террористический акт - сбит вертолет с группой наблюдателей ООН, в результате чего погибли девять человек.

В Тбилиси продолжают открыто действовать так называемое представительство Чеченской Республики Ичкерия и чеченский информационный центр, которые с ведома грузинских властей осуществляют пропагандистское, финансовое и материальное обеспечение чеченских террористов.

Грузинская сторона продолжает игнорировать требования Российской Федерации о выдаче участников незаконных вооруженных формирований, подозреваемых в совершении преступлений на территории Российской Федерации, вооружаемых и финансируемых международными террористическими организациями. Депутаты Государственной Думы хотели бы знать, какие меры приняты по отношению к террористам, которые, по заявлению грузинских официальных лиц, якобы были "блокированы" в районе ингушского участка грузино-российской границы еще в октябре 2000 года, и почему ни один из них не был передан российской стороне. Лишь после многих обращений Российской Федерации грузинская сторона приняла решение об экстрадиции тринадцати бандитов, задержанных грузинскими пограничниками на грузино-российской границе в июне 2000 года. Государственная Дума решительно требует принять жесткие меры против чеченских боевиков, находящихся на грузинской территории.

В Грузии продолжают нагнетаться русофобия и враждебность к нашей стране. Не способствуют нормализации отношений между нашими государствами беспочвенные и спекулятивные высказывания некоторых грузинских политиков о "провокационной роли Москвы" применительно к любым событиям, в частности к положению в Панкисском ущелье, инцидентам в зоне грузино-абхазского конфликта,российско-грузинским переговорам о российских военных базах на территории Грузии, а также к деятельности оппозиции.

Не может остаться без внимания депутатов Государственной Думы содержание лекции Президента Грузии Э.А.Шеварднадзе, с которой он выступил в Гарвардском университете в Соединенных Штатах Америки 3 октября 2001 года. Выдержанная в духе "холодной войны" лекция содержит очередные выпады против Российской Федерации, которой приписываются попытки создания "центров противостоящей Западу силы". Призывы российской стороны к грузинским властям о необходимости эффективного сотрудничества в борьбе с международным терроризмом были поданы как планы переноса военных действий на территорию Грузии и грубое давление на ее руководство в целях изменения "независимого политического курса" Тбилиси.

Государственная Дума заявляет, что подобная антироссийская риторика Э.А.Шеварднадзе не отражает действительную роль России в международных делах и ее внешнеполитический курс, в том числе в отношении Грузии.

Государственная Дума выражает тревогу по поводу активизации грузино-американского военного сотрудничества. Депутатов Государственной Думы не могут не беспокоить расширение взаимодействия Грузии с государствами - членами НАТО, особенно часто проводимые в последнее время в непосредственной близости от Государственной границы Российской Федерации совместные учения типа "Фазиси-2001". Сценарии учений выходят далеко за рамки программы "Партнерство ради мира", что свидетельствует о продолжающемся втягивании Грузии в сферу деятельности Североатлантического альянса.

Ни у кого не вызывает сомнения, что посредничество России в урегулировании грузино-абхазского конфликта имеет ключевое значение для невозобновления военных действий. Депутаты Государственной Думы встревожены не пресекаемыми грузинской стороной попытками дестабилизации обстановки в зоне конфликта и на территории Абхазии.

Не остаются незамеченными попытки грузинской стороны вести дело к вытеснению России из процесса урегулирования грузино-абхазского конфликта, его урегулированию по косовской модели принуждения к миру.

Депутаты Государственной Думы вынуждены констатировать, что частые безответственные и провокационные заявления некоторых политиков начинают доминировать в официальной позиции грузинских властей по отношению к России.

Государственная Дума исходит из того, что российско-грузинские отношения являются важным компонентом внешней политики Российской Федерации, и выражает надежду, что они будут развиваться в духе исторически сложившейся дружбы народов наших государств. Своей целью Россия ставит установление и поддержание с Грузией отношений добрососедства и равноправного партнерства и надеется на встречные усилия в этом направлении грузинской стороны.

**Москва**
**11 октября 2001 года**

ძალადაკარგულია
საქ. პრეზიდენტის
03/13/2002 N 301
განკარგულებით

**საქართველოს პრეზიდენტის**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**N 1077 2001 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კუთვნილი ვერტმფრენის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ**

1. 2001 წლის 8 ოქტომბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კუთვნილი ვერტმფრენის ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

| | | |
|---|---|---|
| **მალხაზ კაკაბაძე** | - | საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე |
| **ვენედი ბენიძე** | - | საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე |

| | | |
|---|---|---|
| **აკაკი ბიწაძე** | - | საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მთავარი ინსპექციის უფროსი |
| **ნიკოლოზ ვაშაკიძე** | - | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე |
| **სიმონ ნოზაძე** | - | საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე |
| **ზურაბ ფერიშვილი** | - | საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე |
| **ზურაბ ჩხაიძე** | - | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. |

2. კომისიამ ერთ თვეში წარმოადგინოს დასკვნა ვერტმფრენის ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

3. სამთავრობო კომისიამ ვერტმფრენის ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზების შესწავლის დროს აქტიურად ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებელთა მისიასთან საქართველოში.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს აღძრა სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვერტმფრენის ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით.

*ე. შევარდნაძე*

**ე უ თ ო**

**ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრობლობის ორგანიზაციის**

**მისია საქართველოში**

**26 ოქტომბერი, 2001**

განცხადება პრესისათვის (Press Release)

საქართველოში არსებული მდგომარეობის უკეთ გაცნობის მიზნით, 2001 წლის 24-26 ოქტომბერს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ბ-ნ ანდრეა სევერინი. მან შეხვედრები გამართა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პარლამენტარებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ის აგრეთვე შეხვდა საქართველოში ეუთო-ს მისიის წევრებს.

ბ-ნი სევერინი, რომელიც წარმოადგენს 300-ზე მეტ პარლამენტარს 55 ეუთო-ს წევრი ქვეყნიდან, შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს, პარლამენტის თავჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა გამართა შეხვედრები სხვა პარლამენტარებთანაც, მათ შორის საპარლამენტო ფრაქციებთან, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის წევრებთან. ბ-ნი სევერინი შეხვდა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. ამასთანავე, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი შეხვდა საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს.

ყველა ამ შეხვედრის დროს, პრეზიდენტმა სევერინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტაბილურობა და უსაფრთხოება ევროპაში მჭიდრო კავშირშია სამხრეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობასთან. მისი აზრით, უსაფრთხოების გარანტიის შექმნა სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც მიმდინარეობს გლობალური მასშტაბის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი ვიზიტი საქართველოში ნათელი დასტურია იმის, რომ გლობალური მასშტაბის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რეგიონალური და ადგილობრივი კონფლიქტები იგნორირებული და მივიწყებულნი არიან.

პრეზიდენტმა სევერინმა გამოთქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ არსებულმა კონფრონტაციამ საერთაშორისო თანამეგობრობასა და გლობალური მასშტაბის ტერორიზმთან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში. არსებულ ისედაც მძიმე მდგომარეობაზე. "ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა არ დავუშვათ, რომ ბრძოლა, რომლის მიზანია დაამარცხოს ტერორიზმი, გადაიქცეს იარაღად რაიმე გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმის ყველა გამოვლინებას სადაც ის არსებობს, მაგრამ არ უნდა გამოვიგონოთ ტერორიზმი, იქ სადაც ის არ არსებობს", განაცხადა პრეზიდენტმა სევერინმა.

პრეზიდენტმა სევერინმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აუღიარებელი "სახელმწიფო წარმონაქმნების" პრობლემას. იქ, სადაც არ იცავენ საერთაშორისო ნორმებს და პრინციპებს და სადაც სუსტია კონტროლი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ადგილი აქვს კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულს. ამ შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ შესაძლოა არსებობდეს კავშირი ამ მოვლენასა და ტერორიზმის ფენომენს შორის. ხაზი გაესვა იმის აუცილებლობას, რომ ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საშიშ გამოვლინებებს, როდესაც შეიმუშავებენ ეკონომიკურ პროექტებს მსგავსი რეგიონებისათვის. "ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ხელი უნდა შეუწყოს სტაბილურობას და

გააუმჯობესოს რიგითი ადამიანების ცხოვრების დონე, მაგრამ არ უნდა დაეხმაროს არალეგიტიმურ რეჟიმებს და ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს," განაცხადა პრეზიდენტმა სევერინმა.

ყველა ამ შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა გახლდათ აფხაზეთი. პრეზიდენტმა სევერინმა გამოთქვა წუხილი კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან და აქედან გამომდინარე მსხვერპლთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია წერტილი დაესვას ყველა უკანონო შეიარაღებული ჯგუფების მოქმედებას კონფლიქტის ზონაში. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ცნობად მიიღო საქართველოს პარლამენტის 11 ოქტომბრის განცხადება დსთ-ს სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ. ბ-ნმა სევერინმა გამოთქვა იმედი, რომ აფხაზეთის კონფლიქტი შეიძლება მოკლე ვადებში მოგვარდეს, და რომ რუსეთის ფედერაცია კონსტრუქციულ როლს ითამაშებს ამ პროცესში. ამასთან დაკავშირებით, ბ-მა სევერინმა აღნიშნა, რომ ბოლო უნდა მოეღოს მასს-მედიას წარმომადგენლების მიერ გამიზნულად ცრუ ინფორმაციების გავრცელებას და უნდა დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი მხარეებს შორის.

რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ბაზების პრობლემას საქართველოში, პრეზიდენტმა სევერინმა გამოთქვა იმედი, რომ ორივე მხარე შეასრულებს სტამბულში ეუთო-ს სამიტზე აღებულ ვალდებულებებს.

ბატონი სევერინი შეეხო იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემას და აღნიშნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მიჩნეულ უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი.

შეხვედრების დროს განხილულ იქნა სამხრეთ ოსეთის პრობლემაც. პრეზიდენტმა სევერინმა გამოთქვა რწმენა, რომ ბუქარესტში ეუთოს ეგიდით შემდგარი შეხვედრა, რომელიც ამ პრობლემას მიეძღვნა, ახალ იმპულს მიანიჭებს სამშვიდობო პროცესს. ამ კონტექსტში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მაღალ შეფასებას აძლევს ეუთოს მისიის მუშაობას საქართველოში და აღნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ ეუთო-მ მომავალშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სამშვიდობო პროცესში.

პრეზიდენტმა სევერინმა მხარი დაუჭირა საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ზოლზე ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფის მანდატის გაგრძელებას და მის გავრცობას ინგუშეთის სასაზღვრო მონაკვეთზე.

შეეხო რა იმ კრიტიკულ მოსაზრებებს, რომელიც გამოითქვა ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ, პრეზიდენტმა სევერინმა განმარტა, რომ დემოკრატიული განვითარების გზა წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების და არსებული პრობლემების გადაჭრის

აუცილებელ ელემენტს. კერძოდ, ბატონმა სევერინმა აღნიშნა, რომ აუცილებელია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ამასთანავე, პრეზიდენტმა სევერინმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ქვეყანაში სიტუაცია გაუარესდა და დაბეჯითებით მოუწოდა ხელისუფლებას დაუყოვნებლივ გამოასწოროს არსებული მდგომარეობა.

ამასთანავე, პრეზიდენტმა სევერინმა განიხილა ის გზები, რომელიც გაზრდიდა ეუთო-ს, კერძოდ კი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის როლს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში და უზრუნველყოფდა კანონის უზენაესობას და უფრო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

პრეზიდენტმა სევერინმა აღნიშნა, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში შექმნილი სპეციალური კომიტეტი აფხაზეთის (საქართველო) საკითხებზე გააგრძელებს თავის საქმიანობას არსებული მანდატის ფარგლებში და მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიასთან (UNOMIG) და ეუთოს მისიასთან საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, მან წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთის ხელისუფლება უარს ამბობს წარმართოს დიალოგი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან და გამოთქვა იმედი, რომ ასეთი დიალოგი მალე შესდგება.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში დაიწყო ბაქოში (აზერბაიჯანი). საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი სევერინი გაემგზავრა სომხეთში.

## საქართველოს პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
## N 1163 2001 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის 2001-2002 წლების ზამთარში სურსათით მომარაგების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის 2001-2002 წლების ზამთარში სურსათითა და პირველადი მოთხოვნილების საქონლით მომარაგების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის

რაიონის კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს 140 (ას ორმოცი) ათასი ლარი, მათ შორის:

- სურსათითა და პირველადი მოთხოვნილების საქონლით უზრუნველსაყოფად 95 ათასი ლარი.
- ამ პროდუქტების ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-ჩამოტვირთვისათვის 45 ათასი ლარი.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**N 1177 2001 წლის 17 ნოემბერი ქ. თბილისი**

**აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესებისა და ზამთრის სეზონისათვის მზადების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ**

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოახლოებული ზამთრისათვის მზადების მიზნით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. სოსელია):

ა) დევნილებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო ფულადი დახმარების გასაცემად, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით ბოლო დროს მიღწეული დადებითი ტენდენციების გათვალისწინებით მიიღოს გადამჭრელი ზომები თანხის რეგულარულად გაცემის შესანარჩუნებლად და მიმდინარე წლის ბოლომდე არსებული დავალიანების სრულად დასაფარავად;

### Из заявления президента вашингтонского Никсонского центра политических исследовании Дмитрия Саймса телекомпании НТВ 11 сентября 2002 г.

…администрация Президента США Джорджа Буша уведомила правительство России в том, что нанесение российской стороной ударов по территории Грузии будет иметь негативные последствия для российско-американских отношений.

.. .заявление Президента Владмимра Путина о возможном нанесении ударов по расположенным на территории Грузии базам террористов, стало неожиданностью для американских властей и вызвало “настороженную реакцию в Вашингтоне”.

...российский Президент не упомянул о готовившемся заявлении во время состоявшегося утром в среду телефонного разговора с Президентом Бушем, в котором Владимир Путин выразил Президенту США и американскому народу соболезнование в связи с годовщиной терактов 11 сентября.

Нанесение ударов или начало военной операции российских вооруженных сил на территории Грузии приведет, по словам Саймса, к значительному ухудшению

в отношениях между Россией и США. Президент вашингтонской аналитической организации сказал, что не располагает фактами, подтверждающими, что на территории Грузии располагаются базы террористов, и считает что российское правительство сможет заручиться поддержкой американской администрации только после того, как ей будет предоставлены доказательства присутствия террористических формировваний на грузинской территории.
(из газеты "Свободная Грузия", 13 сентября 2002 г., № 192 (22550)

## საქართველოს პარლამენტის
## მ ი მ ა რ თ ვ ა

## გაერო-ს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადებამ ცხადყო, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას.

რუსეთის პრეზიდენტმა გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროებისა და საზღვრის დაცვის ფედერალურ სამსახურებს დაავალა საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამხედრო ოპერაციის მომზადება.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის ამ აშკარა მუქარას საფუძვლად დაედო გაეროს წესდების 51-ე მუხლისა და სხვა დოკუმენტების არაადეკვატური ინტერპრეტაცია – თითქოს რუსეთი თავს იცავს საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიისაგან.

ამგვარი განცხადება გაკეთდა 11 სექტემბერს – სწორედ იმ დღეს, რომელიც აღიქმება ტერორიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის გაერთიანების სიმბოლოდ, და წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ფაქტობრივი ანექსიის შენიღბვის მცდელობას.

ეს განცხადება არის წინა ეტაპი საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა და იგი მიზანმიმართულად მზადდებოდა რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებებით, დეზინფორმაციის გავრცელებითა და პერმანენტული საჰაერო დაბომბვებით, რომლებსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

რუსეთის ხელისუფლება განუწყვეტლივ ცდილობს, საკუთარი მოსახლეობა და მსოფლიო თანამეგობრობა შეიყვანოს შეცდომაში – თითქოს საქართველო ხელს უშლის მას ტერორიზმთან ბრძოლაში, არადა ტერორიზმის სათავე თავად რუსეთის ტერიტორიაზეა და ამ პრობლემის მოგვარების უუნარობას იგი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების საბაბად იყენებს.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადების უსაფუძვლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სწორედ რუსეთიდან მომდინარე ტერორიზმით, რომელსაც აშკარად მფარველობდა რუსეთის ხელისუფლება, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა, რასაც მოჰყვა სეპარატიზმის გაღვივება და შედეგად — ტერიტორიების (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის) დაკარგვა, დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ასეულათასობით მოქალაქის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

რუსეთის აგრესიულ ზრახვებს მოწმობს აგრეთვე ის, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა მაშინ, როდესაც რუსეთის მიერ პროვოცირებული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველო საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში და მისი მხარდაჭერით კონკრეტულ, რადიკალურ მოქმედებებს ახორციელებს.

საქართველოს პარლამენტმა არაერთგზის მიმართა რუსეთის ფედერაციის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას, გამოხატა თავისი მზადყოფნა პრობლემის კონსტრუქციული გზით მოგვარებისათვის და ამ მიმართულებით გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, თუმცა მათ, სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან რადიკალურად საპირისპირო საპასუხო მოქმედებები მოჰყვა.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობას და აცხადებს, რომ ყოველმხრივ უწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის უმოკლეს დროში და რეალური შედეგებით დასრულებას და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულ პროცესებზე საერთაშორისო მონიტორინგის გაძლიერებას. ამასთან, იგი მზად არის, ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა პრობლემა გადაწყვიტოს პოლიტიკური გზით, პარლამენტთაშორისი კონსულტაციებით, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებების დაგეგმვით რუსეთი უგულებელყოფს ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპებს, რითაც არა მხოლოდ უპირისპირდება საქართველოს, არამედ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონს და მსოფლიო მართლწესრიგს.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველო წინ აღუდგება რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიისა და ანექსიის მცდელობას; ამასთან, მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღონ ქმედითი ზომები და არ დაუშვან რეგიონში საომარი მოქმედებების ესკალაცია.

**თბილისი, 2002 წლის 12 სექტემბერი.**

**Заявление**
**Министерства иностранных дел Грузии**

В Грузии крайне встревожены заявлением Президента Российской Федерации г-на Путина от 11 сентября с.г. на заседании в г.Сочи, содержащим неприкрытую угрозу применения военной силы против территории соседнего суверенного государства.

Можно лишь сожалеть, что заявления главы российского государства прозвучали именно 11 сентября, в день когда внимание мирового сообщества сконцентрировано на прошлогоднем теракте.

Вызывает крайне удивление то, что такого рода обвинения прозвучали несмотря на то, что российская сторона по задействованным между спецслужбами каналам была детально проинформирована о всех мероприятиях, проводимых и планируемых грузинскими силовими структурами по оздоровлению криминальной ситуации в Панкисском ущелье и на чеченском участке государственной границы между Грузией и Россией.

Министерство иностранных дел Грузии считает, что обвинения против Грузии выдвинутые в заявлении не миеют под собой никакой основы и не отражают объективную реальность. С целью продемонстрирования реального положения дел грузинская сторона выражает готовность принять в ближайшее время в Грузию группу международных экспертов в рамках ОБСЕ, в том числе и представителей Российской Федерации для посещения и ознакомления с реальной ситуацией в Панкисском ущелье и на чеченском участке государственной границы между Грузией и Россией.

Грузинскую сторону призывают контролировать свою территорию тогда, когда в Панкисском ущелье и прилегающих районах вступают в решающую фазу мероприятия очистки территории от криминальных элементов и боевиков.

Грузинская сторона неоднакратно подчеркивала и подчеркивает, что она открыта к тесному сотрудничеству в борьбе против террора в рамках глобальной антитеррористической коалиции, в том числе и с Россией, территориальную целостность которой и право защищать собственных граждан от зла терроризма Грузия уважала всегда. Однако, поручения данные Президентом Путиным 11 сентября силовым структурам России ни в коей мере не вкладываются в рамки общепринятых норм межгосударственных отношений и не могут быть расценены иначе, как угроза агрессии со стороны РФ против соседнего суверенного государства.

В связи с этим, МИД Грузии считает абсолютно неприемлемым по меньшей мере произвольное толкование 51-ой статьи Устава ООН, прозвучавшее на заседании в г. Сочи и имеющее цель лишь оправдать подобные агрессивные намерения.

Грузинская сторона настойчиво призывает Российскую сторону воздержаться от непродуманных шагов, которые могут лишь повлечь за собой новые разрушения и человеческие жертвы, дестабилизировать ситуацию на Кавказе в целом и нанести непоправимый урон российско-грузинским отношениям.

В то же самое время, в связи с раздуванием Российской стороной панкисской темы, вне области внимания мировой общественности остается политика проводимая Российской федерацией по отношению к Абхазии, Грузия, выражающаяся в прямой политической и военной поддержке сепаратистских властей, прямых контактах официальных властей РФ с сепаратистами, кампании

массовой выдачи российских паспортов и присвоении российского гражданства населению Абхазии, Грузия, упрощенном порядке пресечения государственной границы на абхазском участке.

МИД Грузии призывает ООН, ОБСЕ и все мирвое сообщество предпринять решительные меры по недопущению подобного развития событий в кавказском регионе.

**г. Тбилиси, 12 сентября 2002 года.**

## საქართველოს პარლამენტის
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი ხალხის ურყევ ნებას, იცხოვროს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და გამთლიანებულ ქართულ სახელმწიფოში, აცხადებს, რომ საქართველო, როგორც ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი წევრი, თავისი უსაფრთხოების გარანტირებულ უზრუნველყოფას შეძლებს მხოლოდ ამ სივრცის კოლექტიური თავდაცვის სისტემაში ინტეგრაციით.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) კოლექტიური თავდაცვის ერთადერთი ორგანიზაციაა ევროპაში, რომელიც პასუხობს მისი წევრი ქვეყნების ინტერესებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ, საქართველოს პარლამენტი აღიარებს, რომ ნატოს წევრობა, ევროგაერთიანებაში გაწევრიანებასთან ერთად, არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადასტურებს, რომ პარლამენტში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს ქვეყნის ნატოში სრულფასოვან გაწევრიანებას, აღიარებს, რომ ეს გადაწყვეტილება არის საქართველოს ისტორიული არჩევანი, განპირობებული ხალხის ნებით, და თვლის, რომ აღნიშნული საკითხი არ გახდება შემდგომი პოლიტიკური დებატების საგანი.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველო წარმართავს რეფორმათა პროცესს პოლიტიკის, ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროებში, რათა უახლოეს პერიოდში ქვეყანამ დააკმაყოფილოს ნატოს წევრობისათვის აუცილებელი კრიტერიუმები.

საქართველოს პარლამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც მოუწოდებს, პრიორიტეტებად დასახოს ლიბერალური დემოკრატიის განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიკის გაჯანსაღება

და განვითარება, კორუფციასთან ბრძოლა, სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესება, თავდაცვის სფეროს რესურსებით უზრუნველყოფის, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და მათი ნატოს მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხები.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ნატოში სრული ინტეგრაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, საქართველოს პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად დაიწყოს ნატოში გაწევრიანების პროცესი.

2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ გამოხატული პოლიტიკური ნების მხარდაჭერა საერთაშორისო არენაზე.

3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან ერთად 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და პარლამენტს წარუდგინოს თავდაცვის სფეროს რეფორმირებისა და შეიარაღებული ძალების ნატოს მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას უმთავრესი პრიორიტეტი მიანიჭოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას.

5. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის წევრი დავით გამყრელიძე და დაევალოს მას, შესაბამისი ინფორმაცია პარლამენტს წარუდგინოს 2003 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარის მოადგილე** ***გიორგი წერეთელი***

**თბილისი, 2002 წლის 13 სექტემბერი.**

**Постановление
Государственной Думы Федерального Собрания
Российской Федерации**

**О заявлении Государственной Думы Федерального Собрания
Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений"**

Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации
п о с т а н о в л я е т:
1. Принять заявление Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации "О состоянии российско-грузинских отношений".

2. Направить настоящее Постановление и указанное Заявление в Правительство Российской Федерации, парламенты государств - членов Организации Объединенных Наций, Генеральному секретарю Организации Объединенных Наций, в Организацию по безопасности и сотрудничеству в Европе, Совет Европы.

3. Направить настоящее Постановление и указанное Заявление в "Парламентскую газету" для официального опубликования.

4. Настоящее Постановление вступает в силу со дня его принятия.

**Председатель Государственной Думы
Федерального Собрания
Российской Федерации Г. Н. Селезнев**

**Москва
13 сентября 2002 года**

**Заявление
Государственной Думы Федерального Собрания
Российской Федерации**

**О состоянии российско-грузинских отношений**

Государственная Дума Федерального Собрания Российской Федерации выражает обеспокоенность по поводу дальнейшего ухудшения российско-грузинских отношений в связи с продолжением руководством Грузии политики попустительства международным террористам, находящимся на территории Грузии. В результате деятельности международных террористических группировок руководство Грузии фактически утратило контроль за частью территории своего государства.

Развитие ситуации на российско-грузинской границе подтверждает справедливость оценок, содержавшихся в заявлении Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации от 6 марта 2002 года "О ситуации в Грузии в связи с военным присутствием США на ее территории".

Бандформирования при поддержке международных террористов и бездействии руководства Грузии совершают вооруженные вылазки с ее территории на территорию Российской Федерации. Эти действия террористов создают прямую угрозу жизни и безопасности граждан Российской Федерации, в том числе проживающих в Абхазии и Южной Осетии. Грузинская сторона систематически не выполняет свои международные обязательства по борьбе с терроризмом, включая

положения резолюции Совета Безопасности Организации Объединенных Наций 1373 (2001) от 28 сентября 2001 года, по ликвидации ситуации, сложившейся на территории Грузии и угрожающей стабильности, безопасности и территориальной целостности не только Грузии, но и Российской Федерации. Руководство Грузии неоднократно отвергало предложения Российской Федерации о проведении совместных операций

против международных террористов, действующих с территории Грузии.

В то же время проведенная силами безопасности Грузии так называемая антикриминальная операция в Панкисском ущелье носила преимущественно пропагандистский характер и не привела ни к уничтожению, ни к разоружению международных террористов.

Долю политической ответственности за бездействие перед нарастающей угрозой международного терроризма несет и Парламент Грузии.

Обращает на себя внимание также недостаточная эффективность деятельности наблюдателей Организации по безопасности и сотрудничеству в Европе на грузино-российской границе.

Государственная Дума считает, что в сложившейся ситуации Президент Российской Федерации вправе предпринять самые решительные действия по обеспечению безопасности Российской Федерации и пресечению проникновения военных формирований международных террористов с территории Грузии на территорию Российской Федерации.

В этой связи Государственная Дума полностью поддерживает содержащиеся в заявлении Президента Российской Федерации от 11 сентября 2002 года оценки угрозы международного терроризма, исходящей с территории Грузии, а также предложенный Президентом Российской Федерации план действий по устранению этой угрозы.

В соответствии со статьей 51 Устава ООН о праве на индивидуальную или коллективную самооборону в случае вооруженного нападения Российская Федерация в строгом соответствии с положениями своей Конституции, регулирующими вопросы войны и мира, может провести военную операцию против вооруженных формирований и баз подготовки международных террористов, расположенных на той части территории Грузии, которая не контролируется в полной мере руководством Грузии.

Государственная Дума рекомендует Правительству Российской Федерации рассмотреть вопрос о дальнейшей целесообразности предоставления Грузии экономической помощи в любых формах, включая поставки энергоносителей на льготных условиях, в связи с нежеланием руководства Грузии принять эффективные меры по борьбе с международными террористами на своей территории.

Сложившаяся ситуация ставит под сомнение возможность заключения российско-грузинского договора о дружбе, добрососедстве, сотрудничестве и взаимной безопасности.

Государственная Дума считает необходимым напомнить о высокой ответственности политиков и парламентариев, от взвешенности слов и действий которых во многом зависит вопрос возвращения в нормальное русло российско-грузинских отношений.

**Москва**
**13 сентября 2002 года**

**Его Превосходительству - Эдуарду Шеварднадзе Президенту Грузии**

Дорогой господин Президент!

Спасибо Вам за письмо, которое касается важных вопросов сотрудничества между нашими двумя странами.

США по-прежнему твердо поддерживают суверенитет, независимость и территориальную целостность Грузии. Ваше правительство опирается на эту поддержку в восстановлении юрисдикции власти в Панкисском ущелье и Грузии в целом и искоренении терроризма. Для успеха этих операций чрезвычайно важны хорошо продуманное планирование и межведомственная координация. Я доволен тем, что в этих вопросах Ваш Совет Национальной безопасности тесно сотрудничает с послом Р. Майлсом в Тбилиси и нашими официальными представителями здесь, в Вашингтоне.

Стабильность на Кавказе требует, чтобы Ваше правительство и правительство России нашли основанные на сотрудничестве решения с тем, чтобы решить как проблему Панкисского ущелья, так и Абхазии. Со своей стороны, Соединенные Штаты и впредь сыграют активную роль. Приветствую Ваше решение об углублении сотрудничества между Соединенными Штатами, Грузией и Россией, что поможет нам в осуществлении наших общих целей в этом регионе. В нашем общем заявлении о борьбе с терроризмом, сделанном в мае нынешнего года, Президент Путин и я всенародно заявили, что будем тесно сотрудничать с Грузией в антитеррористической деятельности. Будем работать, чтобы добиться политического решения конфликта в Абхазии, соблюдая суверенитет и территориальную целостность Грузии. Мы довольны тем, что сотрудничество началось, и Соединенные Штаты будут стремиться к тому, чтобы сделать его более интенсивным.

Соединенные Штаты по-прежнему верны своим обязательствам - Грузии в обеспечении энергетической безопасности. Приветствую церемонию, посвященную началу строительства нефтепровода Баку-Тбилиси-Джейхан. Я просил министра энергетики быть моим представителем на этом важном мероприятии.

Ждем также разработки проекта газопровода Шах-Дениз, который будет проложен из Азербайджана через территорию Грузии в Турцию.

Для обеспечения энергетической безопасности особенно важны осуществленные в Грузии действия. Смелая реформа энергетического сектора, которая требует оплаты стоимости энергии, использованной крупными промышленными потребителями, представляет для правительства Грузии

узловой вопрос в изыманйи платы, необходимой за газоснабжение в зимний период. Возможно, реформа энергетического сектора станет центральным вопросом усилий Вашего правительства, чтобы рыночная экономика и демократические институты Грузии усилились в период подготовки к выборам Президента в 2005 году.

И наконец, разделяю Вашу обеспокоенность по поводу коррупцию поскольку она ослабляет оказанную демократическим институтам поддержку и создает угрозу стабильности страны. В последние годы Вы предприняли значительные шаги по урегулированию этой проблемы. Для Грузии, которая приближается к выборам 2005 года, возрастающее значение приобретут твердые действия, направленные против коррупции. Выражаю Вам благодарность за то, что Вы поделились со мной Вашими соображениями. Жду дальнейшего углубления сотрудничества между нашими странами.

**Искренне Ваш,**
**Джордж У. БУШ**
**19 сентября 2002 года**

## Заявление
## Министерства иностранных дел Грузии

В контексте тревожных событий, имеющих место в последнее время в грузино-российских отношениях, в грузии с особым вниманием отнеслись к Сообщению МИД Российской федерации от 16 сентября 2002 года “О встречах Специального представителя Президента России по вопросам грузино-абхазского урегулирования, статс-секретаря - первого заместителя Министра иностранных дел В.В. Лощинина с премьер-министром Абхази А.М. Джергения”.

С сожалением приходиться констатировать, что в указанном сообщении г-ин Джергения в очередной раз упоминается в качестве премьер-министра.

В связи с этим считаем необходимым напомнить, что по данному вопросу 10 сентября 2002 года Посольство Грузии в Российской федерации направила ноту в адрес Министерства иностранных Дел Российской Федерации, в которой грузинская сторона подчеркивала недопустимость присвоения лидерам абхазских сепаратистов официального статуса. Ответа на указанную ноту грузинская сторона не получала.

Содержание данного сообщения МИД РФ позволяет сделать вывод, что российская сторона подобными действиями пытается придать легитимность сепаратистским властям Абхазии. Об этом свидетельствуют и целенаправленные шаги, которые были предприняты в последнее время Российской Федерацией в Абхазии, Грузия.

Эти шаги являются продолжением покровительской, по своей сути, политики по отношению к сухумским властям, обусловившей введение российской стороной в одностороннем порядке безвизового режима, процесс массового предоставления российского гражданства населению Абхазии, Грузия, активизацию контактов представителей государственных властей РФ с сепаратистами и выдвижение российской стороной на первый план вопроса обеспечения безопасности сухумского режима.

Настораживает и тот факт, что касаясь ситуации в Кодорском ущелье, российская сторона уже не в первый раз ссылается исключительно на абхазские источники, игнорируя при этом информацию, которой располагают как грузинская сторона так и наблюдатели ООН. Более того, российская сторона продолжает распространять ничем не обоснованные заявления о наличии бандформировани в Кодорском ущелье.

Исходя из вышеизложенного, Министерство иностранных дел Грузии считает, что указанные, беспочвенные обвинения могут стать основанием для разного рода провокаций в Кодорском ущелье, с целью распространения контроля сепаратистского режима на этот регион Грузии.

Грузинская сторона неоднакратно обращала внимание на то обстоятельство, что именно подобные шаги российской стороны, противоречивость в ее заявлениях и действиях, определяют жесткость и непримиримость позиции абхазских сепаратистов, ставят под сомнение роль Российской Федерации как посредника и члена Группы друзей Генерального секретаря ООН в деле полномасштабного урегулирования конфликта в Абхазии, Грузия.

МИД Грузии призывает Российскую Федерацию с большей ответственностью относиться к своим заявлениям и неукоснительно выполнять взятые на себя обязательства в рамках ООН, ОБСЕ и СНГ.

Грузинская сторона обращается к мировому сообществу уделить больше внимание урегулированию конфликта в Абхазии, Грузия и предпринять решительные действия по недопущению эскалации напряженности в этом регионе Грузии.

**г. Тбилиси,**
**19 сентября 2002 года.**

## *საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლიდან* გაერო-ს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიაზე

ქ. ნიუ-იორკში 2002 წლის 19 სექტემბერს

...გენერალურმა მდივანმა ათასწლეულის სამიტზე გაკეთებულ განცხადებაში მკაფიოდ აღნიშნა, რომ უნდა შეიცვალოს მიდგომა გაეროს სამშვიდობო ოპერაციებისადმი. ბოლო პერიოდში გაეროს ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული ოპერაციები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რასაც ჩვენ რა თქმა უნდა მივესალმებით. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი პრაქტიკა კონფლიქტებით სავსე ჩვენს რეგიონშიც განხორციელდება.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიისათვის, რელიგიურად და ეთნიკურად ჭრელი რეგიონისთვის, სადაც ერთი შეხედვით უბრალო, ადგილობრივი მნიშვნელობის დავამ შეიძლება ფართომასშტაბიანი,

ხანგრძლივი და საშინელი კონფლიქტი გამოიწვიოს. მოვლენათა მსგავსი განვითარების შემთხვევაში შესაძლებელია კავკასიაში გაჩაღდეს ომი "ყველა ყველას წინააღმდეგ". ეს გამოიწვევს უზარმაზარ მსხვერპლს და ძლიერ დაასუსტებს რეგიონს, რომელსაც უზარმაზარი სამომავლო პოტენციალი გააჩნია. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს ამ კონფლიქტში მაყურებლად დარჩენისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური დივიდენდების მიღების ფუჭი მოლოდინი.

კავკასიაში არსებულ კონფლიქტებზე საუბრისას, თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე - კონფლიქტზე აფხაზეთში, საქართველო, სადაც ჩვენი ერთიანი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერჯერობით წარმატება არ სჩანს. ჩემი მტკიცე რწმენით, საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი შეცდომა ისაა, რომ ე.წ. აფხაზურ ხელისუფლებას დაუსრულებელი და აბსურდული დავის გაჭიანურების შესაძლებლობა მისცეს. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება დაემორჩილა სეპარატისტთა სურვილებს, რის გამოც პოლიტიკური მოლაპარაკების პროცესი ფაქტიურად მათი განწყობის "მძევლად" იქცა. მედიატორები ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში გართულნი არიან პატრულირებისა და სხვა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიებით, რის გამოც მათი ყურადღების მოცემული სამშვიდობო პროცესის ფუნდამენტური მახასიათებლები რჩება:

**პირველი.** საქართველოს, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრის საყოველთაოდ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია ძალადობასა და ეთნიკურ წმენდაზე დამყარებული არალეგიტიმური, ფსევდო- აფხაზური რეჟიმის მიერ. შეუძლებელია რაიმე დადებითი შედეგის მიღწევა ორივე მხარისადმი ერთიანი მიდგომის პირობებში, თუკი ორივეს თანაბარი პასუხისმგებლობა დაეკისრება და ორივე მხარისათვის თანაბრად ანგარიშის გაწევის პოლიტიკა გაგრძელდება.

**მეორე.** ეს არის მშობლიური ადგილებიდან გამოძევებული და ადამიანის ელემენტარული უფლებებჩამორთმეული 300 ათასზე მეტი ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის ბედი, რის შესახებაც უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მხოლოდ უშედეგო დისკუსიები მიმდინარეობს.

პრაქტიკულად უსარგებლო მოლაპარაკებების მრავალწლიან გამოცდილებას მხოლოდ ამ დასკვნებამდე მივყავართ.

ბატონო თავმჯდომარე,

მინდა ბოდიში მოვუხადო გაეროს უშიშროების საბჭოს უკანასკნელი რეზოლუციის ავტორებს, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო მათი განცხადებების რბილ ტონს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება კატეგორიულად უარს ამბობს მეგობართა ჯგუფის მიერ შედგენილი დოკუმენტის -"სოხუმსა და თბილისს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ"- განსახილველად მიღებაზეც კი, გაეროს უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციაში აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფალთა თავხედობას მხოლოდ მცირე საყვედურით უპასუხა.

ჩვენდა გასაკვირად, გაეროს უშიშროების საბჭოს უკანასკნელ რეზოლუციაში გაჟღერებულია ფრაზა გალის რაიონში ადამიანთა

უფლებების დაცვის სფეროში მდგომარეობის "ერთგვარი გამოსწორების" შესახებ. რა გამოსწორებაზეა საუბარი, როცა სეპარატისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ აფხაზეთში, საქართველო, ქართულ სკოლებში ქართველმა ბავშვებმა ქართული უცხო ენად შეისწავლონ? ორი წლის წინ გაერო-სა და ეუთო-ს ერთობლივმა შემფასებელმა მისიამ წარმოადგინა რეკომენდაცია სოხუმის ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ფილიალის გალში გახსნის შესახებ. ეს ფილიალი დღემდე არ გახსნილა. ვითარების რა სახის გაუმჯობესებაზეა საუბარი?

აფხაზეთის, საქართველო ტრაგედია, საიდანაც ასეულ ათასობით, ძირითადად ეთნიკური ქართველი ძალით იქნა განდევნილი საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან, ეუთოს მიერ არაერთხელ შეფასდა სამართლიანად როგორც "ეთნიკური წმენდა". ამგვარად, ჩვენს გაოცებას იწვევს, როდესაც გაერო თავს იკავებს მსგავსი შეფასების გაკეთებისაგან. მით უმეტეს, რომ აფხაზური მხარე 1993 წლიდან მოყოლებული გაეროს უშიშროების საბჭოს 29 რეზოლუციიდან არცერთს არ ასრულებს.

ვიმედოვნებ, რომ დამეთანხმებით - ამგვარი არათანმიმდევრულობა მხოლოდ აძლიერებს სეპარატისტთა თვითდჯერებულობას და დაუსჯელობის შეგრძნებას.

1994 წელს ჩვენ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ - მივმართეთ გაერო-ს თხოვნით, ნება დაერთო დსთ-ის "კოლექტიური" ძალების მიერ აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციაზე მხოლოდ რუსეთის (მოსაზღვრე სახელმწიფოს და კონფლიქტში დაინტერესებული მხარის) სამხედრო კონტიგენტის გამოყენებით. ჩვენი ეს თხოვნა განპირობებული იყო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ალტერნატიულ შესაძლებლობათა სრული არარსებობით. განვლილმა რვა წელიწადმა ნათლად დაგვანახა, რომ კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის აუცილებელი უსაფრთხოების პირობების შექმნის თვალსაზრისით. მათ ფაქტობრივად მხოლოდ ხელოვნური საზღვარი დააფიქსირეს სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და დანარჩენ საქართველოს შორის.

ვფიქრობ, რომ დადგა დრო, არსებითად შეიცვალოს მიმდინარე სამშვიდობო ოპერაცია. კერძოდ, ვემხრობით სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის შემოტანას და საერთაშორისო ეგიდით გალის რაიონში ერთობლივი ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციის შექმნას.

მტკიცედ გვწამს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის და, უპირველეს ყოვლისა, გაეროს უფრო აქტიური ჩართვა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამჟამად გაერო რამდენიმე სამშვიდობო ოპერაციას ახორციელებს. ამის მიუხედავად, იმედი გვაქვს, რომ შესაძლებელი გახდება აფხაზეთის, საქართველო კონფლიქტის მოწესრიგებაში გაეროს უფრო აქტიური ჩართვისათვის აუცილებელი რესურსების მოძიება. ჩვენს რეგიონში გაეროს სამშვიდობო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით სასურველია მჭიდრო თანამშრომლობა ეუთოსა და სხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის დსთ-სთან.

ბატონო თავმჯდომარე,

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის არაეფექტურობაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში არსებული უთანხმოება სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად რჩება. ამ მიზეზის გამო, თითქმის ორი წელიწადი დასჭირდა "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების" შესახებ კონსენსუსის მიღწევას. გარდა ამისა, ჩვენ განუწყვეტლივ გვეღობება წინ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ გადადგმული ის რეალური ნაბიჯები, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის საერთო მიდგომასთან.

2000 წლის ბოლოს რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო, მაგრამ ელემენტარული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევით აფხაზეთსა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებს უვიზო მიმოსვლის უფლება შეუნარჩუნა. დღემდე სრულად იგნორირებულია საქართველოს მხარის პროტესტები ამ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ამას დაემატა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის რუსეთის პასპორტების და შესაბამისად რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული გზით მინიჭების მასობრივი პრაქტიკა. დამეთანხმებით, რომ ეს ფაქტი, რასაც რუსეთის მას-მედიამაც კი "იურიდიული ექსპანსია" უწოდა, არ ემსახურება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება საქართველოს ხელისუფლებისათვის კვლავაც ერთადერთი არჩევანია. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვსურს გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება სამშვიდობო პროცესში შეტანილი წვლილისათვის გაერო-სა და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისადმი. მაგრამ სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნე, დღეს აფხაზური მხარე კატეგორიულად აცხადებს უარს საქართველოს შემადგენლობაში მისი პოლიტიკური სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტის განხილვაზე. კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო, რომ ეს ფაქტობრივად უარყოფს იმ თითქმის სამწლიან მუშაობას, რომელშიც გაერომ და მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა ამდენი დრო და ენერგია ჩააქსოვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვაღიაროთ, რომ სამშვიდობო პროცესის წარმატება აფხაზეთში, საქართველო ეჭვქვეშ დგას და, შესაბამისად, კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს. ჩვენ მოვუწოდებთ გაეროს განიხილოს ეს პრობლემა....

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბატონ ასლან აბაშიძის წერილი საქართველოს პრეზიდენტ ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი**

ბატონო პრეზიდენტო,

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ ნათლად გახსოვთ 1992 წლის 13 აგვისტოს თქვენთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბრის დროს

დაფიქსირებული ჩემი უაღრესად უარყოფითი პოზიცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების შეყვანის თაობაზე, როცა ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დამიკავშირიდით. სამწუხაროდ მაშინ, მიუხედავად არგუმენტირებული მტკიცებისა, რომ ჩვენ ამ აქციის განხორციელების შედეგად უცილობლად დავკარგავდით აფხაზეთს და ჩემი დაბეჯითებული თხოვნა თავი შეგვეკავებინა ამ აქციის განხორციელებისაგან, გაზიარებული არ იქნა და ტრაგედიაც ვერ ავიცილეთ.

უშედეგოდ დამთავრდა ჩემი თხოვნა კონფლიქტის დაწყებისთანავე აფხაზეთის მხარესთან შეთანხმების შემდეგ, ჯერ ცეცხლის შეჩერების, შემდგომ კი ორივე მხრიდან საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებაც. ასევე უგულებელყოფილი იქნა აფხაზეთის ლიდერთან მიღწეული შეთანხმება დაგვეწყო მოლაპარაკებები ქალაქ ბათუმში, რომ კონფლიქტი სოხუმსა და თბილისს შორის ჯერ კიდევ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოლაპარაკებების გამართვამდე, როგორც ქვეყნის შიგა პრობლემა, ქვეყნის შიგნითვე მოგვეგვარებინა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანობის აღდგენის საკითხში, რისთვისაც აფხაზეთის დელეგაციის უსაფრთხოების გარანტად, მძევლად მთელი ჩემი ოჯახის წევრები: მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი სოხუმში გასაგზავნად მოვამზადე.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენგან მივიღე უარი თხოვნაზეც აფხაზეთში ჩასვლის შესახებ, სოხუმის დაცემის წინა დღეს, 27 სექტემბერს, იმ მიზნით, რომ გამომეყენებინა პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე ყველა რეალური შესაძლებლობები და აგვეცილებინა ზღურბლს მომდგარი კატასტროფა. დღესაც უცნობია ჩემთვის უარის თქმის მიზეზი, მაგრამ ამ ფაქტმა იმ დროს ჩემთან მყოფი უახლოესი თანამშრომლები გააოგნა.

კატეგორიული უარით მთავრდებოდა ყველა ჩემი შემდგომი მოთხოვნები - ჩავრეულიყავი აფხაზეთთან მოლაპარაკებებში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, ეს მაშინ, როდესაც დადებითი შედეგის მიღწევა გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე დღეს. ამის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე თავი შემეკავებინა ახალი ინიციატივებისაგან, რომ ჩემი აქტიურობა არ გადაექციათ ცენტრსა და აჭარას შორის პოლიტიკური დაპირისპირების მორიგ ეტაპად. სწორედ ეს გადაწყვეტილება იყო მიზეზი იმისა, რომ მე უარი განვაცხადე თბილისიდან ჩამოსულ აფხაზეთის წარმომადგენლობითი დელეგაციის თხოვნაზე ჩავრეულიყავი კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

ჩემთვის პირადად, აშკარად მოულოდნელი იყო 2001 წლის 6 აგვისტოს ბათუმში, ჩვენთან სპეციალურად ჩამოსული გაეროს წარმომადგენლის აფხაზეთის საკითხებში ბატონი დიტერ ბოდენის წინადადება, რომ სათავეში ჩავდგომოდი მოლაპარაკებებს, სოხუმსა და თბილისს შორის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, როდესაც მან არაერთხელ გაუსვა ხაზი ხანგრძლივ საუბარში აჭარის ლიდერის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებების ქ. ბათუმში გამართვის უპირატეს მნიშვნელობას პრობლემის მოგვარების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ დიტერ ბოდენს, პირადად თქვენთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, არ შეეძლო ამ წინადადების შემოთავაზება, მითუმეტეს მისი გადაწყვეტა, პასუხად ისევე, როგორც აფხაზეთის დელეგაციას განვუმარტე, რომ კონფლიქტის დარეგულირების ბედი და გასაღები საქართველოს პრეზიდენტის და აფხაზეთის ლიდერის ხელშია.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, 2001 წლის 3 ნოემბერს თქვენი ბათუმში ყოფნის დროს, მე შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, უყოყმანოდ დაგეთანხმეთ თქვენს წინადადებაზე, გავმხდარიყავი საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სოხუმსა და თბილისს შორის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. შემოთავაზებული წინადადება მივიღე უპირველესად იმისათვის, რომ იმ დღეებში ჩემი უპირველესი მიზანი იყო თავიდან აგვეცილებინა ახალი საშიშიროება და შეგვენარჩუნებინა სტაბილურობა ქვეყანაში, რომელსაც აშკარად ემუქრებოდა იმ დღეებში საქართველოს დედაქალაქ თბილისში შექმნილი უაღრესად საშიში მდგომარეობა, რომელმაც იმ დროს პერმანენტული ხასიათი მიიღო და როგორც ცნობილია, აღნიშნული აქცია უშუალოდ თქვენს წინააღმდეგ იყო მიმართული.

თქვენს წინადადებას დავეთანხმე იმ მიზნითაც, რომ ამ, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში, მომეძებნა ახალი რეალური გზა აფხაზთა და ქართველთა შორის ურთიერთნდობის აღდგენისა და თანაცხოვრებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ვფლობდი ფაქტოლოგიურ მასალებს იმის შესახებ, რომ სერიოზულ ძალებს, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაში, თავიდანვე არ აწყობდა და დღესაც არ აწყობთ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება, რის გამოც ურთიერთობა სოხუმსა და თბილისს შორის ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან წილად ხელოვნურად გამწვავდა და ურთულეს ფაზაში შევიდა. ფაქტია, ყოველივე ეს არამარტო ნათლად გამოჩნდა და ჩანს თქვენს მიერ დაკისრებული ურთულესი მისიის შესრულების პირველივე გადაგმული ნაბიჯებიდან დღემდე, არამედ ამ უდაოდ მართვადმა წრეგადასულმა გამოხდომებმა და მოქმედებებმა აშკარად აგრესიული ფორმა მიიღო არამარტო პირადად ჩემს მიმართ, არამედ აჭარის საწინააღმდეგოდ, რადგან ჩემზე უსაფუძვლო შემოტევების შემდეგ, თბილისი ცენტრში ეგრეთწოდებული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თაოსნობით და მისი მინისტრების უშუალო მონაწილეობით შეცდომაში შეყვანილ მომიტინგეებთან ერთად 2002 წლის 26 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის შენობაში ძალით შეიჭრნენ, შემდეგ კი მათ შეასრულეს თავის საჯარო დანაქადი, რომ გადაწვავდნენ წარმომადგენლობას და 4 აგვისტოს ცეცხლი წაუკიდეს მას.

ყოველივე ეს რომ უდაოდ მართვადი პროცესია, იქედანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ვანდალური აქციები არამარტო უპასუხოდ რჩება, არამედ აგრესიული შემოტევები ჩვენს მიმართ დღითი-დღე მწვავდება.

მე დღეს არ მინდა დეტალურად შევჩერდე იმ ფონზე, რომელიც პარალელურად შეექმნა თქვენდამი ოფიციალურად დაკისრებული მოვალეობის შესრულების პროცესს კონფლიქტის დარეგულირების ჩაშლის მიზნით. სავალალოდ, ეს მომდინარეობს, უპირველესად იმათ მხრიდან,

ვინც თავად არიან მოვალენი და პასუხისმგებელნი არსებული სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაწყვეტაში. აქ, მე უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ არ შეიძლება უშუალოდ ასლან აბაშიძეს 9 თვის განმავლობაში მოსთხოვო ის, რაც თითქმის 9 წლის მანძილზე ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების ძალისხმევით, ამასთან ერთად გაოცებას იწვევს ისიც, რომ ჩემთან ერთად არავინ არ ითხოვს პასუხს კონფლიქტის მოგვარების დაჩქარების საკითხში იმავე მისიით აღჭურვილ, ჩემს პარალელურად აქტიურად ჩართულ სახელმწიფო თუ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრებისაგან, რომ არაფერი ვთქვათ სხვა პირებზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩემზე დაკისრებული მოავალეობის შესრულებას მთელი პასუხისმგებლობით შევუდექი. 2001 წლის 9 დეკემბრიდან, ესე იგი ამ მისიის დაკისრებიდან 3 თვის განმავლობაში, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე, დეტალურად ვეცნობოდი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, სხვა ფაქტოლოგიურ მასალებსა და ახალ რეალობებს, რომ სწორად განმესაზღვრა ჩემი მოქმედების გეგმა და მიმართულება.

უდავოა, განვლილი ხანგრძლივი, თითქმის 9 წლის განმავლობაში, ორმხრივი თუ მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგად პრაქტიკულად ქართველთა და აფხაზთა პოზიციები არა თუ არ დაახლოვებულა, არამედ, იგი დღითი-დღე ღრმავდება, პარალელურად იზრდება გაუცხოების ხარისხიც და პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობაც მცირდება. ამასვე აღნიშნავენ კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყნების პასუხისმგებელი პირებიც. ჩვენ უდაოდ დავკარგეთ უმთავრესი - ვერ გამოვიყენეთ შედარებით მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც ამ კონფლიქტის დარეგულირებაში გაეროს, საქართველოს მეგობარი და სხვა ქვეყნების მონაწილეებმა შექმნეს.

პირადად ჩემის აზრით, ჩვენი მოალაპარკებების წარუმატებლობა გამოწვეულია, მარტივად რომ ვთქვათ, იმ გარემოებით რომ ამ მრავალწლიანი მოლაპარაკებების ქვაკუთხედად იქცა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა და მისი დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში. თუ კი ჩვენ ამ გზით წავალთ, მიუხედავად ერთი შეხედვით აღნიშნული პოზიციის ლოგიკურობისა, შემდგომი მოლაპარკებებიც უცილობლად უშედეგოდ დარჩება, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთნდობის ხარისხი, განსაკუთრებით აფხაზთა მხრიდან, ჩვენდამი ნულის ტოლფასია.

თუ ჩვენ გვინდა კონფლიქტის დარეგულირება, მაშინ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობასთან ერთად პარალელურად უნდა მოვნახოთ ახალი კუთხე ურთიერთობისა, ასეთ ურთიერთობებში კი უპირველესად ვგულისხმობ აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ბერკეტების გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს არამარტო აფხაზეთის ლიდერებში, არამედ აფხაზეთის მოსახლეობაში დაკარგული ურთიერთნდობის აღდგენას და საფუძვლად დაედება კონფლიქტის დარეგულირებისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს.

ამასთან ერთად, მიმდინარე ეტაპზე, მიუხედავად ჩვენს შორის დაძაბული ურთიერთობისა, უნდა მოვიპოვოთ ურყევი მხარდაჭერა რუსეთის ხელმძღვანელობისა, რადგან, როგორც თავად აფხაზთა, ასევე აფხაზეთის მონათესავე ჩრდილო კავკასიელთა ნდობის ხარისხი რუსეთისადმი ძალზე მაღალია და პირიქით, ასვე მაღალია მათზე რუსეთის გავლენის დონეც. ამიტომაც ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი რუსეთის როლი სოხუმსა და თბილისს შორის არსებული კონფლიქტის მომგვარების საკითხში. მითუმეტეს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა აშკარად უჭერს მხარს კონფლიქტის დარეგულირებას და საქართველოს ერთიანობის აღდგენას, რაშიც დღეს ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ნაბიჯიც დაკისრებული მისიის შესასრულებლად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებით დავიწყე 2002 წლის 8 თებერვალს, ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ბატონ ვალერი ლოშჩინინთან და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელ პირებთან, შემდგომ კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ იგორ ივანოვთან ხანგრძლივი, უაღრესად კეთილგანწყობილი მოლაპარაკებების პერიოდში, სადაც ნათლად გამოიხატა მათი მზადყოფნა აქტიურ დახმარებაზე კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს, არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსახილველად დავაყენე შემდეგი საკითხები:

1. მოიხსნას დსთ-ს ქვეყნების სამიტის მიერ მიღებული აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა.
2. გაიხსნას სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციები.
3. აღდგენილი იქნეს ენგურის ჰესი.
4. ნება დაერთოს ენერგომატარებლების:
   - გაზის
   - ელექტროენერგიის ტრანზიტს თურქეთის რესპუბლიკაში.

ენერგორესურსების ტრანზიტი რუსეთიდან აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის სანაპიროების გავლით თურქეთის რესპუბლიკაში, რაც ძალზედ ოპერატიულ ვადებში შეიძლება გადაწყდეს, ხელს შეუწყობს არამარტო აფხაზეთის, არამედ დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მნიშვნელოვნად გაზრდის სრულიად საქართველოს ეროვნულ შემოსავლებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წინადადებებს, რომელიც ბატონმა ლოშჩინინმა გააცნო საქართველოს მხარეს, თავიდანვე მხარი დაუჭირა როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ, რადგან აღნიშნული საკითხების რეალიზაცია ადვილად მისაღწევია, მას პრაქტიკულად ხელშემშლელი მიზეზები არ

გააჩნია და ამასთან ერთად იგი ერთნაირად მისაღები და სასარგებლოა არამარტო საქართველოს, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისათვის, რადგან მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გაცილებით სცილდება მთლიანი რეგიონის ფარგლებს.

სოხუმსა და თბილისს შორის კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულირების მომხრეთა ერთსულოვანი აზრით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით წარმართული მოლაპარაკებები, მოსწონთ ეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ უდაოდ წარმატებული იყო, რომლის შესახებ შეხვედრის დამთავრებისთანავე დეტალურად მოგახსენეთ.

ჩემი შემდგომი შეხვედრების დროს რუსეთის სგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან, მოსკოვში მიმდინარეობდა იგი თუ აჭარაში, ჩვენ კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდით მხოლოდ ჩვენს მიერ დაყენებულ ზემოთ აღნიშნული წინადადებების გადაწყვეტასთან დაკაშირებულს საკითხებს, რადგან, ჩემის ღრმა რწმენით, აღნიშნული წინადადებების რეალიზაციის გარეშე რაიმე სხვა ახალი წინადადებების დაყენება უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

თუ კი ჩვენ გამოვიჩენთ პოლიტიკურ ნებას და გაეროსა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე ქვეყნების მონაწილეობით ოპერატიულად გადავწყვეტთ აღნიშნულ საკითხებს, დამერწმუნეთ, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან ერთად იგი შეიძლება იქცეს შემობრუნების იმ კუთხედ, რომელიც ბიძგს მისცემს არამარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეს.

პატივისცემით, **ასლან აბაშიძე**

**ქ. ბათუმი**
**2002 წლის 24 სექტემბერი**

## Из выступления Б. Линна Паско, заместителя помощника Государственного секретаря по делам государств Европы и Евразии, Государственный Депаратамент

Вашингтон, 24 сентября 2002 года

Господин председатель, я очень признателен за предоставленную мне возможность выступить сегодня здесь от имени администрации и обсудить с вами и вашими коллегами нашу политику в отношении Грузии, цель которой состоит в укреплении демократии, обеспечении прав человека и повышении уровня безопасности этой страны.

Мы рассматриваем эти задачи как взаимосвязанные….

…Соединенные Штаты призывают Грузию и Россию к взаимодействию друг с другом для повышения уровня региональной безопасности на своей территории, а также в целях мирного политического урегулирования существующих между ними многочисленных разногласий, в том числе по поводу периодического отключения Россией подачи газа в Грузию в зимний период, нежелания России продолжать переговоры о политическом урегулировании во входящем в состав Грузии сепаратистском районе Абхазия и задержек с выводом российских войск и техники с территории Грузии.

Разрешение конфликта вокруг Абхазии, которая в свое время предприняла вооруженную попытку выйти из состава Грузии, имеет для нас особое значение. Мы взаимодействуем с созданной под эгидой ООН группой "Друзья Грузии", пытаясь добиться продвижения в рамках абхазского мирного процесса. Мы продолжаем настойчивые обращения к России с тем, чтобы она убедила Абхазию в необходимости принять Боденский документ - предложение, поддержанное всеми "Друзьями Грузии", и Советом Безопасности, - в качестве основы политических переговоров.

…Соединенные Штаты помогают интеграции Грузии в более широкое сообщество наций, опирающихся и на приверженность задачам демократизации, укрепления власти закона, построения рыночной экономики и соблюдения Заключительного Хельсинского акта и других документов ОБСЕ, под которыми стоит подпись Грузии.

Как я уже сказал, Грузия сталкивается с серезными проблемами в сфере безопасности, но при этом она должна приложить усилия на пути улучшения положения с правами человека, повышения уровня религиозной терпимости, борьбы с коррупцией и проведения экономических и политических реформ. Эти слова должны восприниматься как требование друга, и мы произносим их потому, что наши двусторонние отношения носят прочный и тесный характер. Условием сохранения этих отношений является прогресс на всех этих направлениях…

…. Значение Грузии для Запада нельзя переоценить. Грузия являет собой опорный элемент эенергетического коридора Восток-Запад, заметное участие в формировании которого будут принимать частные американские компании. Расположенная на исторически сложившемся пересечении маршрутов сообщения между региональными державами, такими как Россия, Иран и Турция, стабильная и демократическая Грузия будет иметь важное геостратегическое значение для наших международных отношений на дальную перспективу.

(Распространено Офисом международных информационных программ Государственного департамента США. Веб-сайт: http/usinfo. state. gov)

**Ассамблея Совета Европы**

**Совет Европы**

**Рекомендация 1580 (2002)1**

**О ситуации в Грузии и последствиях в отношении стабильности Кавказского региона**

1. Членство в Совете Европы для всех государств-членов означает приверженность делу коллективной ответственности в области демократии, прав человека и верховенства закона и, вследствие этого, неприменение силы в отношениях между государствами-членами и урегулирование споров на основе международного права;

2. Замороженные конфликты на Кавказе, включая те, в которых прекратились активные боевые действия, по-прежнему представляют угрозу стабильности ввиду постоянной опасности возобновления насилия;

3. Ассамблея считает, что Совет Европы должен активизировать свое участие в решении кавказских проблем и совместно с заинтересованными странами предпринять деятельные шаги с целью дополнительного стимулирования мирных процессов и стабилизации в регионе;

4. Миротворческие и правоприменительные усилия, предпринятые Грузией и Российской Федерацией в пределах своей соответствующей территории вдоль общей границы, должны быть продолжены;

вопросы разминирования и обеспечения гарантированной безопасности персонала требуют тщательной проработки.

В ходе заседания **г-н Колотуша подчеркнул готовность российской стороны активно участвовать в работе рабочей группы по вопросам возвращения беженцев и перемещенных лиц в места постоянного проживания в Абхазии, Грузия, в первую очередь, в Гальский район.** При этом он отметил, что первое заседание указанной рабочей группы, которое было запланировано на середину мая с.г., не состоялось из-за причин, не зависящих от российской стороны.

В конце заседания г-н Нижарадзе обратился с просьбой к российской стороне предоставить свои предложения в письменном виде и предложил провести очередное заседание рабочей группы в Тбилиси, в период с 22 по 25 июня 2003 года. Предложение грузинской стороны было принято.

30 мая с.г. г-н Сазонов передал г-ну Нижарадзе «уточненный и более развернутый» план российской стороны о порядке проведения обследовательских работ (Прилагается).

**Министерство путей сообщения Российской Федерации**

***«30» мая 2003 г.*** *№* ***ЦИД 71/10***

Руководителю грузинской части рабочей группы по вопросам возобновления сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси, Первому заместителю Министра транспорта и коммуникаций Грузии Г. Д. Нижарадзе

Уважаемый Георгий Джумберович,

В соответствии с договоренностями, достигнутыми президентами Российской Федерации и Грузии в ходе встречи 7 марта 2003 года в г. Сочи, направляю Вам на рассмотрение предложения российской части рабочей группы по возобновлению сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси.

Учитывая значимость проводимой работы в данном направлении, считаем необходимым в самые ближайшие сроки на совместном заседании рабочей-группы рассмотреть вопрос о формировании совместной группы на уровне специалистов по обследованию железнодорожной линии Веселое (Россия)-Самтредия (Грузия) и определить условия финансирования ее работы.

Полагаем, что результаты деятельности совместной группы должны быть положены в основу технико-экономического обоснования восстановления указанной железнодорожной линии.

Считаем необходимым отметить, что начало деятельности упомянутой совместной группы, при соблюдении достигнутых договоренностей, будет способствовать скорейшему достижению цели, поставленной перед нами руководителями наших государств - возобновлению прямого железнодорожного сообщения между Россией и Грузией.

Предложение российской части рабочей группы о порядке проведения обследовательских работ на 2 листах прилагается.

С уважением,

**Руководитель российской части рабочей**

**группы по вопросам возобновления сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси, Заместитель Министра В. Н. Сазонов**

Проект

**Порядок проведения обследовательских работ**

В целях реализации договорённостей, принятых Президентами Российской Федерации и Грузии о восстановлении железнодорожного сообщения по линии Весёлое (Россия) - Самтредия (Грузия) предлагается следующий план обследования указанной линии и дальнейших действий по её восстановлению.

**1. Организационные вопросы по проведению обследовательских работ.**

- Разрешение на проведение обследовательских работ на территории Абхазии, Грузия;
- Обеспечение безопасности участников обследования, включая решения вопросов разминирования местности и объектов обследования в полосе отвода;
- Решение вопроса финансирования проведения обследовательских работ;
- Формирование состава совместных рабочих групп по обследованию линии;
- Согласование схемы и календарного плана проведения совместных обследовательских работ;
- Определение объёмов перевозок по восстанавливаемой линии.

**2. План обследования железнодорожной линии Весёлое (Россия) - Самтредия (Грузия).**

Обследование предлагается осуществить по следующим разделам:

- Путевое хозяйство - действительное состояние верхнего строения пути, искусственных сооружений: труб, мостов, тоннелей и подпорных стенок, земляного полотна. Наличие системы ведения путевого хозяйства;
- Станции - их фактическое состояние, наличие станционных обустройств, пассажирских устройств, электроснабжения, устройств СЦБ и связи;
- Состояние тяговых подстанций, контактной сети и внешнего высоковольтного электроснабжения;
- Организация тягового обслуживания, участки обращения подвижного состава и их протяжённость, плечи работы локомотивных бригад. Состояние деповского, локомотивного и вагонного хозяйств, пунктов технического осмотра вагонов;
- Наличие и состояние подвижного состава;
- Состояние грузового хозяйства.

Представляется целесообразным представление Грузинской Стороной существующих материалов по указанной линии для проведения предварительной оценки и разработки конкретных планов реализации обследования.

Обследование линии предлагается выполнить в период с июля по сентябрь 2003 года. Обработку материалов и выдачу рекомендаций осуществить в октябре-ноябре 2003 года.

**3. Состав обследовательской бригады.** (В состав обследовательской бригады представляется целесообразным привлечение специалистов Российских железных дорог, Грузинской железной дороги и Абхазии, Грузия).

В зависимости от схемы организации обследования:

- Специалисты рабочих групп базируются в населенных пунктах. Выезд на участки обследования осуществляется на машинах и дрезинах;
- Организуются поезда для проведения обследовательских работ, транспортировки спецтехники и проживания специалистов;
- Состав специалистов с российской стороны до 20 человек.
- Охрана специалистов, работающих на линии.

**4. Необходимые работы, предусмотренные при проведении обследовательских работ.**

- Оценка полноты, достоверности и степени пригодности имеющихся материалов;
- Топографо-геодезические работы;
- Инженерно-геологические работы;
- Объёмы работ;
- Камеральная обработка полевых материалов;
- Технический контроль и приёмка работ.

**Список участников первого заседания рабочей группы по вопросам возобновления железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси**

Москва, 30 мая 2003 г

<u>С российской стороны:</u>

Сазонов Владимир Николаевич руководитель Российской части рабочей группы, заместитель Министра путей сообщения Российской Федерации

Грибанов Алексей Владимирович начальник Управления международного сотрудничества "ФГУП «Дирекция железных дорог МПС России»

Колотуша Василий Иванович Посол по особым поручениям, представитель МИД России по урегулированию грузино-абхазского конфликта

Чепурин Александр Васильевич заместитель руководителя департамента МИД России

Пехтерев Федор Степанович директор Государственного института технико-экономических изысканий и проектирования железнодорожного транспорта ГИПРОТРАНСТЭИ

Посохин Владимир Семенович начальник отдела МИД России

Сергиенко Владимир Федорович начальник отдела железнодорожного транспорта Минэкономразвития России

Андреев Сергей Александрович главный специалист Управления международного сотрудничества ФГУП «Дирекция железных дорог МПС России»

С грузинской стороны:

Нижарадзе Георгий Джумберович руководитель Грузинской части рабочей группы, первый заместитель Министра транспорта и коммуникаций Грузии

Донадзе Тенгиз Зурабович главный инженер ООО «Железная дорога Грузии»

Хунтуа Зураб Шалович заместитель Посла Грузии в Российской Федерации

Каджая Георгий Георгиевич советник Посольства Грузии в Российской Федерации

От Организации Объединенных Наций:

Сташевский Мариам - политический советник Миссии ООН в Грузии

## საქართველოს პარლამენტის
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დროებით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების პროცესი მეტისმეტად გაჭიანურდა. აღნიშნულმა გარემოებამ უკიდურესად გაამწვავა ამჟამინდელი განსახლების ადგილებზე დროებითი საცხოვრებელი ფართობით მათი უზრუნველყოფის პრობლემა, რაც აიძულებს დევნილებს, განსაკუთრებით - მრავალშვილიან და ახალშექმნილ ოჯახებს, თვითნებურად დაიკავონ სახელმწიფო თუ უწყებრივ დაქვემდებარებაში მყოფი შენობები. 1998 წლიდან მხოლოდ ქ. თბილისში 177 შენობაში შეჭრის ფაქტი მოხდა. აქედან 68 დევნილებმა დღემდე

შეინარჩუნეს; დანარჩენი შენობიდან კი ისინი გამოასახლეს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ა.წ. 14 მაისს სააღსრულებო დეპარტამენტის სპეცრაზმმა მიუღებელი, უხეში ფორმით გამოასახლა გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში განთავსებული დევნილები. მათგან ზოგიერთი მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დევნილები კვლავ დააბრუნეს ინსტიტუტის შენობაში მათთვის სხვა, დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფამდე.

მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, რადგან მათ არ გაითვალისწინეს რეალობა და დროულად არ მიიღეს სათანადო ზომები, რომ საკუთარი სახსრებით თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ნაწილობრივ მაინც გადაეჭრათ საცხოვრებელი ფართობით დევნილთა უზრუნველყოფის პრობლემა, უპირველესად იმ ოჯახებისათვის. რომლებიც ექვემდებარებიან გამოსახლებას სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მსგავსი მოვლენების, სხვადასხვა შენობებში დევნილთა თვითნებური შეჭრის ფაქტების განმეორების თავიდან აცილებისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, უმოკლეს ვადაში შეამოწმოს 14 მაისს გეოლოგიის ინსტიტუტის შენობიდან დევნილთა გამოსახლებისას სათანადო ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

2. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს.

ა) დროებითი საცხოვრებელი ფართობით დევნილთა უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება 2 თვის ვადაში და მისი ეტაპობრივი განხორციელება;

ბ) სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე გამოსახლებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ***ნინო ბურჯანაძე***

**თბილისი,**
**2003 წლის 6 ივნისი.**
**N 2387 - IIს**

## საქართველოს პრეზიდენტის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## N 264 2003 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრესი ამოცანაა. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების ერთიანი, შეთანხმებული, მიზანმიმართული საქმიანობის გარეშე. კონფლიქტების მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო გაერთიანების ეგიდით მიმდინარე პოლიტიკური პროცესის მეშვეობით გადაწყვეტა პრიორიტეტული ამოცანაა. ამასთან, მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევისა, უპირველესად საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა ქმედითი მუშაობის, კერძოდ, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე თავდაცვისუნარიანობის პოტენციალის ზრდა და შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება უნდა გახდეს პრობლემის სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი მოგვარების საფუძველი.

საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოითხოვს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებასა და ძალისხმევას. ამ პროცესის ინტენსიფიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) სამთავრობო კომიტეტის სტატუსით.

2. დამტკიცდეს კომიტეტის თანდართული დებულება და შემადგენლობა.

3. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილს მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის საქმიანობაში.

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო დაწესებულებები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებას.

5. კომიტეტზე განსახილველ საკითხთა მომზადების, სხდომების ორგანიზებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მონიტორინგის მიზნით განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატში, არსებული საშტატო ნუსხის ფარგლებში კომიტეტის პასუხისმგებელ მდივანთან შეიქმნას კომიტეტის სამდივნო.

6. კომიტეტის მდივანმა ორ კვირაში დასამტკიცებლად წარმოადგინოს 2003 წლის სამუშაო გეგმა.

*ედუარდ შევარდნაძე*

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2003 წლის 13 ივნისის
N 264 ბრძანებულებით

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 ივნისის N264 ბრძანებულებით, „სამთავრობო კომისიების შექმნის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 1 მაისის N204 ბრძანებულებითა და „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საკითხების მომზადების მიზნით.

2. კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულე-ბებით, შეთანხმებებითა და საქართველოს პრეზიდენტის აქტებით.

### მუხლი 2. კომიტეტის ძირითადი ამოცანები

კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის საერთო კოორდინაციის ამაღლების უზურნველყოფა;

ბ) საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის სახელმწიფოებთან კავშირის დამყარება:

გ.ა) საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვისუნარიანობის პოტენციალის განვითარებაში მხარდაჭერის მოსაპოვებლად;

გ.ბ) საერთაშორისო გაერთიანების ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის აქტივიზაციის მიზნით;

დ) კონფლიქტური რეგიონების პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; ამ მიზნით მჭიდრო კონტაქტის ქონა დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან;

ე) სამშვიდობო პროცესის მონაწილე მხარეებთან პირდაპირი მოლაპარაკების გამართვისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პროცესის გააქტიურების მიზნით ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის ჯგუფების ჩამოყალიბება;

ვ) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში სტატუსების განსაზღვრის, ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების შესახებ წინადადებების მომზადება;

ზ) იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელების ხელმძღვანელობა;

თ) თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, კერძოდ, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, სპორტსმენებთან, მეწარმეებთან, საზოგადოებრიობის სხვა წარმომად-გენლებთან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით.

**მუხლი 3. კომიტეტის უფლება-მოვალეობანი**

კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) განიხილოს თავის სხდომებზე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ნებისმიერი საკითხი და მოამზადოს შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტები საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად;

ბ) მოსთხოვოს სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერ ორგანოს, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მასალები და ინფორმაცია კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში;

გ) დადგენილი წესით გამოსცეს თავისი საქმიანობის ამსახველი ჟურნალები, ბიულეტენები და სხვა სახის ნაბეჭდი მასალები, უზრუნ-ველყოს სისტემატური ურთიერთობა საზოგადოებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

**მუხლი 4. კომიტეტის სტრუქტურა**

1. კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობასა და სხდომებს.

2. საქართველოს პრეზიდენტის დავალებით კომიტეტის საქმიანობის საკითხებს განიხილავს და პრეზიდენტს შესაბამის წინადადებებს წარუდგენს კომიტეტის მდივანი.

3. კომიტეტის სხდომების ორგანიზებასა და გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს, აგრეთვე კომიტეტის მიმდინარე საქმიანობას, შესაბამისი სამდივნოს მეშვეობით ახორციელებს კომიტეტის მდივანი.

**მუხლი 5. კომიტეტის მუშაობის ორგანიზება**

1. კომიტეტის სხდომების დღის წესრიგს ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს კომიტეტის მდივანი.

2. კომიტეტის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ:

ა) კომიტეტის თავმჯდომარეს;

ბ) კომიტეტის მდივანს;

გ) მთავრობის სხვა წევრებს;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხვა პასუხისმგებელ პირებს.

3. კომიტეტი ამზადებს წინადადებებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესამუშავებლად.

4. კომიტეტის სხდომებზე გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტი.

5. კომიტეტი მოისმენს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინფორმაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხთა განხორციელების შესახებ.

**მუხლი 6. კომიტეტის მუშაობის რეგლამენტი**

1. კომიტეტის სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

2. კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული გეგმის საფუძველზე.

3. ყოველი თვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე კომიტეტის წევრები, საქართველოს სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოები, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები თავიანთ წინადადებებს კომიტეტის სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ თარიღის მითითებით წარუდგენენ კომიტეტის მდივანს, რის საფუძველზეც დგება ყოველთვიური გეგმა, ხოლო წლის ბოლოს - მომავალი წლის პერსპექტიული გეგმა.

4. კომიტეტის მდივანი ადგენს წლიური და ყოველთვიური სამუშაო გეგმების პროექტებს შემოსული წინადადებების საფუძველზე, აზუსტებს საკითხთა განხილვის ვადებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

5. კომიტეტის მდივანი სამდივნოს მეშვეობით კონტროლს უწევს სამუშაო გეგმების შესრულებასა და კომიტეტის სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებას.

**მუხლი7. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგის წინასწარი განხილვა**

1. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგის პროექტის წინასწარ განხილვას უზრუნველყოფს კომიტეტის მდივანი, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტი.

2. კომიტეტის დღის წესრიგის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, როგორც წესი, ხუთი დღით ადრე ბარდება საქართველოს პრეზიდენტსა და კომიტეტის წევრებს.

**მუხლი 8. საკითხების შეტანა კომიტეტის სხდომაზე განსახილველად**

1. კომიტეტის სხდომაზე განიხილება კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საკითხები.

2. კომიტეტი განიხილავს:

ა) კომიტეტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს;

ბ) სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციებს და მოისმენს ანგარიშს დაგეგმილი საქმიანობის რეალიზაციის საკითხებზე.

3. კომიტეტის სხდომაზე განსახილველ თითოეულ საკითხზე მომზადებულ უნდა იქნეს მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული მიმართულებები, რეკომენდაციები, პროგრამები.

4. მოხსენებითი ბარათი (ცნობა) უნდა იყოს ხელმოწერილი და ვიზირებული იმ ხელმძღვანელების მიერ, რომლებსაც შემოაქვთ საკითხი.

5. კომიტეტის სხდომაზე განსახილველი პროექტები, რომლებიც შეეხება საქართველოს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების, ქალაქებისა და რაიონების გამგეობების ინტერესებს ან კომპეტენციას, წინასწარ უნდა იქნეს მათთან განხილული. საქართველოს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების, სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მისცენ დასკვნა მათთან განხილულ კომიტეტის სხდომაზე გასატან საკითხთა პროექტებს მათი მიღებიდან ხუთ დღეში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებიან, დაასაბუთონ საწინააღმდეგო მოსაზრებანი და თან დაურთონ შემოთავაზებული რედაქცია.

6. კომიტეტის სხდომის გამართვამდე სამი დღით ადრე სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან წარუდგინონ კომიტეტის სამდივნოს მზა მასალები სხდომაზე განსახილველად.

7. კომიტეტის სხდომაზე შემოტანილ არადამაკმაყოფილებლად და რეგლამენტის დარღვევით მომზადებულ საკითხებს კომიტეტის სამდივნო კომიტეტის მდივანთან შეთანხმებით უბრუნებს საკითხის შემომტანს ხელახალი გადამუშავებისათვის.

**მუხლი 9. კომიტეტის სხდომები**

1. კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრებთან ერთად მიიწვევიან დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

2. კომიტეტის სხდომათა ოქმს აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს კომიტეტის სამდივნო.

3. საოქმო ჩანაწერები ეგზავნებათ კომიტეტის წევრებსა და შემსრულებლებს სხდომის ოქმიდან ამონაწერის სახით.

4. ცალკეული გადაწყვეტილებანი ეგზავნებათ შემსრულებლებს იმ სიის მიხედვით, რომელსაც ადგენს საკითხის შემომტანი.

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2003 წლის 13 ივნისის
N 264 ბრძანებულებით

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის შემადგენლობა

| | | |
|---|---|---|
| **ედუარდ შევარდნაძე** | - | საქართველოს პრეზიდენტი, კომიტეტის თავმჯდომარე |
| **ირაკლი ბათიაშვილი** | - | საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე |
| **დავით თევზაძე** | - | საქართველოს თავდაცვის მინისტრი |
| **ავთანდილ იოსელიანი** | - | საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე |
| **მალხაზ კაკაბაძე** | - | საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი (კომიტეტის მდივანი) |
| **ირაკლი მენაღარიშვილი** | - | საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი |
| **კობა ნარჩემაშვილი** | - | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი |
| **ვალერი ხაბურძანია** | - | საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი |
| **თედო ჯაფარიძე** | - | საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი |
| **ავთანდილ ჯორბენაძე** | - | საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. |

## Сообщение для печати МИД Грузии

16-17 июня 2003 года в Министерстве иностранных дел Российской Федерации состоялись встречи грузинской и российской рабочих групп по

вопросам возвращения беженцев и вынужденно перемещенных лиц в места их постоянного проживания в Абхазии, Грузия, в первую очередь, в Гальский район (в старых границах].

В переговорах также участвовали представители Миссии ООН по наблюдению в Грузии (МООНГ) и Верховного Комиссариата ООН по делам беженцев в Грузии.

Стороны выразили удовлетворение началом процесса по реализации договоренностей Президентов Грузии и Российской Федерации от 7 марта 2003 года в г. Сочи и обменялись информацией о проделанной работе в этом направлении.

При этом грузинская сторона вновь подчеркнула, что для полноценной реализации сочинских договоренностей, являющихся частью рекомендаций, выработанных высокими представителями ООН и Группы друзей 19-20 февраля 2003 года в Женеве, необходимо решать политические аспекты, связанные с достойным возвращением беженцев и вынужденно перемещенных лиц в условиях безопасности, а также с экономической реабилитацией Абхазии, Грузия.

Стороны договорились провести очередную встречу рабочих групп в конце июня - в начале июля 2003 года.

В ходе консультаций стороны также обсудили вопросы, связанные с Мандатом Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия и договорились продолжить работу над проектом решения Совета глав государств СНГ по данному вопросу.

Департамент информации и связи с
общественностью МИД Грузии

**Тбилиси**
**18 июня 2003 года**

**Сообщение для печати посольства Грузии в РФ**

17 июня 2003 года МИД Российской Федерации распространил сообщение для печати "О встрече статс-секретаря - первого заместителя Министра иностранных дел России В.В. Лощинина со Специальным представителем Генерального секретаря ООН в Грузии Х. Тальявини", в котором речь идет о начале процесса реализации Сочинских договоренностей Президентов Грузии и Российской Федерации от 6-7 марта 2003 года.

Следует отметить, что первые встречи рабочих групп по восстановлению железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси и по модернизации "Ингури-ГЭС", как и недавняя встреча рабочей группы по возвращению беженцев и перемещенных лиц в места постоянного проживания в Абхазии, Грузия, прошли в деловой и конструктивной обстановке. Это вселяет определенную надежду на то, что процесс урегулирования конфликта в Абхазии, Грузия удастся сдвинуть с мертвой точки.

К сожалению, в том же сообщении представитель абхазских нелегитимных властей С. Шамба вновь упоминается как "министр иностранныхдел Абхазии".

Грузинская сторона неоднократно обращала внимание российской стороны на неправомерность упоминания в документах МИД России лидеров Сухумских властей в качестве легитимных представителей Абхазии. Однако, вопреки общепризнанным нормам межгосударственных отношений, в том числе и решений, принятых в рамках СНГ, российская сторона продолжает предпринимать попытки легализовать сепаратистский режим в Абхазии.

Еще одним проявлением этого стала опубликованная 18 июня 2003 года в "Российской газете" статья под заголовком "Можно ли отдыхать в Абхазии", в которой читателям даются конкретные рекомендации посетить курорты в зоне конфликта в Абхазии, Грузия. Более того, официальное издание "определило" и границу между Сухуми и Грузией ("Южнее Сухуми в приграничных районах с Грузией").

Грузинская сторона считает, что подобная политика подрывает авторитет России как посредника в урегулировании конфликта, создает неблагоприятную почву для дальнейшей реализации Сочинских договоренностей и наносит урон двусторонним отношениям.

**Москва,**

**19 июня 2003 года**

## Памятная записка
## встречи грузино- российской Рабочей группы по вопросам возобновления сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси г.Тбилиси

**26 июня 2003 г.**

В целях реализации Сочинских договоренностей 6-7 марта 2003 г. Президентов Грузии и Российской Федерации, 26 июня 2003 г. в г. Тбилиси состоялась вторая встреча грузино - российской Рабочей группы (в присутствии представителя Миссии ООН в Грузии) по вопросам возобновления сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси.

(Список участников встречи прилагается).

В ходе встречи стороны отметили, что восстановление сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси будет способствовать процессу мирного политического урегулирования конфликта в Абхазии, Грузия.

Грузинская сторона отметила, что реализация проекта возобновления сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси возможна при условии решения вопроса о возвращении беженцев в Абхазию, Грузия.

Российская сторона подтвердила, что открытие сквозного железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси будет осуществляться параллельно с возвращением беженцев и перемещенных лиц, в первую очередь, в Гальский район.

В ходе обсуждения предложений, переданных российской стороной во время первой встречи Рабочей группы в Москве 30 мая 2003 г.письмом № ЦИД 71/10, стороны договорились:

1.1 Создать грузинскую и российскую эксперные группы ориентировочной численностью около 10 человек от каждой стороны с участием представителей абхазской стороны для проведения предварительных работ по обследованию участка Веселое-Самтрсдия.

1.2. Обменяться в двухнедельный срок составами экспертных групп с указанием специальностей экспертов.

2. Стороны отметили важность обеспечения соотвествующих условий безопасности для начала работ по обследованию железнодорожного участка Веселое - Самтредия и договорились проработать этот вопрос к следующей встрече.

3. Стороны обратились с просьбой к представителю Миссии ООН в Грузии с предложением принять активное участие в этих процессах.

4. Обеспечение финансирования проведения работ экспертных групп осуществляется по следующему принципу:

грузинские специалисты - Грузия;

российские специалисты — Россия.

5. Российская сторона обратилась к грузинской стороне с просьбой:

- о предоставлении имеющейся документации по объектам железнодорожного транспорта на участке Веселое - Самтредия;

- о предоставлении информации по прогнозируемым объемам перевозок по указанной железнодорожной линии для определения экономической эффективности проекта.

6. Грузинская сторона предложила провести очередную встречу грузино-российской Рабочей группы в Тбилиси и Сухуми предварительно в июле 2003 года с участием представителей Абхазии, Грузия. Грузинская и российская стороны проработают с абхазской стороной вопрос о возможности проведения указанных встреч.

Встреча прошла в деловой и конструктивной обстановке.

| | |
|---|---|
| **За грузинскую сторону** | **За российскую сторону** |
| **Г. Д. Нижарадзе** | **В. Н. Сазонов** |

**Список**
**участников второго заседания рабочей группы по вопросам возобновления железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси**

**26.06.2003. г. Тбилиси**

**Грузинская сторона:**

1. Г. Нижарадзе Первый заместитель Министра Транспорта и Коммуникаций Грузии
2. Н. Бабуадзе Министерство Транспорта и Коммуникаций Грузии Начальник Департамента Европейской Интеграции и Международных Отношений

3. Ш. Апциаури МИД Грузии, Начальник Политического
Управления Российского Департамента
4. Т. Донадзе Главный Инженер ООО "Грузинская Железная
Дорога",
5. Т. Тодуа ООО "Грузинская Железная Дорога",
Заместитель Главного Инженера

**Список участников Российской Стороны рабочей группы по вопросам возобновления железнодорожного сообщения Сочи-Тбилиси**

Сазонов Владимир Николаевич руководитель Российской части рабочей
руппы, заместитель Министра путей
сообщения Российской Федерации

Грибанов Алексей Владимирович начальник Управления международного
сотрудничества "ФГУП «Дирекция
железных дорог МПС России»

Чепурин Александр Васильевич заместитель руководителя департамента
МИД России

Пехтерев Федор Степанович директор Государственного института
технико-экономических изысканий и
проектирования железнодорожного
транспорта ГИПРОТРАНСТЭИ

Андреев Сергей Александрович главный специалист Управления
международного сотрудничества ФГУП
«Дирекция железных дорог МПС
России»

**От Мисси ООН в Грузии**

Маркиан Чучук - Политический советник

**Из декларации 12-ой ежегодной сессии
Парламентской Ассамблеи ОБСЕ**

**Роттердам, 5-9 июля 2003 г.**

**….**

85. Настоятельно призывает государства-участники ОБСЕ к принятию необходимых мер по предупреждению и избежанию возникновения условий, способных вызвать внутренние перемещения населения, а в случае таких перемещений, к выработке и проведению в жизнь долгосрочных решений, позволяющих внутренним перемещенным лицам свободно вернуться в

условиях безопасности и уважения человеческого достоинства в свои дома или к местам постоянного проживания и вновь вступить во владение своей собственностью либо добровольно переселиться в другие районы страны и интегрироваться в их жизнь;

86. Заявляет, что государства-участники ОБСЕ не должны принудительно возвращать внутренних перемещенных лиц против их воли либо создавать ситуации, не допускающие иного, кроме возвращения, выбора особенно если их жизнь, безопасность, свобода или здоровье будут при этом подвергаться опасности;

87. Призывает парламенты всех государств-участников предпринять конкретные шаги по обеспечению в своих странах внутренним перемещенным лицам права на возвращение в свои дома и возврат своей собственности либо, до наступления этого времени, на получение достойного и безопасного жилья и полное осуществление их прав;

88. Настоятельно призывает разработать дополнительные нормативные положения по вопросу о внутренних перемещенных лицах на предстоящей декабрьской встрече Совета министров ОБСЕ, в частности поддержать Руководящие принципы Организаций Объединенных Наций по вопросу о перемещенных лиц внутри страны или утвердить ключевые аспекты Руководящих принципов в качестве обязательств в рамках ОБСЕ.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 1996, 1997, 2001 და 2002 წლებში მიღებული დადგენილებებისადმი ერთგულებას და სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ გაატარა ამ დადგენილებებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ:

არ სრულდება დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დსთ-ის წევრმა ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება, საქართველოს თანხმობის გარეშე არ განეხორციელებინათ სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციები აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან და არ დაემყარებინათ მასთან ოფიციალური ურთიერთობა;

დსთ-ის მანდატით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების ხელშეწყობას, პირველ რიგში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;

არ სრულდება დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1999 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების შეფერხებისას განხილული უნდა იქნეს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის საკითხი გაეროს წესდებით გათვალისწინებული დებულებების საფუძველზე;

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება უგულებელყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას, კერძოდ, უარს აცხადებს, განსახილველად მიიღოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ მომზადებული დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ“, ასევე არ თანხმდება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე;

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა დადასტურდა ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების გადაწყვეტილებებით, რომლებსაც გაეროს მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული რეზოლუციებიც ითვალისწინებს, დღემდე გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დევნა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთრების გასხვისება და განადგურება, ქართულ ენაზე სწავლისა და სწავლების აკრძალვა, ქართული კულტურის ძეგლების განადგურება.

საქართველოს პარლამენტი გუდაუთაში სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ რუსეთის მხარის განცხადებაზე დაყრდნობით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დათანხმდეს ამ ბაზის ინსპექტირებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სხვა პროცედურების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების პრიორიტეტულობას და თვლის, რომ მისი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ყველა რესურსი უნდა იქნეს ამოწურული, ამასთან, მხარს უჭერს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას:

ა) მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების მიზნით;

ბ) განაგრძოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და ქართული

კულტურის ძეგლების განადგურების დამადასტურებელ მასალებზე შემდგომი რეაგირებისათვის;

გ) გადადგას შესაბამისი ნაბიჯები კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის მიზნით და მოამზადოს მისი ტრანსფორმაციისა და ინტერნაციონალიზაციის წინადადებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო ოპერაციაში;

დ) საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხზე მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივ-პოლიტიკური ექსპერტიზა მათზე შემდგომი რეაგირებისათვის;

ე) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

2. ამ დადგენილების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოსმენილ იქნეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის საშემოდგომო სესიის პირველივე სასესიო კვირაში.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე** **ნინო ბურჯანაძე**

**თბილისი,**
**2003 წლის 16 ივლისი.**

**Сообщение для прессы**

**Вторая Женевская встреча**
**Группы друзей Генерального Секретаря**

21-22 июля 2003 г. в Женеве состоялась встреча высокопоставленных представителей “Группы друзей” Генерального секретаря (Франции, Германии, Российской Федерации, Великобритании и США), на которой был рассмотрен вопрос о продвижении грузино-абхазского мирного процесса. Встреча состоялась под председательством заместителя Генерального секретаря по миротворческим операциям. На встрече также присутствовала Специальный представитель Генерального секретаря по Грузии.

На второй день встречи представителям грузинской и абхазской сторон была предоставлена возможность изложить их позиции. Это внесло значительный вклад в обсуждение вопроса “Группой друзей”.

“Группа друзей” была воодушевлена конструктивными встречами сторон по вопросам экономического сотрудничества, возвращения беженцев и внутренне перемещенных лиц, а также по политическим вопросам и безопасности, которые состоялись после первой встречи "Группы друзей",

созванной по приглашению Генерального секретаря в феврале, и на последующем саммите президентов Путина и Шеварднадзе в марте.

Они выразили удовлетворение в связи с приверженностью сторон продолжить работу по отдельным вопросам и нахождением общего подхода, который, как они надеются, сделает возможным существенное продвижение вперед.

**г. Женева**
**22 июля 2003 г.**

**Его Превосходительству Президенту Грузии Эдуарду Шеварднадзе**

***23 июля 2003 года***

Ваше Превосходительство!

Мы живем в тревожное и сложное время. У нас, людей, есть привилегия наблюдать за витками постоянно изменчивой и быстро развивающейся истории. На нас как лидеров мира возложено общее обязательство – изменить настоящее время к лучшему.

Я потрясен полученным недавно из Либерии снимком: мальчик с автоматом в руках и сумкой формы медведя на спине.

Сравнение этой простоты и насилия – его юности и искаженного войной лица, действительно было трагическим зрелищем. Этот факт напомнил мне, какой длинный путь предстоит нам пройти для того, чтобы осуществить одно из фундаментальных условий ООН: “Спасти будущие поколения от опасностей войны, которые принесли человечеству невиданные разрушения” Этот снимок еще более укрепил мое желание всегда быть начеку.

Я пишу это письмо, учитывая все это. В сентябре Генеральная Ассамблея открывает 58-е заседание. Этим письмом я хочу предложить Вам – приехать и лично принять участие в “генеральных дебатах”.

Лидеры более 75 государств уже выразили желание приехать для этого в Нью-Йорк. Вам, главам государств, предоставится замечательная возможность подтвердить общее желание решить проблемы сегодняшнего дня. Ибо большинство из них – проблемы, которые не признают никаких границ, законов и иерархий. В том числе бедность, отвержение, конфликт, болезнь, нанесение вреда среде, терроризм и распространение оружия массового уничтожения.

Я намерен затронуть эти вопросы в докладе, который, надеюсь, скоро направлю странам-членам ООН. Он касается осуществления “Декларации тысячелетия”. Я пришлю Вам этот доклад, как только он будет готов. Между тем хочу быть уверен, что для решения проблем мы должны не только удвоить наши усилия, но и усилить наши общие механизмы, которые позволяют нам действовать сообща. Эта организация и впредь остается обязательным инструментом. Но она никогда не будет больше того, чем мы ее создаем. Поэтому настоятельно прошу Вас уделить Ваше личное время и направить Вашу энергию для усиления ООН, для того, чтобы претворить в жизнь надежды на мир и благополучие, которые возлагают на них народы мира.

Ваше присутствие в Нью-Йорке в конце сентября подтвердит Вашу поддержку Организации Объединенных Наций и ее идеалам. Убежден, эти идеалы никогда не были более значимыми, нежели сегодня. С нетерпением жду встречи с Вами.

Прошу Вас, господин Президент, принять заверения моего глубокого уважения к Вам.

***Искренне Ваш,***
***Кофи Аннан***
***Генеральный секретарь ООН***

## გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის რევაზ ადამიას გამოსვლა გაეროს უშიშროების საბჭოს 4800-ე სხდომაზე

**ბატონო პრეზიდენტო,**

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლოსდაბოლოს საშუალება მომეცა, მონაწილეობა მიმეღო აფხაზეთში არსებული სიტუაციის თაობაზე გამართულ დებატებში. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო პროცესისათვის, ასევე საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის.

მინდა აღვნიშნო, რომ გენერალური მდივნის მოხსენება წარმოადგენს მყარ საფუძველს იმ დებატებისთვის და გამოვხატო მადლიერება აღნიშნულ მოხსენებასთან დაკავშირებით.

უშიშროების საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, ვინაიდან იგი სერიოზულ პოზიტიურ ელემენტებს შეიცავს. პროექტში აისახა გენერალური მდივნის, მეგობარი ქვეყნებისა და ზოგადად გაეროს წარმომადგენლთა აქტიური საქმიანობის შედეგები, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ექვსი თვის წინ მიღებული რეზოლუციისგან. აქვე მინდა, განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნო გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ქალბატონ ჰეიდი ტალიავინის დაუღალავი მოღვაწეობა, რომლმაც გაეროს დამკვირვებლებთან ერთად უზარმაზარი შრომა გასწია ამ მიზნის მისაღწევად.

ჩვენ მივესალმებით ამ პოზიტიურ ტენდენციებს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, შეგახსენოთ. რომ აღნიშნული ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საბოლოოდ მოხერხდეს სამშვიდობო პროცესის ჩიხიდან გამოყვანა.

ნება მიბოძეთ, პირველ რიგში, ვისაუბრო დადებით მოვლენებზე:

1) ამა წლის 19-20 თებერვალს ჟენევაში მეგობართა ჯგუფის მაღალი რანგის ოფიციალურ პირთა შეხვედრაზე, გენერალური მდივნის მოადგილის, ბ-ნი გიენოს თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა პოლიტიკური სტატუსის, ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისა და ეკონომიკური

თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკების სრულფასოვანი მექანიზმი სამი სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის საფუძველზე;

2) მარტში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების სოჭის შეხვედრამ დადებითი გავლენა იქონია მხარეებს შორის დიალოგის განახლებაზე და ჟენევის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიქმნა ეკონომიკური რეაბილიტაციის და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხთა სამუშაო ჯგუფები;

3) 21-22 ივლისს მეგობართა ჯგუფის ჟენევის შეხვედრის შედეგად, რომელიც მიჩნეული უნდა იქნეს გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო პროცესის შემდგომ ნაბიჯად, შემუშავდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები პოლიტიკური სტატუსის, ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების, უსაფრთხოების გარანტიებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ;

4) შერბილდა თავად აფხაზური მხარის პოზიცია, თუ ვიმსჯელებთ მათი მზადყოფნით, მონაწილეობა მიიღონ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში (ნება მომეცით, ამ გადაწყვეტილების ჭეშმარიტ მოტივაციაზე უფრო დაწვრილებით მოგვიანებით მოგახსენოთ).

5) მეტად მნიშვნელოვანი იყო გალში უსაფრთხოების შემფასებელი მისიის რეკომენდაციები, ვინაიდან სწორედ მათ უნდა დაეყრდნოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება რაიონში კრიმინალურ სიტუაციას, ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პროცესის მართვასა და თვითმართველობის საკითხებს.

სამწუხაროდ, აღნიშნულ დადებით ცვლილებებთან ერთად იკვეთება უარყოფითი ტენდენციები, რომელთაც ძალუძთ არა მარტო გააბათილონ მიღწეული, არამედ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ მთელ სამშვიდობო პროცესს.

მიუხედავად უშიშროების საბჭოს მიერ "ბოდენის დოკუმენტის" ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერისა, აფხაზური მხარე განაგრძობს ამ დოკუმენტის განხილვის შესაძლებლობის სრულ უარყოფას. თვით მოულოდნელი მზადყოფნაც კი, მონაწილეობა მიიღონ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებში, მეტი არაფერია, თუ არა აფხაზური მხარის მცდელობა, თავი აარიდოს პოლიტიკური სტატუსის საკითხის განხილვას.

კონფლიქტის ზონაში კვლავ გრძელდება ეთნიკურად მოტივირებული მკვლელობები, რაც წარმოადგენს ეთნიკური წმენდის-გენოციდის აქტებს, მხოლოდ ერთი მაგალითი: 25 ივნისის ინციდენტში აფხაზეთის არაკანონიერმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ცეცხლი გაუხსნა ქართულ მოსახლეობას, რითაც კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. უფრო მეტიც, ადგილობრივ სკოლებში ქართველ ბავშვებს კვლავ ეკრძალებათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზ სეპარატისტთა რეჟიმი უკვე ჩამოყალიბდა როგორც დამნაშავეთა და ტერორისტთა უსაფრთხო თავშესაფარი. სულ მცირე ორი მათგანი, გიცბა და თოქჯანი - ტერორისტები, რომელნიც მონაწილეობდნენ ხომალდ "ავრასიას" გატაცებაში, კვლავაც რჩებიან აფხაზეთში და მიუწვდომელნი არიან მართლმსაჯულებისათვის.

სამწუხაროდ, არ ამოიწურება უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში განვითარებული ნეგატიური ტენდეციები. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ცალმხრივი ქმედებები, თავისი არსით, უშუალოდ მიმართულია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საწინააღმდეგოდ.

მიუხედავად რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების 6-7 მარტს სოჭის შეხვედრის პოზიტიური შედეგებისა, კვლავაც შეუფერხებლად ფუნქციონირებს სოჭსა და სოხუმს შორის ცალმხრივად გახსნილი რკინიგზა. ამავე დროს, რუსეთის მოქალაქეობის "გამალებული გაყიდვა" აფხაზეთის მაცხოვრებლებისათვის ერთი დღითაც არ შეჩერებულა. სეპარატისტული რეგიონის მოსახლობისათვის გაცემული რუსული პასპორტები უკვე ხელში ჩაუვარდათ ტერორისტებს. სახელდობრ, ჩეჩენ ტერორისტებს. ისინი წარმატებით იყენებენ რუსეთში თავისუფლად შესვლისა და გამოსვლის უფლებას საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის გავლით, სადაც უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ცალმხრივად იქნა დაწესებული რუსეთის მიერ.

რუსეთი განაგრძობს აფხაზეთში ქონების მიტაცებას. მე განზრახ გამოვიყენე ტერმინი მიტაცება, რათა აღმეწერა ქონების უკანონო შეძენის პროცესი, იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრების ჩათვლით, რუსეთის სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ.

აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის აღნიშვნა, რომ დასახელებული ქმედებები არღვევენ საერთაშორისო სამართალს და ხელყოფენ საქართველოს სუვერენიტეტს . ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებს, რომელთა მიხედვით ნებისმიერი გარიგება დადებული აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან ბათილად არის ცნობილი.

გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის უკანონო ფუნქციონირება წარმოადგენს კიდევ ერთ ფაქტორს, რომელიც ამწვავებს სიტუაციას აფხაზეთში და ძაბავს ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. არავინ რჩება მოგებული საკუთარი უკანონო ქმედებებისაგან - გვასწავლის საერთაშორისო სამართალი. როგორც ჩანს, ამ იმპერატივს აქვს შეზღუდული ფარგლები, თუ საქმე უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს ეხება. ჩვენ იძულებული ვართ, კვლავ განვაცხადოთ, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთში პოლიტიკური და სამხედრო კონტროლის განხორციელება, ქონების უკანონო მიტაცებასთან ერთად წარმოადგენს ანექსიას. საქართველოს სუვერენიტეტის შელახვა შეუძლებელია სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობად იქნეს მიჩნეული.

**ბატონო პრეზიდენტო.**

ზემოაღწერილ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს უსაფრთხოების პირობების არარსებობა და ძალადობა კონფლიქტის ზონაში. ამასთან, დაკავშირებით, განსაკუთრებულად მინდოდა აღმენიშნა კოდორის ხეობაში გაეროს დამკვირვებლების მძევლად აყვანის ფაქტი. ჩემი მთავრობა გმობს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და დამნაშავენი წარდგენილნი იქნებიან მართლმსაჯულების წინაშე.

